პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის გამო მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ბრძოლის" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—30 კ., სტრიქონი ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

სამშაბათი, 6 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 229 (1384)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- კანტონის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ჩენ-ცზიუმინის ჯარები.
- კიევში ჩამოვიდენ ჩეხო-სლოვაკიიდან გამოგზავნილი მუშები.
- სირიაში ფრანგები შეტევაზე გადავიდნენ.
- შანხაიში დახურეს ყველა პროფკავშირები.
- 8 ოქტომბერს ამსტერდამისა და მეორე ინტერნაციონალი იწვევს თათბირს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

ამხ. ჩიჩერინის მოგზაურობის გამო

მორიგი ფაქტი, რომელიც ეს ერთი კვირაა იქცევს საყოველთაო ყურადღებას სახელმწიფოთა ურთიერთობის სფეროდან, ესაა ამხ. ჩიჩერინის ჩასვლა ვარშავასა და ბერლინში.

ჩვენთვის სავსებით გასაგებია ის გონგში, რომელიც ასტეხეს ინგლისის ოფიციალურმა და რეაქციონურმა წრეებმა ამასთან დაკავშირებით; არც რუმინეთის და ზოგიერთ სხვა ჩვენდამი მტრულათ განწყობილ ქვეყნების მმართველ ჯგუფების ფუსფუსი და დაბნეულობაა გასაკვირი,—დიდმა თუ პატარა იმპერიალისტებმა, რომელნიც კბილებს ილესავენ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, იგრძნეს თავიანთი ანტისაბჭოთა გეგმების ჩაფუშვის საფრთხე.

პირველ ყოვლისა „აღშფოთდა" კონსერვატორების ინგლისი. ხომ იგი მეთაურობს აქტიურ ანტისაბჭოთა პოლიტიკას ევროპაში. „ძველი ამბავია", იგი ცდილობს შექმნას ჩვენი დასავლეთ-ჩრდილოეთით მოსაზღვრე ქვეყნების ერთიანი ფრონტი და გერმანიაც ჩაითრიოს ამ კამპანიაში (საგარანტიო ხელშეკრულება).

ამ ფრონტის მოწინავე პოზიციაზე, ინგლისის აზრით, პოლონეთს „საპატიო" ადგილი უნდა დაეჭირა. მართლაც, მთელი წლების განმავლობაში პოლონეთი აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა საბჭოების მიმართ. იგი დაავადებული იყო აღმოსავლეთის მიმართულებით, საბჭოთა სახელმწიფოს ხარჯზე, გაფართოვების და გაძლიერების მანიით. გამუდმებული კონფლიქტები საზღვრებზე, სამხედრო მზადება, ჩვენი ეკონომიური განაპირების ცდა,—აი რა ახასიათებდა პოლონეთის დამოკიდებულებას ჩვენდამი. რა თქმა უნდა, პოლონეთი ასეთ იმპერიალისტურ გზას ადგა არა იმდენად საკუთარი ძალების, რამდენად ინგლის-საფრანგეთის იმედით. ისინი პირდებოდენ მას ყოველგვარ დახმარებას როგორც შინაურ ცხოვრების მოწყობაში, ისე ჩვენს წინააღმდეგ გალაშქრების შემთხვევაში. [illegible] დაპირება დაპირებად რჩებოდა. პოლონეთის მდგომარეობა კი თანდათან უარესდებოდა. ჩვენთან მტრობამ მას ვერაფერი კარგი ვერ მოუტანა. პოლონეთი ჩვენთვის სატრანზიტო გზაა, რომლის დახურვამ ამ ქვეყანას აურაცხელი ზარალი მიაყენა. პოლონეთის მრეწველობის საუკეთესო ბაზარს საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. ამ ბაზრის გამოუყენებლობამ იქ შექმნა ეკონომიური კრიზისი და საგარეო ვაჭრობის დეფიციტი. მისი ფინანსები შეირყა. მილიტარიზმით გამოწვეული უაზრო ხარჯები მძიმე ლოდათ დააწვა პოლონეთის ხალხს და მეურნეობას. ამავე დროს არც მისი საერთაშორისო მდგომარეობაა უზრუნველყოფილი. ინგლისი საფრანგეთთან ინტერესთა წინააღმდეგობის გამო სრულებით არ კისრულობს უკანასკნელის „მოკავშირის" პოლონეთის საზღვრების დაცვას. საეჭვო გახდა თვით საფრანგეთის მხრით მფარველობის სიმტკიცეც.

ასეთ პირობებში პოლონეთი უნდა დადგომოდა გამოფხიზლების გზას, მას თვალები უნდა მიეპყრა საბჭოთა კავშირისაკენ, უკვე არა მის წინააღმდეგ იარაღით ხელში მომავალს, არამედ მასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად. მას თავი უნდა გაენებებია მისთვის დამღუპველი, განუხორციელებელი აგრესიული პოლიტიკისათვის და შეეგნო ჩვენთან ნორმალური ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენის მნიშვნელობა. ამასვე უკარნახებდა მას საბჭოთა კავშირის სიძლიერე, მისი მეურნეობის სწრაფი ზრდა. და ჩვენ კიდეც ვხედავთ, რომ პოლონეთის მმართველი წრეები ბოლოს და ბოლოს ხელს იღებენ შეურიგებლობის პოლიტიკაზე და სდგამენ პრაქტიკულ ნაბიჯებს ჩვენთან დაახლოვებისათვის. ამას მოწმობს ამას წინედ მომხდარი ერთგვარი შეთანხმება საზღვრების საკითხებში. ამას უფრო ნათელყოფს ის საზეიმო შეხვედრა, რომელიც მოუწყვეს ვარშავაში ამხ. ჩიჩერინს. თავისთავად ამხ. ჩიჩერინის ჩასვლა ვარშავაში და ხსენებული შეხვედრა, მთელი წლების განმავლობაში პოლონეთის მხრით ჩვენს წინააღმდეგ მტრული კამპანიის წარმოების შემდეგ, უდიდესი მიღწევაა, ეს ჩვენი მორიგი გამარჯვებაა საერთაშორისო ფრონტზე. ჩვენი მთავრობა იმ თავითვე ცდილობდა ნამდვილი მეზობლური დამოკიდებულება დაემყარებია პოლონეთთან (როგორც სხვა სახელმწიფოებთანაც) დღეს ეს ცდა უკვე იღებს ნაყოფს. უნდობლობის ატმოსფერო იფანტება და იქმნება პირობები ეკონომიური თანამშრომლობისათვის ორივე ქვეყნის სასარგებლოდ. შემდეგად უნდა იქნას დადებული მთელი რიგი საქმიანი ხელშეკრულებები ამ თანამშრომლობის მოსაგვარებლად და განსავითარებლად. ამაზე ორივე მხარე თანხმობას აცხადებს.

უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს მოლაპარაკებას გერმანიასთან. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ინგლისი ცდილობს გერმანიის შეყვანას ერთა ლიგაში, რათა იგი გამოიყენოს იარაღად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ერთა ლიგის მე-16 მუხლი ამბობს, რომ ამ დაწესებულების ყოველი მონაწილე როცა ლიგის საბჭო დაადგენს, ვალდებულია გაილაშქროს მესამე ძალის, „მშვიდობიანობის დამრღვევ" ქვეყნის წინააღმდეგ. კონკრეტიულად ამ შემთხვევაში ცხადია, რომ გერმანია თუ დასთანხმდება ამ მუხლზე, გახდება ბაზად საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, მისი ტერიტორია გამოყენებული იქნება ბრძოლის ველად, ჯარების და სამხედრო იარაღის გადასაზიდ გზად საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თითქმის, ერთ წელიწადია, რაც, საგარანტიო ხელშეკრულების საკითხთან დაკავშირებით, გერმანიის წინაშე დგას არჩევანი—ანტანტასთან თუ საბჭოთა კავშირთან. ერთა ლიგაში გერმანიის შესვლა, 16 მუხლის ნიადაგზე, არსებითად ნიშნავს მის მოქცევას ანტისაბჭოთა ბანაკში, რაპალოს ხელშეკრულების გაუქმებას. გერმანია ერთი მხრივ ცდილობდა „მოკავშირეთა" მიმართ ზედმეტი ერთგულების გამოჩენას, ამ გზით ლამობდა თავისი მძიმე ტვირთის შემსუბუქებას, რომელიც მას კისერზე შემოსდეს „მო[illegible] გონიერ წრეებს ესმით საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების მნიშვნელობა. პოლიტიკურად ჩვენი სახელმწიფო ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორია, რომელიც არ ისახავს მიზნად გერმანიის დაჩაგვრას, პირიქით—იგი დაინტერესებულია მის დამოუკიდებლობის და თავისუფლების განმტკიცებაში. ამიტომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ზრდის გერმანიის საერთაშორისო წონას. ეკონომიურად ხომ უდავოა ამ ორივე ქვეყნის თანამშრომლობის უაღრესი სარგებლიანობა. გერმანიის ტეხნიკა და ინდუსტრია, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის უფართოესი ბაზარი და უამრავი ნედლი მასალა, მეორე მხრივ,—ერთი მეორეს ავსებენ. დიდი ხანია სწარმოებს მოლაპარაკება გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. ამ მოლაპარაკების წარმატებით დასრულება დღემდე აწყდებოდა წინააღმდეგობას გერმანიის მხრით, ამაში უეჭველად მოსჩანდა ანტანტის ხელი. ამხ. ჩიჩერინის ჩასვლამ ბერლინში ამ მხრივ ბევრი რამ გამოარკვია. მთელი რიგი ხელშეკრულებები უკვე გამომუშავებულია და გერმანიის მთავრობა პრინციპიალურად თანახმაა მათ ხელი მოაწეროს. ამავე დროს ამხ. ჩიჩერინმა გააფრთხილა გერმანიის მთავრობა, რომ უკანასკნელი თუ გაიზიარებს ერთა ლიგის მე-16 მუხლს, ამით იგი მახეში გაებმება და ბრმა იარაღად გახდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ახლო მომავალში ლოკარნოში გაიხსნება საგარანტიო კონფერენცია. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ მოიმოქმედებს გერმანია, მაგრამ უკვე ამხ. ჩიჩერინის ბერლინში ჩასვლის შედეგები მეტად საგულისხმოა. ამითიც ლახვარი ეცემა ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის იდეას.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ჩიჩერინის მოგზაურობის შედეგები არა უსაფუძვლოდ აფიქრებს ინგლისს და მისს ხელქვეით ქვეყნებს. პოლონეთთან დაახლოვება, თუ მან ხორცი შეისხა, გონში მოიყვანს ჩვენი დასავლეთით მდებარე სხვა სახელმწიფოებსაც. გერმანიასთან დაახლოვებაც აცლის ჩვენს მოწინააღმდეგეებს ერთ მნიშვნელოვან ძალას. ანტისაბჭოთა ფრონტი ირღვევა. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცდება.

საბჭოების მუშაობის გაცხოველებისათვის

თუ როგორ მუშაობენ საბჭოები, თუ როგორია ამ საბჭოებში ჩაბმული უპარტიო და მუშურ-გლეხური მასები—ამაზეა მეტ წილად დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის ტემპი. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამჟამად ჩვენს მთავარ ამოცანას საბჭოების მუშაობის გამოცხოველება წარმოადგენს.

ამას წინად შემდგარმა რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმმაც დროულად სცნო მომავალი წლის იანვარ-თებერვალში საბჭოთა ძირითადი ორგანოების არჩევნების ჩატარება, რაც აგრეთვე დიდათ შეუწყობს ხელს აღნიშნული ამოცანის განხორციელებას.

მას შემდეგ, რაც მოხდა ანტი-კომუნისტური პარტიების ლიკვიდაცია მას შემდეგ, რაც აგვისტოს უღღეურმა „აჯანყებამაც" გამოაშკარავა ჩვენი ნაკლულევანებანი, რამაც შედეგად გამოიწვია ცეკას ოქტომბრის პლენუმის თეზისები,—მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, ჩვენი მთელი გულისყური მიმართული იქნა საბჭოების გაჯანსაღებისაკენ. თვით საბჭოების უკანასკნელი არჩევნები, რომელიც გასულ წლებთან შედარებით დიდის წარმატებით ჩატარდა—ამის საუკეთესო საბუთია.

საბჭოების უკანასკნელმა არჩევნებმა გააძლიერეს პარტიის კავშირი გლეხთა ფართე მასებთან, მან საბჭოთა ძირითადი ორგანოები უფრო მჭიდროთ დაუახლოვა მშრომელ მასებს, განამტკიცა ურთიერთობა მუშებსა და გლეხებს შორის და საბჭოებში უპარტიოთა საგრძნობი ნაწილის ჩაბმით გამოცხოველდა თვით მათი მუშაობაც. ასეთია საერთო მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს დღეს.

მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ ჩვენი ნაკლულოვანებანიც. ჩვენში მოიპოვება ისეთი მაზრები, სადაც საბჭოთა მუშაობა ჯერ კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, სადაც საბჭოებში არ არის ჩამოყალიბებული კომფრაქციები, უპარტიოებთანაც კავშირი არ არის დამაკმაყოფილებელი და თვით საბჭოები ვერ იჩენენ სათანადო აქტივობას. ყოველივე ამას, სხვათა შორის, ხაზი გაუსვა ახლახან დამთავრებულმა საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირმაც.

აი ამ არანორმალურ მოვლენების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა—ჩვენი მორიგი ამოცანაა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ამ შემთხვევაში მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა ამოძრავდენ. მაგრამ რომ მათ სასურველად გადასჭრან ეს ამოცანა, ამისათვის აუცილებელია შეთვისება-შესისხლხორცება პარტიის მე-14 კონფერენციის დადგენილებისა, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობითი პროცესში საბჭოების მუშაობის გამოცხოველებას.

საბჭოების ხელახალი არჩევნები მე-14 [illegible] ამ დადგენილების ლოზუნგის ქვეშ უნდა ჩატარდეს.

გარდა ამისა, აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ იმ ნაკლსაც, რომელიც თან ახლდა საბჭოების უკანასკნელ არჩევნებს. საქმე იმაშია, რომ საბჭოების უკანასკნელ არჩევნების დროს ჩვენ კიდევ ვერ შევსძელით სავსებით გაგვეტარებია საბჭოთა დემოკრატიზმი. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ საარჩევნო კამპანიის სისუსტის გამო არჩევნებმა მთელ რიგ ადგილებში ვერ მიიზიდეს ფართე მასების საკმაო რიცხვი. ამასთანავე თვით არჩევნებიც ვერ მიმდინარეობდა ნორმალურად, რადგან, აქ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, ადგილი ჰქონდა ეგრედ წოდებულ სამხედრო კომუნიზმის დროინდელ არჩევნების წესებს. აი ეს გარემოება არას შემთხვევაში არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან ადგილებზე მომუშავე პარტამხანაგებს და საბჭოთა მომავალი არჩევნების დროს მათ სავსებით უნდა გაატარონ დემოკრატიზმი, რომ მით საბჭოებში შევიტანოთ უფრო მეტი სიცხოველე და შინაარსი. განსაკუთრებით სოფლის კომუნისტებს კარგათ უნდა ახსოვდეთ ისიც, რომ დღევანდელ პერიოდში, როდესაც უკვე განადგურებულია შინაური კონტრ-რევოლიუცია და დღეს მთელი ჩვენი ძალ-ღონე მიმართულია მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის აყვავება-აღორძინებისაკენ, ძველი მეთოდებით მუშაობა შეუძლებელია.

ამრიგად სამხედრო კომუნიზმის ნაშთებისაგან გამიჯვნა და საბჭოების ხელახალი არჩევნების დროს სრული დემოკრატიზმის გატარება—აი დღევანდელი ჩვენი ძირითადი ამოცანა, რომელიც მოითხოვს სათანადო გადაჭრას.

რა არის ამისთვის საჭირო?

საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანიის სწორად წარმართვა, რადგან არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ საბჭოების უკანასკნელი არჩევნების კამპანიაც მოისუსტებდა, რამაც შედეგათ მრავალი ნაკლი მოგვცა. დღეს კი ამ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას, საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანიას, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აღმშენებლობის პროცესში, უნდა მიექცეს მეტად სერიოზული ყურადღება. კამპანიის ლოზუნგები ფართედ უნდა იქნას განმარტებული და შეგნებული მასების მიერ.

რა ღონისძიებებს უნდა მივმართოთ ამისათვის?

ამომრჩეველ გლეხებს უნდა განუმარტოთ მომავალ არჩევნების აზრი და ხასიათი; სოფლის, თემის და სამაზრო აღმასკომებმა სათანადოთ უნდა მოამზადონ საანგარიშო მოხსენებები თავიანთი წარმოებული მუშაობის შესახებ და ამნაირად წარსდგენ მოსახლეობის წინაშე; ჩატარებულ უნდა იქნას აგრეთვე მუშაობა ამა თუ იმ სოფელში საბჭოთა აღმშენებლობის კონკრეტიულ ამოცანების განმარტებასთან დაკავშირებით; მომავალ არჩევნებმა მშრომელთა მთელი ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭოთა მუშაობის მორიგ საკითხებისაკენ. საბჭოთა არჩევნების მომზადების და ჩატარების დროს სოფლის პარტორგანიზაციები,—როგორც ამას აღნიშნავს რ. კ. პ. (ბ) ც. კ. ცირკულიარული წერილი,—უნდა შეუდგენ ღარიბი გლეხების დარაზმვას და საშუალო და ღარიბ გლეხებს შორის კავშირის მოგვარებას, რათა ისინი შეთანხმებულად გამოდიოდენ როგორც კანდიდატების წამოყენების დროს, ისე არჩევნების ყველა დანარჩენ საკითხებში. საარჩევნო მუშაობა ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ მას შედეგათ მოჰყვეს გაფართოება უპარტიო მუშათა და გლეხთა აქტივისა, რომელიც იმუშავებს საბჭოებში პარტიის ხელმ[illegible]თეული კანდიდატურა ზედმიწევნით უნდა იქნას განხილული, რისთვისაც კრებების ყველა მონაწილეებს უნდა მიენიჭოთ ფართო თავისუფლება ცალკე კანდიდატურის შესასწავლად; მაგრამ ამავე დროს საბჭოები უნდა განთავისუფლდენ იმ ელემენტებისაგან, რომელთაც უნარი და მუშაობის სურვილი არ გააჩნიათ. იმისათვის კი, რომ საბჭოების მომავალ არჩევნებში შესაძლებელი გახდეს ამომრჩეველთა უმრავლესობის ჩაბმა, სხვათა შორის, საჭიროა მოსახლეობისათვის საარჩევნო კრებების და ადგილების წინასწარ გაგებინება. საარჩევნო სააგიტაციო მუშაობის დროს სოფლის პარტორგანიზაციები ყურადღებით უნდა მიუდგენ ნამდვილ ნაკლულოვანებათა კრიტიკას ძველი საბჭოების მუშაობაში. ერთი სიტყვით, ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციები სერიოზულად უნდა მოეპყრან არჩევნების სისწორით მომზადების საქმეს.

ასეთია უმთავრესად საბჭოების მომავალი არჩევნების ის ღონისძიებანი, რითაც კიდევ უფრო მეტად გამოცხოველდება საბჭოების მუშაობა, შესაძლებელი გახდება პარტიის გარშემო ფართე მასების შემოკრება და ყველა იმ ნაკლის დაძლევა, რომლებიც დღეს აფერხებენ ამ მხრივ მუშაობას.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება კი სავსებით დამოკიდებულია პარტიულ, კომკავშირის უჯრედებზე და მცხოვრებთა მოწინავე ფენებზე, რომლებმაც არ უნდა დაზოგონ ენერგია, რათა ეს მომავალი არჩევნები დამთავრდეს სრული გამარჯვებით საბჭოთა მშენებლობისათვის.

შ. ა—ძე.

საბჭოთა გაზეთებიდან

ნაკლულევანებანი უნდა ავიცილოთ

1925—26 სამ. წლის განმავლობაში დამთავრდება სასოფლო მეურნეობის აღორძინების პერიოდი. მთელი ეს აღორძინება მეტ წილათ ხდებოდა და ეხლაც სწარმოებს ძველი ძირითადი კაპიტალის ნიადაგზე. ხოლო ჩვენ ვიცით, თუ რას წარმოადგენს ეს კაპიტალი. მსოფლიო და სამოქალაქო ომის ხანაში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი მეტად შემცირდა, გაცვდა, ან სულაც განადგურდა. ამასთან, ისედაც ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკა ძალზე ჩამორჩენილი და ღარიბი იყო ყოველთვის. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ძველი ტეხნიკური შესაძლებლობანი თითქმის სავსებით ამოწურულია, ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას ამ დარგში ძირითადი კაპიტალის განახლება-შევსების ამოცანა, სოფლისათვის თანამედროვე მანქანების და იარაღების მიწოდების ამოცანა. საბჭოთა ხელისუფლებაც იღებს სათანადო ღონისძიებებს. საჭირო მანქანები და იარაღები ჩვენ ერთი მხრივ შემოგვაქვს საზღვარ-გარეთიდან, მეორე მხრივ ასეთებს გაძლიერებული ტემპით ამზადებენ საბჭოთა ქარხნები. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გლეხობის მომარაგებას თავის დროზე და იაფად კარგი ღირსების მანქანებით. ამ სფეროში კი ჯერ-ჯერობით ბევრი ნაკლულევანებანი გვაქვს. ამაზე სჩივის გლეხობაც.

გაზ. „ბედნოტა"-ში მოყვანილია გლეხების კორესპონდენციებიდან ამოკრეფილი სია ამ ნაკლულევანებებისა:

„1. ცუდი მასალა, რომლისგან კეთდება მანქანები, რის გამო ისინი იმტვრევიან. 2. სათადარიგო ნაწილების უქონლობა ან ნაკლებობა, განსაკუთრებით რთულ მანქანების და იარაღებისა, რომელთაც მმართავენ კოოპერატივები, არტელები, კომუნები და სამანქანო ამხანაგობანი (სამკალი, საცეხვი, სათიბი და სხ.). 3. აუცილებელ ხელმძღვანელობის უქონლობა მანქანის მოხმარების, მოწყობის და მართვის დარგში. 4. ცალკე აღნიშნავენ ჩვენი საბჭოთა წარმოების ტრაქტორების ნაკლულევანებებს, მათ სათადარიგო ნაწილების უქონლობას და სხ. 5. გლეხები მიუთითებენ აგრეთვე სას. სამ. იარაღებით და მანქანებით სოფლის არა თავის დროზე მომარაგებაზე (სას. სამ. მანქანებს ღებულობენ არა სას. სამ. სეზონის მიხედვით, საჭირო დროს, არამედ დიდი დაგვიანებით). 6. გარდა ამისა, წერილებში და შენიშვნებში აღნიშნულია ისიც, რომ ამა თუ იმ რაიონში იგზავნება სას. სამ. იარაღები და მანქანები ისეთი ტიპის და მარკის რომელიც ხსენებულ რაიონისათვის სრულებით გამოუსადეგარია. 7. ბოლოს გლეხები მიუთითებენ სას. სამ. მანქანების სიძვირეზე".

ჩამოთვლილ ნაკლულევანებებს უნდა გაეწიოს სერიოზული ანგარიში და მათ ასაცილებლათ სათანადო ორგანოებმა უნდა მიიღონ შესაფერი ზომები. საჭიროა სასტიკი შერჩევით ხდებოდეს მანქანების შემოზიდვა უცხოეთიდან, აგრეთვე ჩვენს ქარხნებში უნდა გაუმჯობესდეს მათი წარმოება. უნდა იქნეს შესწავლილი ცალკე რაიონების ბუნებრივი პირობები, გლეხების მოთხოვნილებანი, და ამის მიხედვით უნდა მივაწოდოთ მათ სას. სამ. იარაღები და მანქანები. ამასთან ცხადია, ასეთების მიწოდება უნდა ხდებოდეს თავის დროზე და გლეხობისათვის ხელმისაწვდენ ფასებში. ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ კარგი ღირსების, თვითეულ რაიონისათვის გამოსადეგი იარაღი და მანქანა, ყველა თავის მოწყობილობით, მით სოფლის იაფად და დროულად მომარაგება—ძირითადი პირობაა გლეხური და საერთოდ სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარების.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა და გერმანიის დელეგაციებს შორის მოხდა სრული შეთანხმება სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხში

პოლონეთის ელჩმა შვეციაში ვისოცკიმ განაცხადა, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოება ნიადაგს გამოაცლის ინგლისის მტრულპოლიტიკასო

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია

თექვსმეტ ოქტომბერს ლენინგრადში მოელიან ნორვეგიის მუშათა დელეგაციას

სავაჭრო ხელშეკრულება გერმანიასთან

ლიუტერისა და შტრეზემანის საუბარი გერმანელ ჟურნალისტებთან

ბერლინი, 4 ოქტ. ლოკარნოდან იუწყებიან, რომ გერმანიის დელეგაციამ მიიღო იქ მყოფი გერმანელი ჟურნალისტები. მათთან საუბრის დროს რეიხსკანცლერმა ლიუტერმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა იმედი გამოსთქვეს, რომ ახლა დამყარდება ნამდვილი მშვიდობიანობა, რომელსაც საჭიროებს როგორც გერმანია, ისე დანარჩენი ქვეყნებიო.

ლიუტერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კონფერენციის მდგომარეობა რთულდება იმიტომ, რომ ანტანტა საგარანტიო ხელშეკრულებას უკავშირებს გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში.

ლიუტერის შემდეგ განცხადებით გამოვიდა შტრეზემანი, რომელიც უმთავრესად შეეხო ჩიჩერინის ინტერვიუს. შტრეზემანმა შენიშნა, რომ მისი ჩიჩერინთან მოლაპარაკება ბერლინში დამთავრდა გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადებით: რომელიც ისე გაიგეს, თითქოს ეს მიმართული იყო ლოკარნოს კონფერენციის წინააღმდეგ. თვითონ ჩიჩერინმა განუცხადა ინგლისის ჟურნალისტებს, რომ სავაჭრო ხელშეკრულების დადება სრულიადაც არ არის სენსაცია, და რომ ეს ხელშეკრულების ნიმუში იქნება მომავალში კაპიტალისტურ ქვეყნებთან ხელშეკრულების დადების დროს. გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება ამ მხრით სასიხარულო ფაქტია არა მარტო გერმანიისა და საბჭოთა კავშირისათვის, არამედ ყველა ქვეყნებისათვის.

შემდეგ შტრეზემანმა სთქვა, რომ უსაფუძვლოა საბჭოთა კავშირის შიში, თითქოს გერმანია იცვლიდეს თავის გარეშე პოლიტიკას და მთლიანად დასავლეთის ორიენტაციას ემხრობოდეს საგარანტიო ხელშეკრულების დადების და ერთა ლიგაში შესვლით. ჩიჩერინთან მოლაპარაკების დროს მთელ რიგ საკითხებში შეთანხმება ლოკარნოში გამგზავრების წინ იმის მამასწავებელია, რომ გერმანია ცდილობს შეინახოს თავისთვის გახსნილი „კარები რუსეთისკენ".

გერმანიის პრესა ჩიჩერინთან ინტერვიუს შესახებ

ბერლინი, 4 ოქტ. გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგ" კომენტარიებს უკეთებს ჩიჩერინის საუბარს „ბერლინერ ტაგებლატის" უცხოეთის განყოფილების რედაქტორთან და აღიარებს, რომ ინტერვიუ შეიცავს საქმის ნამდვილი ვითარების [illegible] შელშიც იმყოფება გერმანია „ორ დიდ ფრონტს შორის". გაზეთის აზრით ჩიჩერინი არ იღებს მხედველობაში გერმანიის გასაჭირს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების საქმეში.

სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტსი" მოწინავეში გულგრილათ ესალმება მიღწეულ შეთანხმებას სავაჭრო ხელშეკრულების დადების საქმეში, მაგრამ ის აკრიტიკებს ოფიციალურ ცნობას, რომელიც [illegible] რომ ამ ცნობაში ძლიერ [illegible]ლია გერმანიის მთავრობის „ბედნიერების გრძნობა", რაც ძალაუნებურად იწვევს იმ აზრს, რომ ეს ხელშეკრულობა უთანაბრდება რაპალოს ხელშეკრულობას.

ამხ. განეცკი გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

მოსკოვი, 4 ოქტ. ამხ. განეცკი, თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის დელეგაციის, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შეეხო ვოლფის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობას აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შესახებ და განაცხადა შემდეგი: „მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ მართლაც დამთავრდა. სახალხო კომისართა საბჭო მახლობელ დღეებში განიხილავს ორივე დელეგაციის მიერ გამომუშავებულ პროექტს ხელშეკრულებისას. რადგან ყველა არსებითი საკითხები შეთანხმებულია სათანადო უწყებებთან, ჩვენს დელეგაციას იმედი აქვს, რომ სახალხო კომისართა საბჭო მოიწონებს ხელშეკრულების პროექტს.

შესაძლებელია, რომ ხელისმოწერა ხელშეკრულებაზე მოხდება ახლო მომავალში, რასაკვირველია, თუ არ წამოიჭრა ახალი საკითხები".

ავსტრიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის მოწოდება

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. სამშობლოში გამგზავრების წინ ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციამ მიმართა ავსტრიის და მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა პროლეტარებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„დელეგაცია, რომელმაც 4 კვირის განმავლობაში იმოგზაურა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში მუშათა კლასის და, განსაკუთრებით, მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობის გასაცნობათ, დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ნამდვილ პროლეტარულ სახელმწიფოს, რომელშიაც მუშათა და გლეხთა ფართო მასების ხელშია მთელი ძალა-უფლება და რომელიც დამყარებულია სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მთელი მშრომელი მოსახლეობის მონაწილეობაზე.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გზა წარმოადგენს ერთად-ერთ სწორ გზას, რომელიც მიდის სოციალიზმისაკენ".

ჩეხ მასწავლებლებს არ უშვებენ საბჭოთა კავშირში

პრაღა, 4 ოქტომბერი. პრაგის ქალაქის მმართველობამ 9 ხმით 8-ს წინააღმდეგ უარჰყო შუამდგომლობა მასწავლებელთა ერთი ჯგუფისა, რომელიც მოითხოვდა ერთი თვით საბჭოთა კავშირში გაშვებას სასკოლო საქმის მდგომარეობის გასაცნობად.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

როგორ შეხვდენ ამხ. ჩიჩერინს ვარშავაში

ხარკოვი, 5 ოქტ. ვარშავიდან ჩამოსულმა ბესიადოვსკიმ, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველმა პოლონეთში, რომელიც თან ახლდა ჩიჩერინს ვარშავაში ჟურნალისტებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ ჩიჩერინის ყოფნა ვარშავაში იქცა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვლენად. ჩიჩერინის მოგზაურობას და შეხვედრას ჰქონდა ისეთი ზეიმის ხასიათი, რომელსაც დღემდე უმართავდენ მხოლოდ პოლონეთის მოკავშირე სახელმწიფოების მინისტრებს. გარეშე საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მოხელეებმა გააცილეს ჩიჩერინი საზღვრამდე. ვარშავის სადგურში ჩიჩერინის შეხვედრა არაჩვეულებრივად ზეიმის ხასიათი ჰქონდა. ვარშავაში ყოფნის განმავლობაში ჩიჩერინი წარმოადგენდა საყოველთაო ყურადღების საგანს.

შვეციაში პოლონეთის ელჩის ვისოცკის განცხადება

სტოკჰოლმი, 4 ოქტ. პოლონეთის ელჩმა სტოკჰოლმში ვისოცკიმ გაზეთ „ნიუ დაგლიხტ ალეხანდა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის, რომლის მიზანია ინგლისის მტრული პოლიტიკისათვის ნიადაგის გამოცლა, სრული კმაყოფილებით უნდა ხვდებოდენ ევროპის ყველა ქვეყნებში.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცება, ვისოცკის სიტყვით, ახალი ამბავი არ არის და წარმოადგენს ნაყოფიერ შედეგს, რომელიც მოჰყვა მთელ რიგ მოსამზადებელ ნაბიჯებს. სავაჭრო ურთიერთობამ ორივე სახელმწიფოს შორის საუკეთესო შედეგები გამოიღო. პოლონეთის საფეიქრო მრეწველობამ, რომელიც მსოფლიო ომამდე მუშაობდა რუსეთის ბაზრისათვის, მიიღო საბჭოთა კავშირიდან მრავალი მილიონის დაკვეთები.

ჩიჩერინი და სკშინსკი, ვისოცკის სიტყვით, მუდამ მუშაობენ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების გასამტკიცებლად. ამჟამად, როცა პოლონეთს მეგობრული კავშირი აქვს რუმინეთთან და ბალტიის სახელმწიფოებთან, მთელს მანძილზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე მყარდება მკვიდრი მშვიდობიანობა.

დასასრულ ვისოცკიმ განაცხადა, რომ ეს გარემოება არ იქონიებს მოვლენას პოლონეთის ურთიერთობაზე საფრანგეთთან და სხვა სახელმწიფოებთან. აზრი, რომ პოლონეთი გამოდგებოდა ანტი-საბჭოთა პოლიტიკის იარაღად, უსაფუძვლოა.

ჩიჩერინს დიდი პატივისცემით იხსენიებს ვისოცკი.

სოფლის მეურნეობის ნაწარმოებების გასაღების მიზნით ევროპის ბაზრის გაყოფა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის.

ვარშავა, 4 ოქტ. გაზ. „რჟეჩ პოსპოლიტას" ცნობის თანახმად ჩიჩერინის [illegible] დაკავშირებით პოლონეთის მთავრობა [illegible] წარმოების [illegible]ნეთს შორის.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა

კოიდანოვო, 5 ოქტომბერი. აქ ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია.

სადგურ კოიდანოვოში თავი მოიყარეს მთელი დაბის მცხოვრებლებმა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის შესახვედრათ. გამოცხადდენ მუშები და კომკავშირელები დროშებით და პლაკატებით.

სტუმრებს მიესალმენ მუშების, კომკავშირელების და ახალგაზრდა პიონერების წარმომადგენლები.

დელეგატები გამოვიდენ ვაგონიდან და მადლობა გადაუხადეს მისალმებისათვის.

მინსკი, 5 ოქტომბერი. საღამოს 7 საათზე ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია ჩამოვიდა მინსკში.

სადგურზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა, რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა დელეგატებს, სტუმრებს მიესალმენ ბელორუსიის მთავრობის და პროფკავშირების წარმომადგენლები.

დელეგაციის ჩამოსვლის გამო ქალაქს დიდი გამოცოცხლება დაეტყო.

დელეგატები დარჩებიან მინსკში რამდენიმე დღე. დელეგატები დაინტერესებული არიან მუშების, მრეწველობის და ქვეყნის საერთო ეკონომიური მდგომარეობით და მათ სურთ შეაგროვონ რაც შეიძლება დიდძალი მასალა, დიაგრამები და ანგარიშები.

ჩეხო-სლოვაკიის მუშებს სურთ მოიარონ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილები და დაწვრილებით გაეცნონ ყველაფერს.

დელეგაციის შემადგენლობა

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის შემადგენლობაში შედის 23 კაცი. აქედან 2 ქალია. პარტიულობის მიხედვით: 4 კომუნისტი, ერთი დამოუკიდებელი სოციალისტი, 9 გერმანელი სოციალ-დემოკრატი, 6 ჩეხი სოციალ-დემოკრატი, 2 ჩეხი სახალხო სოციალისტი და 1 უპარტიო. პროფესიის მიხედვით: 3—შუშის ქარხანაში მომუშავე, 3—მაღაროს მუშა, 6—ფეიქარი, 6—მელითონე, 2—ქიმიკოსი, 1—კოოპერაციის მუშა და 1—ასოთ-ამწყობი.

დელეგაციის თავმჯდომარეა ჩეხიის სოციალ-დემოკრატი—კმენტი, მდივანი—კომუნისტი კოლხკა.

საუბარი ამხ. კმენტთან და კოლსკისთან

ნეგორელოვო, 4 ოქტომბ. საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ კმენტმა და მდივანმა კოლხკამ განაცხადეს, რომ ყველა დელეგატები არჩეული არიან წარმოებების მუშათა საერთო კრებებზე.

ბევრმა მწარმოებელმა არ მისცეს მუშებს შვებულება და განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საბჭოთა კავშირში გაემგზავრებიან, დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან. საბჭოთა კავშირში არ გამოუშვეს აგრეთვე დელეგატები სახელმწიფო წარმოებებიდან.

ჩეხო-სლოვაკიის მუშები დიდი ინტერესით შეხვდენ საბჭოთა კავშირში დელეგაციის გამგზავრებას. სიამოვნებით იძლეოდენ მუშები თავიანთ წვლილს ამ მოგზაურობის მოსაწყობად.

დელეგატებს განზრახული აქვთ დარჩენ საბჭოთა კავშირში დაახლოვებით 6 კვირა.

სხვათა შორის, მათ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირში აპირებენ გამომგზავრებას ჩეხო-სლოვაკიის გლეხთა და მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციები.

ნორვეგიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 5 ოქტ. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მიერ მიღებული ცნობების თანახმად, 16 ოქტომბერს ლენინგრადში ჩამოვა ნორვეგიის მუშათა დელეგაცია 16 კაცის შემადგენლობით.

ამერიკული გაზეთი საქართველოს შავიქვის შესახებ

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. ნიუ-იორკის „ნეიშენელ ბენკ ოფ კომერს"-მა გამოაქვეყნა ამას წინად შავიქვის დამზადებისა და მოხმარების მიმოხილვა, რომელშიაც ნათქვამია:

„ყოველწლიურად მთელს მსოფლიოში იხმარება 1,750,000 ტონა შავიქვა. შავიქვის მადანი უმეტესად მოიპოვება საბჭოთა კავშირში, ინდოეთში და ბრაზილიაში. ეს მხარეები ომამდე აკმაყოფილებდენ შავიქვის მთელი მსოფლიო მოთხოვნილების 95 პროცენტს. შავიქვის მადანი მოიპოება საბჭოთა კავშირის მრავალ ადგილებში. შავიქვის მარაგი ჭიათურის რაიონში, უდრის 146,250,000 ტონას. შავიქვის მარაგი ინდოეთში განისაზღვრება 11,137,000 ტონ. შავიქვის მადნის მარაგი ბრაზილიაში უდრის 10 მილიონ ტონას.

თუ ნორმალურად იქნა დამუშავებული, ჭიათურის შავიქვა იკმარებს ორას წლამდე. მხოლოდ ჭიათურის შავიქვის მადანის წარმატებით დამუშავება უზრუნველყოფს მსოფლიო ბაზარს შავიქვის საკმაო რაოდენობით".

ჩინეთის ამბები

კანტონის ჯარების გამარჯვება

პეკინი, 4 ოქტ. გაზეთები იტყობინებიან, რომ ვამპუს სამხედრო სკოლის რაზმებმა სვატოუს მიდამოებში დაამარცხეს ჩან-ციუნ-მინის ჯარები, რომლებიც იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ სამხრეთისაკენ. იტყობინებიან აგრეთვე, რომ კსიუ-ჩუნ-ჩი გაემგზავრა კანტონიდან შანხაიში. მისი რაზმები გადახალისებული იქნებიან და შეუერთდებიან კანტონის გადახალისებულ არმიას.

შანხაის ამბების გამოძიება

პეკინი, 4 ოქტ. მიუხედავათ მრავალრიცხოვან ოფიციალურ პროტესტებისა, რომლებიც მიმართული იყო ჩინეთის ამბების გამოსაძიებლად უცხოელ დიპლომატების მიერ დანიშნულ სასამართლო კომისიის წინააღმდეგ, ჩინეთის მთავრობა, როგორც იტყობინებიან, ცდილობს შეუთანხმდეს უცხოელ დიპლომატებს და თანახმაა, რომ საკითხი, რომელიც უნდა გაარჩიოს კომისიამ, გაყოფილი იქნეს ორ ნაწილად: შანხაის ქალაქის თვითმართველობის რეორგანიზაცია ჩინეთის მოსახლეობის წარმომადგენლობის გაფართოების გზით; საკითხი შანხაიში მომხდარ ხოცვა-ჟლეტისთვის პასუხისმგებლობის შესახებ. მთავრობა თანახმაა, რომ დანარჩენი საკითხები, რომლებიც შეეხება უცხოეთის სახელმწიფოების ურთიერთობას ჩინეთთან, შემდეგ იქნეს განხილული ცალკე. გაზეთების ცნობით, მოლაპარაკება ჩინეთის მთავრობისა და უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის ისეთ სტადიაში იმყოფება, რომ ალბად ხვალ გამოქვეყნდება ორივე მხარის ნოტები მიღწეულ შეთანხმების შესახებ.

შანხაის ყველა პროფკავშირების დაშლა

პეკინი, 4 ოქტ. შანხაის სამხედრო ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც დაშლილია ყველა პროფკავშირები, რომლებშიაც ასზე მეტი წევრი ითვლება.

შანხაის პროფკავშირთა საბჭოს დაპატიმრებული წევრები იმყოფებიან სამხედრო ციხეში და მათ მოელის დახვრეტა.

შანხაიში გრძელდება გაფიცვები

პეკინი, 4 ოქტ. მიუხედავათ სასტიკი რეპრესიებისა, შანხაიში ვითარდება საგაფიცვო მოძრაობა. იაპონელების რამოდენიმე საფეიქრო წარმოებაში დაიწყო ახალი გაფიცვები, რადგან მწარმოებლებმა დაარღვიეს მუშებთან დადებული შეთანხმება.

საუბარი ფინ-იუი-სიანთან

პეკინი, 4 ოქტომბ. „იუნაიტედ პრეს“-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს ფინ-იუი-სიანმა სთქვა: „თუ უცხოეთის სახელმწიფოებს სურთ დაარწმუნონ ჩინელი ნაციონალისტები თავიანთ გულწრფელობაში, მათ მომავალ კონფერენციაზე (საბაჟო ტარიფების შესახებ ჩინეთში), აშკარად უნდა განაცხადონ, რომ მზად არიან აღადგინონ ჩინეთის თავისუფლება საბაჟო საკითხებში და გააუქმონ უთანასწორო ხელშეკრულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინელი პატრიოტები იტყვიან, რომ კონფერენციის მონაწილეები წარმოადგენენ მხოლოდ სავაჭრო ექსპედიციის წარმომადგენლებს, რომლებიც მიდიან ყოვლად უმნიშვნელო დათმობებზე იმ მიზნით, რომ შეაჩერონ ჩინეთის ნაციონალური მოძრაობის აზვირთებული ტალღა.

რაც შეეხება ბრალდებას ბოლშევიკობაში, არც მე და არც ჩემი არმია არ ვართ ბოლშევიკურად განწყობილი იმაზე მეტად, ვიდრე ამერიკა. ამ ბრალდებას ბოლშევიზმის მომხრეობის შესახებ [illegible] რო ხალხის მასების ინტერესებს. მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარ საბჭოთა პრინციპების, მაგრამ მე ბოლშევიკი მიწოდეს იმათ, რომელთაც სურთ მიჩქმალონ ნამდვილი სადაო საკითხი. რუსეთმა ყველაზე უფრო ადრე დამტკიცა, რომ ის მზად არის იცნოს და დახმარება აღმოუჩინოს ჩინეთს თავისი დაკარგული ეროვნული თავისუფლების დაბრუნებაში.

ჩვენ ვაფასებთ ამერიკის ტრადიციულ მეგობრობას, მაგრამ ამჟამად ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს საკითხი, თუ რას ფიქრობს ამერიკა, რომელსაც შედარებით ნაკლები ინტერესები აკავშირებს ჩინეთთან, —გამოიყენოს თავისი გავლენა ჩინეთის სასარგებლოდ თუ გახდეს იარაღად ინგლისელების ხელში, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ ის სარგებელი, რომელსაც ღებულობენ ისინი უთანასწორო ხელშეკრულებების წყალობით“.

შეკითხვაზე, სურთ თუ არა ჩინელებს ბრძოლაში უცხოელების წინააღმდეგ გადავიდნენ რევოლიუციონურ მეთოდებზე, ფინ-იუი-სიანმა განაცხადა:

„ჩვენ იძულებული ვართ მოვითხოვოთ ჩინეთის ბუნებრივი ნაციო[illegible] პირობები [illegible]შე“.

დასასრულ ფინ-იუი-სიანმა სთქვა, რომ მახლობელ ექვსი თვის შემდეგ ჩინეთში აღარ იქნება შინაური ბრძოლა.

საგარანტიო კონფერენცია

იტალია და ლოკარნოს კონფერენცია

რომი, 4 ოქტომბერი. ოფიციალურ ცნობაში ლოკარნოს კონფერენციის შესახებ იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ვერსალის ხელშეკრულების ხელუხლებლობა.

ვოლფის სააგენტო სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად იტყობინება, რომ იტალიის დელეგაციამ, რომელიც გაემგზავრა კონფერენციაზე, მიიღო მუსოლინისაგან ინსტრუქცია, რომლის თანახმად მას შეუძლია ხელი მოაწეროს მომავალ ხელშეკრულებას მხოლოდ ორი შემდეგი პირობით: თუ სისწორით განსაზღვრული იქნება ვალდებულებანი და ამ ვალდებულებებში საკმაოდ იქნება დაცული იტალიის ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში დელეგაციამ არ უნდა მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას.

ჩემბერლენი პარიზში

პარიზი. 4 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ 3 ოქტომბერს, დღის 2 საათზე ქალაქში ჩამოვიდა ჩემბერლენი, რომელიც მიემგზავრება კონფერენციაზე ლოკარნოში.

საფრანგეთი და ამერიკა

საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკება ვალების შესახებ

პარიზი, 3 ოქტომბერი. პრესა ათავსებს ცნობას ამერიკელი კომისიის მიერ კაიოს წინადადების უარყოფის და დროებითი შეთანხმების მიღწევის შესახებ.

ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობის ბურჟუაზიული წრეები, როგორც სჩანს, კმაყოფილი არიან იმით, რომ საკითხის საბოლოო მოწესრიგება გადადებულია 5 წლით, რომლის განმავლობაში საფრანგეთი შესძლებს თავისი კრედიტის განმტკიცებას.

ფინეთის გემის დაღუპვა

სტოკჰოლმი, 1 ოქტომბერს ღამით ალანდის კუნძულებთან დაიღუპა ფინეთის გემი „კანტავა“, რომელსაც მოჰქონდა საქონელი გამოგზავნილი შვეციიდან საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ. გემი მოდიოდა ლენინგრადში. ტვირთი დაზღვეული იყო სრული ღირებულებით.

სადული თხოულობს უფლებებში აღდგენას

პარიზი, 4 ოქტ. რადგან სასამართლომ სადულს ვერ დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება ამისთვის სადულმა მოითხოვა აღდგენილ იქნას თავის უფლებებში როგორც პარიზის ადვოკატურის წევრი.

თათბირი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ

ბერლინი, 4 ოქტ. 8 ოქტომბერს ამსტერდამში შესდგება ამსტერდამის და მეორე ინტერნაციონალის ალმასკომების თათბირი, რომელზედაც გარჩეული უნდა იქნეს საკითხი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

აღმოსავლეთში

პენლევე საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ

პარიზი, 4 ოქტომბერი. ნიმში ერნეტ დენის ძეგლის გახსნის დროს პრემიერმა პენლევემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა, 100 წლის ტრადიციის თანახმად, ისახავს განმათავისუფლებელ და მშვიდობიანობის მიზნებს. პენლევე შეეხო მაროკოს ომს და სთქვა, რომ მას შეუძლია მთელი მსოფლიოს წინაშე განაცხადოს: „საფრანგეთს არასოდეს არ 15. [illegible] ხელშეკრულება და არასოდეს არ გამოუყენებია თავისი უფლებები სუსტ ერებისადმი ცუდათ მოპყრობის მიზნით. ყველა უცხოელები აღნიშნავენ საფრანგეთის ცივილიზატორულ მუშაობას მაროკოში“.

აბდ-ელ-ქერიმის ბანაკში

პარიზი, 4 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო ავრცელებს მადრიდის გაზეთების ცნობას, რომ კაბილთა ტომების ბელადებმა, რომლებიც მოიწვია აბდ-ელ-ქერიმმა ალჟირის დაცემის წინ, უარი უთხრეს აბდ-ელ-ქერიმს შემდეგშიაც დახმარების გაწევაზე.

სააგენტო იტყობინება აგრეთვე, რომ მოსალოდნელია მორჩილება გამოაცხადონ იმ ტომებმაც, რომლებიც დღემდე მხარს უჭერდნენ აბდ-ელ-ქერიმს.

[illegible]

პარიზი, 4 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება ბეირუთიდან, რომ საფრანგეთის რაზმებმა დაიწყეს იერიშები არუზების წინააღმდეგ სადგურ ერის რაიონში, 70 ვერსის მანძილზე დამასკიდან.

საბჭოთა მეზღვაურები მ. გორკისთან

რომი, 4 ოქტ. საბჭოთა ნაღმოსნების მეზღვაურთა წარმომადგენლების მისვლამ მაქსიმ გორკისთან, რომელიც იტალიაშია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გორკიზე.

მეზღვაურთან საუბარის დროს გორკი დიდათ დაინტერესდა მეზღვაურების მდგომარეობით და ურთიერთობით უფროსთა შემადგენლობასთან. როცა ლაპარაკი ჩამოვარდა ლიტერატურაზე, გორკიმ აღტაცებით მოიხსენია ახალი ლიტერატურა და მისი ძლიერი, საღი შინაარსი და დიდი აღმაფრენა.

„ეხლა ისე სწერენ—სთქვა გორკიმ—რომ დამჭირდება იმათგან სწავლა.

მეზღვაურების შეკითხვაზე, რატომ თვითონ გორკი არ სწერს საბჭოთა თემებზე, მან უპასუხა, რომ ამჟამად მის მოვალეობას წარმოადგენს წარსულისათვის ჯამის გაკეთება. ამ ამოცანის შესასრულებლად ის სწერს დიდ მოთხრობას, რომელშიაც მოცემული იქნება გასული საუკუნის უკანასკნელი ათი წელი.

როცა ლაპარაკი ჩამოვარდა ლენინზე, მეზღვაურებმა უამბეს გორკის ერთი შემთხვევა, როცა საბჭოთა ნაღმოსნის ესტუმრა ერთი იტალიელი მუშა, რომელსაც ლენინის ქანდაკებით და სურათით მორთულ ლენინის კუთხის ნახვის დროს მღელვარებისაგან გული წაუვიდა. გორკის აღარ მოუსმენია ბოლომდე ეს ამბავი და თვალცრემლიანი გავიდა მეორე ოთახში.

წინააღმდეგ თავისი ჩვეულებისა, გორკიმ სიამოვნებით გადაიღო სურათი მეზღვაურებთან ერთად.

გორკის ნახვამ დიდი ინტერესი გამოიწვია ნაღმოსნების მოსამსახურეებში. მეზღვაურებს, რომლებმაც ინახულეს გორკი, რამოდენიმეჯერ გაამეორებინეს გორკისთან შეხვედრის ამბავი.

ლტოლვილები ჩეხო-სლოვაკიიდან

კიევი, 5 ოქტომ. ჩამოვიდენ ჩეხო-სლოვაკიიდან გამოქცეული მუშები. ისინი გამოვიდენ ჩეხო-სლოვაკიიდან ორი კვირის წინად.

მუშები იუწყებიან, რომ ჩეხო-სლოვაკიაში დიდ უმუშევრობას აქვს ადგილი: უმუშევრათ დარჩენილია მშრომელთა 50 პროც. ფაბრიკების უმრავლესობა მუშაობს სამჯერ კვირაში. ღარიბი მოსახლეობა, განსაკუთრებით გლეხობა, დატვირთულია მძიმე გადასახადებით.

ჩვენს ქვეყანაში

რუსეთი

ამუშავდა ტვერის ვაგონების ქარხანა.

ტვერი. 5 ოქტ. ამუშავდა ტვერის ვაგონების ქარხანა, რომელიც არის ერთი უდიდესი ვაგონების სამშენებლო ქარხანა საბჭოთა კავშირში.

საარჩევნო ნორმების შემცირება არამჭიდროდ დასახლებულ ადგილებისათვის

მოსკოვი. 5 ოქტ. საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ არსებული საარჩევნო ნორმები ძალიან მაღალია არამჭიდროდ დასახლებულ ადგილებისათვის, კერძოთ ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ეროვნულ უმცირესობით დასახლებულ ოლქებისათვის, სასწრაფოთ შეიმუშავა ახალი საარჩევნო ნორმების პროექტი ისეთ რაიონებისათვის. ცალკე შემთხვევებში საარჩევნო ნორმები, არსებულთან შედარებით, შემცირებულია 5-ჯერ.

ახალი ნორმების პროექტი შეტანილია განსახილველად სახ. კომისართა საბჭოში იმ ვარაუდით, რათა ახალი ნორმებით მოხდეს საბჭოების მორიგი არჩევნები.

ყირიმი

სრულიად საკავშირო საპლანერო შეჯიბრება.

კოქტებელი. 5 ოქტ. სრულიად საკავშირო საპლანერო შეჯიბრებაზე გერმანელმა მფრინავმა შულცმა აიღო მსოფლიო რეკორდი, დაჰყო ჰაერში 12 საათი და 6 წუთი.

ძმური დახმარება სპარსეთის ხალხს

თეირანი, 4 ოქტ. საბჭოთა მთავრობამ დაადგინა უსასყიდლოთ მისცეს 100.000 ფუთი პური სპარსეთის ხალხს. ამის საპასუხოთ სპარსეთის პრემიერი რიზა-ხანი სპარსეთში მყოფ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს მადლობას უძღვნის დახმარებისათვის, რომელიც ხელს უწყობს ამ ორ სახელმწიფოთა შორის დაახლოვებას და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

ნევა ადიდდა

ლენინგრადი. 4 ოქტ. 4 ოქტომ[illegible] წია 2 ფუტის სიმაღლეზე ჩვეულებრივ დონესთან შედარებით.

შემდეგ ისევ დაიწია, მაგრამ ობსერვატორია მოელის დილით კიდევ აწევას არა ნაკლებ 4 ფუტის სიმაღლეზე, რადგან შესაძლებელია ქარის ამოვარდნა.

ლენინგრადი. 4 ოქტ. ღამით 4 [illegible] ძლიერების გამო ნევაში წყალმა იწყო აღიდება.

დილის 8 საათზე, წყალის დონე უდრიდა 4 ფუტს და 2 დიუიმს; წყლის ადიდება გრძელდება.

მტკიცე გლეხური მეურნეობა

საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის წერილი*)

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. გვალვას, მოუსავლობას და სიმშილობას ადგილი ჰქონდა რუსეთში წარსულშიაც, მაგალითად მე-17 და 18 საუკუნოებში. მაშინ მცხოვრებლები სცდილობდენ თავი დაეხწიათ სიმშილობას სხვა უფრო მოსავლიან ადგილებში გადასახლებით. მემამულეთა რუსეთი მათრახებით ერეკებოდა გლეხებს გვალვისაგან გადამწვარ მინდვრებისაკენ.

ამჟამად ამ გვალვიან რაიონებში გლეხები შეადგენენ საბჭოთა კავშირის გლეხ-მცხოვრებთა თითქმის ერთ მეოთხედს. ყოველ შემთხვევაში 1921 წელს გვალვისაგან და მოუსავლიანობისაგან დაზარალდა დაახლოვებით 30 მილიონი გლეხი.

ასეთი დიდი გვალვა და მოუსავლობა ძალიან არღვევს ქვეყნის მთელ სამეურნეო ცხოვრებას. ჯერჯერობით არ არის მიღწეული გადამწყვეტი შედეგები მოსავლის მინიმალურ სიმტკიცისათვის ბრძოლაში. ქვეყნის ეკონომიურ განვითარების გეგმის შედგენის დროს საჭიროა ანგარიში გაეწიოს მოუსავლობას და გათვალისწინებული უნდა იქნას ამ უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველი ღონისძიებანი. მხოლოდ 1924—1925 წ. წ. საბჭოთა სახელმწიფო საკმაოდ განმტკიცდა და მას შეუძლია აწარმოოს ბრძოლა გვალვიან ადგილებში მეურნეობის სიმტკიცისათვის და მოუსავლიანობისა და სიმშილობის მიზეზების მოსპობისათვის.

ცენტრალურმა მთავრობამ და ადგილობრივმა ორგანოებმა დააყენეს მცხოვრებთა წინაშე ამოცანა ისე გამოიყენონ 1924 წლის მოუსავლობის შედეგებთან საბრძოლველად გადადებული საშუალებანი, რათა ჯერ-ერთი შენახული იქნას გლეხური მეურნეობა და მეორე—განხორციელებული იქნას გადაუდებელი ღონისძიებები მომავალში მოუსავლობის [illegible] ასაცილებლად.

განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა გლეხთა შორის სამელიორაციო მუშაობა, რომლის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა.

1924 წლის მოუსავლობის შედეგებთან ბრძოლის კამპანია წარმოადგენდა უდიდეს გამოცდას საბჭოთა მთელი სისტემისათვის. ბრძოლის საწარმოებლად არ ყოფილა შექმნილი სპეციალური აპარატები სოფლად. მთელი მუშაობა დაკისრებული ჰქონდა საბჭოებს და მათი საშუალებით მთელ გლეხობას. მომავალში საჭიროა ხელი შეუწყოთ გლეხობის ასეთ აქტივობის უდიდეს უბედურების—გვალვის და მოუსავლობის წინააღმდეგ ბრძოლაში და მასში ჩავაბათ გლეხობის, განსაკუთრებით მისი ღარიბი ნაწილის ახალ-ახალი ფენები.

გლეხობის ორგანიზაციის მთავარ ფორმას და მისი აქტივობის გამომხატულებას წარმოადგენს კოოპერაცია. კოოპერაციამ უნდა ითამაშოს უდიდესი გადამწყვეტი როლი სასოფლო-მეურნეობის განვითარებაში და გლეხობის შეკავშირების საქმეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანები დასმულია მის წინაშე ცენტრალურ-შავნიადაგიან ოლქის გვალვიან რაიონებში.

ბრძოლა მოუსავლობასა და გვალვის წინააღმდეგ უნდა სწარმოებდეს არა მძიმე სიმშილიანობის წლებში, არამედ მოსავლიან წლებშიაც, ეს ბრძოლა არ შეიძლება განისაზღვროს ერთი წლით და ერთი კამპანიით, იგი უნდა სწარმოებდეს დაჟინებით მრავალი წლების განმავლობაში.

საბჭოთა მესამე ყრილობამ გვალვიან რაიონებში მტკიცე მეურნეობის შექმნის მიზნით დაადგინა დაარსებული იქნას სპეციალური ფონდი მტკიცე გლეხური მეურნეობისათვის საბრძოლველად გვალვიან რაიონებში.

მთელი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღდგენა, სახელმწიფოს კულტურული განვითარება, სოციალიზმის მშენებლობა შეუძლებელია, თუ დადებითად არ გადაიჭრა ცენტრალურ შავ-ნიადაგიან ოლქის გვალვიან ადგილების პრობლემა“.

---

*) ეს წერილი წარმოადგენს ამხ. რიკოვის კრებულის „გვალვასა და შიმშილობასთან ბრძოლა“-ს წინასიტყვაობას. ამ კრებულში, რომელიც ახლო მომავალში გამოიცემა, აღნუსხულია 1924 წლის მოუსავლობის შედეგებთან საბრძოლველ ღონისძიებები და გათვალისწინებულია გლეხური მეურნეობის რეორგანიზაციის გზები ცენტრალურ შავ-ნიადაგიან ოლქის გვალვიან რაიონში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

მხარეთმცოდნეობის გამოფენა.

ბათუმი 4 ოქტ. [illegible] მხარეთმცოდნეობის გამოფენა. ექსპონატების ნაწილი დარჩება აჭარის მუზეუმში, დანარჩენი გაიგზავნება ადგილებზე.

ბათუმის ნავთსადგურში.

ბათუმი, 5 ოქტ. 2 ოქტომბერს გავიდენ ბათუმის ნავთსადგურიდან ინგლისის გემი „ვალეტტა“ ლონდონში 6.250 ტონა ბენზინით, ნორვეგიის გემი „ჰამლეტ“ ლონდონში 6.500 ტონა მაზუთით და იტალიის გემი „სავოია“ ამერიკაში 296 ტონა ძირტკბილათი.

ოქტომბრის შუა რიცხვებში მოელიან გემს „ტურან“, რომელიც წაიღებს სტამბოლისათვის 3.000 ცალ ნავთის ბიდონს.

სიმინდის ფასი.

ოზურგეთი, 5 ოქტ. სიმინდის ფასი საგრძნობლად დაეცა. სექტემბრის დამლევს ფუთი ღირდა 2 მან. 50 კ., ეხლა კი 1 მ. 60 კ.

რადიო მიმღები სადგური

ახალქალაქი, 5 ოქტ. მიღებულია რადიომიმღები სადგური, რომელიც დაიდგმება პროფკავშირის კლუბში. სადგური მიიღებს როგორც თბილისის, ისე მოსკოვის ამბებს და კონცერტებს.

აზერბეიჯანი

ნავთის პროდუქტების გატანა

ბაქო, 4 ოქტ. 2 ოქტომბრამდე „აზნეფტ“-ის მიერ გატანილია ასტრახანში 5,206.056 კილოგრამი ნავთის პროდუქტი, კრასნოვოდსკში—1,176,316 კილოგრამი.

ვენახები

ბაქო, 4 ოქტ. აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო ვენახების [illegible] განჯის მაზრაში 20,000 მანეთი.

ნავთის ამოღება

ბაქო, 4 ოქტ. გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში ამოღებულია „აზნეფტ“-ის ყველა სამრეწველოებში 284.622,000 ფუთი ნავთი და გაზი, თუ გადავიტანეთ ნავთზე—5,110,000 ფუთი.

პროგრამა შესრულებულია 99,65 პროცენტით.

404 მუშის ბინა.

ბაქო, 5 ოქტ. „აზნეფტ“-ის მიერ სტეპან რაზინის რაიონში აგებულია 404 მუშის ბინა. სამშენებლო პროგრამა 24—25 წლისათვის სავსებით შესრულებულია.

აგროპროპაგანდა ეკრანზე.

ბაქო, 5 ოქტ. აგროპროპაგანდის გასაძლიერებლად ზოგიერთ აგროპუნქტებს ეძლევათ კინოაპარატები.

საუბარი იაპონიის საელჩოს მდივანთან

ბაქო, 4 ოქტომბერი, ბაქოში ჩამოვიდა იაპონიის საელჩოს მეორე მდივანი სასაკი, რომელმაც ა|კ. დეპეშათა სააგენტოს აზერბეიჯანის განყოფილების თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ თავის მოგზაურობის დროს მან ინახულა, ოდესა, ნოვოროსიისკი, ბათუმი და ტფილისი. ბათუმში მან დაათვალიერა ბიდონის ქარხნები და ბოტანიკური ბაღი. ნავთის გადამსხმელ ქალაქში მუშაობა გაცხოველებულია. ნავთსადგურში მრავალი გემები დგანან ნავთის წასაღებად. ბაქოში ის ჩამოვიდა ნავთის მრეწველობის გასაცნობად იმ მიზნით, რათა იაპონიაც გახდეს საბჭოთა ნავთის ექსპორტიორი. იაპონიას გარდა საკუთარი ნავთისა (700.000 ტონა წლიურად) შემოაქვს ნავთი ამერიკიდან და ბორნეოდან. სასაკის აზრით საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ეკონომიურ ხელშეკრულების დადების შემდეგ იაპონიისათვის მთავარი საექსპორტო საგანი იქნება საბჭოთა კავშირის ნავთის პროდუქტები.

სასაკი გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატს და „აზნავთის“ წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერებს ნავთის სამრეწველოებს.

შავი ზღვის რკინისგზა

ახალი ხარჯთაღრიცხვა

შავი ზღვის რკინის გზის ასაგები ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილ პროექტის მიხედვით უდრიდა 19.500.000 მანეთს. რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს სამშენებლო განყოფილებამ განიხილა რა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის პროექტი, საჭიროდ სცნო მისი შემცირება—3 ნახ. მილიონი მანეთით. ამგვარად დამტკიცებული იქნა შავი ზღვის რკინის გზის ასაგები ხარჯთაღრიცხვა 16 მილიონის რაოდენობით.

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა რკინის გზის სამხრეთ და ჩრდილოეთ სამშენებლო რაიონების სამუშაოებისათვის გამოითხოვა 8 მილ. მან., ფინანსთა სახალხო კომისარიატმა კი გაიღო თანხა 4 მილიონის მანეთის რაოდენობით მხოლოდ სამხრეთ რაიონის სამუშაოებისათვის, შექმნილი გარემოების გამო რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს წინადადება მიეცა გამოიმუშაოს გასავლის ხარჯთაღრიცხვა ორ ვარიანტში იმ ანგარიშით, რომ გადადებული 4 მილიონიდან 2.800.000 მანეთი მოხმარდეს სამხრეთ სამშენებლო რაიონს, ხოლო დანარჩენი 1.200.000 მანეთი ჩრდილოეთ რაიონს. თუ მომავალში გაღებულ იქნა თანხები მხოლოდ სამხრეთ უბნის საჭიროებისათვის, შავი ზღვის რკინისგზის სამშენებლო მუშაობა გასტანს 6 წელიწადზე მეტ ხანს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გაღებული 4 მილიონი მანეთი არ არის საკმაო იმ დიდ სამუშაოების ჩასატარებლად, რომელსაც მოითხოვს მხოლოდ სამხრეთის უბანი. ამის თანახმად განზრახულია შექმნილ იქნეს სახიდე ფერმები და აგებულ იქნეს ბურჯები მდ. ენგურზე და კოდორზე ასაგებ ხიდებისათვის, ხოლო დანარჩენი სამუშაოებისათვის საჭირო იქნება ახალი თანხების გაღება.

საბჭოთა წყობილება და ნოე ჟორდანია*)

VII

აღმოსავლეთი თუ დასავლეთი?

ეს თემა ნ. ჟორდანიას საყვარელი თემაა. საითკენ უნდა იყოს მიმართული საქართველოს ორიენტაცია: აღმოსავლეთისაკენ თუ დასავლეთისაკენ? ამ საკითხის შესახებ ნოეს ბევრი რამ „საინტერესო“ აქვს დაწერილი.

მოვიგონოთ ახლო წარსული. 1917 წ. 20 ნოემბერს ნ. ჟორდანიამ საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: «Прошло сто лет со времени присоединения (Грузии. К. О.) к России. Это присоединение не было результатом чьего либо личного каприза или делом простой случайности. Оно было исторической неизбежностью. В то время Грузия стояла перед дилеммой: Восток или Запад. И наши предки решили отойти от Востока и обратиться в сторону Запада. Но дорога к Западу лежала через Россию и следовательно итти в сторону Запада означало соединиться с Россией»**) (ხაზი ჩვენია. კ. ო.)

ეს წყეული კითხვა: აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, იდგა საქართველოს წინაშე ამ ასი წლის წინათ. ნ. ჟორდანიას აზრით ეს კითხვა ჩვენი წინაპრების მიერ სწორათ იქნა გადაჭრილი. საქართველომ ამოირჩია ევროპიული გზა, უარჰყო აზიური. მაგრამ გზა დასავლეთისაკენ მიდიოდა რუსეთით; სწორედ ამიტომ საჭირო იყო მასთან ჩვენი ქვეყნის დაკავშირება.

1917 წ. ნ. ჟორდანია წინააღმდეგი იყო საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფის. პირიქით, ის მოითხოვდა მასთან ერთად დარჩენას, მასთან ერთად სიკვდილს. „ამრიგათ, გვეუბნება ნოე, ჩვენი ორიენტაცია რჩება ძველი და ჩვენ ვრჩებით რუსეთთან ერთიანობის ნიადაგზე“***). ეს სიტყვები წარმოთქმული იყო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. ნ. ჟორდანიას არ სჯეროდა ამ რევოლიუციის ხანგრძლივობა. მისი აზრით საბჭოთა მთავრობა სულ მალე დაემხობა და ამით გზა გაეხსნება რუსეთთან გაერთიანების გზას.

არ გამართლდა ნ. ჟორდანიას აზრი. საბჭოთა მთავრობა არა თუ არ დაემხო, არამედ საბოლოოდ გამაგრდა და განმტკიცდა. დღეს არავინ არ უარყოფს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას გარდა რამოდენიმე წყალწაღებული ემიგრანტისა.

საქართველო, რომლის მთავრობის თავმჯდომარე ერთ დროს იყო ნოე ჟორდანია, გახდა სრულუფლებიანი წევრი საბჭოთა კავშირისა. ქართველ გლეხკაცობამ და მუშებმა მოისვენეს მენშევიკების მუდმივი ნაციონალური ომისა და შუღლისაგან, და შეუდგა მშვიდობიან შრომას. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დაადგა აღორძინების გზას.

მეორე წერილიდან ჩვენ დავინახეთ, რომ საბჭოთა რუსეთში მსხვილი ინდუსტრია საოცარი სისწრაფით იზრდება და რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში მან საკვირველ შედეგებს მიაღწია. გაზეთები ყოველ დღე გვაცნობებენ ახალ და ახალ ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებას. სულ მალე ჩვენი მრეწველობა გაუსწორდება იმ ძველი რუსეთის დონეს, რომელსაც ნ. ჟორდანია ევროპიულად ნათლავდა.

ეხლა ჩვენს წინაშე სდგას საკითხი არა ძველი მრეწველობის აღდგენისა, არამედ საკითხი მთელი მრეწველობის რეკონსტრუქციისა, მის გადახალისებისა. ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ძველი ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებით. მსოფლიო ომის და რევოლიუციის ხანაში მრეწველობის ტეხნიკაში ბევრი ცვლილებები მოხდა. საჭიროა ამ ტეხნიკის გადმონერგვა საბჭოთა რუსეთში. მთელი ყურადღება დღეს აქეთკენ არის მიმართული. საბჭოთა მთავრობა იძენს საზღვარგარეთ ახალ ახალ სამრეწველო მანქანებს და სასოფლო - სამეურნეო იარაღებს, რომლებიც გაადვილებენ შრომას და გააიაფებენ საქონლის წარმოებას.

ყოველივე ამის უარყოფა უდრის რეალური სინამდვილის არ დანახვას. მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ უყურებს ნოე საბჭოთა მრეწველობას. რუსეთში ის ნანგრევების და ნაცარტუტას მეტს ვერაფერს ვერ ხედავს. ასეთი შეხედულების უმართებულობაზე და სიყალბეზე ჩვენ თავის დროზე შევჩერდით.

ჩვენ გვაინტერესებს მეორე საკითხი: როგორ უყურებს ეხლა ნ. ჟორდანია თავის ძველ საყვარელ საკითხს: აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? როგორ უყურებს ის მას დღეს, როდესაც მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის მხრივ საბჭოთა რუსეთი გაუსწორდა ომის წინათ არსებულ დონეს?

ნ. ჟორდანია კვლავ იგონებს თავის შესანიშნავ აზრს, რომ საბჭოთა რუსეთმა უარჰყო ევროპიული გზა და აირჩია აზიური. საქართველო კი, მისი აზრით, დარჩა „ევროპის“ ორიენტაციის ნიადაგზე. აი რას სწერს ის: „რუსეთი ევროპას გაურბის და მისგან კარებს იკეტავს, საქართველო მას ეძებს საუკუნოების განმავლობაში და მისკენ ხელს იწვევს“ (გვ. 55. ხაზი ჩვენია. კ. ო.).

რას ნიშნავს: რუსეთი ევროპას გაურბის? როგორ უნდა გავიგოთ ეს. საბჭოთა მთავრობა სდგას მშვიდობიანობის პოლიტიკის ნიადაგზე. ის ცდილობს განავითაროს დასავლეთ-ევროპის ქვეყნებთან აღებ-მიცემობა და ამ მხრივ დიდ შედეგებს მიაღწია. ევროპიდან და ამერიკიდან მოგვაქვს ჩვენ აუარებელი სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო მანქანები და იარაღები.

მაშ რი არის კიდევ საჭირო იმისათვის, რომ „რუსეთი ევროპას არ გაურბოდეს“? ნუ თუ ევროპის სიყვარული იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ წამოვიჩოქოთ იმპერიალისტების წინაშე? ნუ თუ საჭიროა ევროპიელი გენერლების ქუსლების ლოკვა და მათ წინაშე მუცელზე ხოხვა? ნუ თუ ეს არის ევროპიელობის გზა, გზა ცივილიზაციისა და კულტურისა?

ქართველ მუშებმა და გლეხებმა უკვე იციან, თუ რა არის ნ. ჟორდანიას „ევროპიული“ ორიენტაცია. მათ უკვე იგემეს გერმანელ, ინგლისელ და იტალიელ გენერლების ბატონობა; მათ უკვე იციან, რომ ევროპიული ორიენტაცია—ეს ამ გენერლების წინაშე კანკალი და ძრწოლა, მათ წინაშე მუხლ-მოდრეკაა.

ქართველ მშრომელ მასებმა უარჰყვეს ეს „ევროპიული“ გზა და დაუკავშირდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს. საქართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას, რომელიც შედის საბჭოთა კავშირში სხვა რესპუბლიკებთან ერთად.

ნ. ჟორდანია სტირის საქართველოს „დამოუკიდებლობის“ დაკარგვაზე, იმ „დამოუკიდებლობის“, რომელიც ანტანტის ფაქტიურ ფილიალურ განყოფილებას წარმოადგენდა. მისიაზრით ქართველი ხალხი იხრჩობა რუსეთის „აზიური“ პოლიტიკის წყალობით.

ასეთი მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია: „მისი (ე. ი. საქართველოს. კ. ო.) და მის ბედში მყოფ ერების რუსული სისტემიდან გამოხსნა და ევროპის სისტემაში შებრუნება. არის ყოფნა-არყოფნის საკითხი“. (გვ. 57, ხაზი ჩვენია. კ. ო.)

მაშ ასე, 1917 წ. ნ. ჟორდანია საქართველოს რუსეთთან კავშირისაკენ მოუწოდებდა, რადგან იქ გადიოდა გზა ევროპისაკენ; 1924 წ. კი ის მოუწოდებს საქართველოს თავი დააღწიოს რუსულ სისტემას, რუსეთთან კავშირს და დადგეს „ევროპიულ“ ორიენტაციის ნიადაგზე.

რა მოხდა? რა შეიცვალა? სად გაქრა გზა ევროპისაკენ, რომელიც რუსეთში გადიოდა? მოხდა ის, რომ რუსეთში განმტკიცდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, საბოლოოდ დაემხო ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობა. ნ. ჟორდანიას აზრით, ეს ნიშნავს ევროპიული საზოგადოების დაცემას, აზიური საზოგადოების გამარჯვებას. ამიტომ არის, რომ ეს, ევროპის მოყვარული ადამიანი ურჩევს საქართველოს უარჰყოს რუსეთის მშრომელებთან კავშირი.

თუ ჩვენ მოვიგონებთ ნ. ჟორდანიას მიერ ევროპიული საზოგადოების განმარტებას, მაშინ ყველაფერი აშკარა იქნება. „ევროპიული“ საზოგადოება—ეს თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია და ინტელიგენცია. რუსეთში ბოლშევიკებმა დაამხეს ეს საზოგადოება. მაშასადამე, გასწყვიტეს ყოველივე კავშირი ბოლშევიკებთან, საბჭოთა რუსეთთან! აი, საითკენ მოუწოდებს ნ. ჟორდანია ქართველ მშრომელებს.

ძირს საბჭოთა წყობილება, ძირს რუსეთის მშრომელებთან კავშირი, გაუმარჯოს საქართველოს ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის დამოუკიდებლობას!—აი მისი ლოზუნგი.

მაგრამ... საქართველოს მშრომელები კარგა ხანია დგანან ინტერნაციონალური სოლიდარობის, რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ძმური კავშირის და საბჭოთა წყობილების დროშის ქვეშ. ამ გზიდან დღეს მათ ვერავინ ვერ გადაახვევინებს, ვერ გადაახვევინებს ვერც გაცოფებული თეთრგვარდიელის, ნ. ჟორდანიას ისტერიული კივილი.

⁂

რამ ააშფოთა ნოე ჟორდანია? რა იწვევს მასში ასეთ გულის ტკივილს? რატომ მოუხმობს ის ყველა ზეციურ და მიწიურ ძალებს საბჭოთა წყობილების და სოციალისტური რესპუბლიკის დასამხობათ?

საბჭოთა მთავრობამ ექსპროპრიაცია უყო ბურჟუაზიას, ჩამოართვა მას ფაბრიკა-ქარხნები და გამოაცხადა ის სახელმწიფო, ე. ი. საზოგადო საკუთრებათ. საბჭოთა მთავრობამ კონფისკაცია უყო მემამულეთა მიწებს და გადასცა ის მშრომელ გლეხკაცობას. პირველ და მეორე შემთხვევაშიც ის შეეხო კერძო საკუთრებას, ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის წმიდათა წმიდას.

ბურჟუაზიულ დემოკრატიას სწამს, რომ კერძო საკუთრების გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, რომ მხოლოდ ის არის სოციალური პროგრესის ქვაკუთხედი. თუ ისპობა კერძო საკუთრება, ამით ისპობა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა, ჩერდება საწარმოო ძალთა განვითარება, ეცემა ან ერთ ადგილზე იყინება წარმოება. ასეთი არგუმენტი არის სერიოზული არგუმენტი ბურჟუაზიის ხელში სოციალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ ნოე ჟორდანია სოციალისტია და წარმოიდგინეთ... მარქსისტიც! თუ ეს ასეა, მაშინ მას უნდა სწამდეს, რომ სოციალისტური წარმოება არ მოასწავებს მრეწველობის დაცემას და განადგურებას, უნდა სწამდეს, რომ პროლეტარული გადატრიალება გზას უკაფავს საწარმოო ძალთა სწრაფ განვითარებას. და ბოლოს, მას უნდა სწამდეს, რომ დღევანდელ ხანაში ბურჟუაზიული საკუთრება რეგრესიული მოვლენაა, რომ ის ხელს უშლის საწარმოო ძალების განვითარებას და ფართედ გამოყენებას.

სწამს თუ არა ეს სერიოზულათ ჩვენს ავტორს? არა, არ სწამს. მას არ შესწევს სოციალისტური გამბედაობა უარჰყოს ბურჟუაზიული დემოკრატიის წმიდათა-წმიდა—კერძო საკუთრება. ის რჩება კერძო საკუთრების ნიადაგზე, თრთის და კანკალებს, როდესაც მას საშიშროება მოელის პროლეტარული რევოლიუციისაგან.

„კერძო კაპიტალისტური მრეწველობა მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობაა“ (გვ. 51, ხაზი ჩვენია. კ. ო.), ასე ამბობს ნოე ჟორდანია. და თუ ვინმემ გაბედა და შეეხო ამ კერძო საკუთრებას, მაშინ ის მორთავს კივილს და წყევლა-კრულვას გაუგზავნის ამ „ბარბაროსებს“.

კმარა! ნოე ჟორდანიამ სთქვა თავისი საბოლოო სიტყვა. მან პრაქტიკული დასკვნა გააკეთა თავისი „თეორეტიული“ კვლევა-ძიებიდან. ეს დასკვნაა—კერძო საკუთრებაზე ზრუნვა, მისი დროშის ქვეშ ბრძოლა.

ძნელია თანამედროვე ლიტერატურაში ისეთი „ნაშრომის“ პოვნა, როგორიც არის ნოე ჟორდანიას „საბჭოთა წყობილება“. ეს—იშვიათი ეკზემპლიარია. ამ პატარა წიგნაკში იმდენი აბდა-უბდაა გამოთქმული, იმდენი წაღმა-უკუღმობაა, იმდენი სიყალბეა, რომ პირდაპირ არ იცი—საიდან დაიწყო კრიტიკა. ჩვენ განზრახ გამოვყავით მთავარი საკითხები, რომლებიც ამ წიგნაკშია დასმული და განზე დავტოვეთ უფრო წვრიმალი.

ეს პატარა წიგნაკი დაწერილია ნ. ჟორდანიას მიერ, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსათ, მის იდეურ ბელადათ ითვლება. ეს წიგნაკი—დოკუმენტია, დამამტკიცებელი ქართველი სოციალ-დემოკრატიის იდეური სილარიბის, მისი სრული იდეური გაკოტრების.

ამ წიგნაკში ნოე ჟორდანიამ ბოლომდის გამოაშკარავა თავისი კონტრ-რევოლიუციონური, ანტი-პროლეტარული ბუნება; მან უარჰყო პროლეტარული რევოლიუცია და პროლეტარიატის დიქტატურა როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში; მან უარჰყო რუსეთის მშრომელებთან კავშირი, უარჰყო ინტერნაციონალის იდეა.

მარქსიზმის ნაცვლად—საცოდავი ოპორტუნიზმი, სოციალისტური რესპუბლიკის ნაცვლად—ბურჟუაზიულ-დემოკრატ. რესპუბლიკა, ინტერნაციონალიზმის ნაცვლად—ნაციონალიზმი, სოციალიზმის იდეის ნაცვლად—კერძო საკუთრების იდეა,—ასეთია ნოე ჟორდანიას მოძღვრების მთელი შინაარსი, ასეთია მისი ალფა და ომეგა.

ყოველ ქართველ მუშამ, ყოველ ქართველ გლეხმა უნდა იცოდეს, რომ ნოე ჟორდანიამ ერთხელ და სამუდამოთ კავშირი გასწყვიტა მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან და სოციალიზმთან და გადაბარგდა პროლეტარული რევოლიუციის მტრების ბანაკში.

კ. ორაგველიძე.

21 სექტემბერი, 1925 წელი.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ №№ 210, 211, 221, 222, 224, 228.

**) იხ. ნ. ჟორდანიას—За два года, გვ. 53.

***) იქვე, გვ. 55.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის უჯრედების ბიუროების გადარჩევისათვის

საქართველოს ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის ტფილისის კომიტეტმა დაადგინა, რომ სექტემბრის დამლევიდან 10 ოქტომბრამდე ჩაატაროს უჯრედების ბიუროების ხელახალი გადარჩევა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სამი თვის წინად ჩატარებული არჩევნები ვერ იძლეოდენ სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგებს, რადგან ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შეცდომებს, რომლებსაც ჩვენი უჯრედების ბიუროების ხელახალი არჩევნების დროს ბოლო უნდა მოუღოთ.

რა ძირითადი ამოცანებია წამოჭრილი დღევანდელი არჩევნების დროს?

პირველი ამოცანა, რომელიც მოითხოვს სათანადო გადაჭრას, ეს ის არის, რომ უჯრედების ბიუროების გადახალისება უნდა მოხდეს 50—60 პროცენტით. ამას ჩვენ გვიკარნახებს უჯრედებში ფართე და მტკიცე აქტივის შექმნის აუცილებლობა.

მეორე ამოცანაა—უჯრედების ბიუროების მუშაობაში პარტიული აქტივის ჩაბმა. უნდა ვეცადოთ, რომ ლოზუნგს—„უჯრედის მდივანი უნდა იყოს პარტიის წევრი ან კანდიდატი", ხორცი შევასხათ, რადგან ეს არის ერთ-ერთი საშუალება უჯრედების საერთო მუშაობაზე პარტიული გავლენის გასატარებლად.

მესამე ამოცანა, რომელიც არის შემთხვევაში არ უნდა გამოგვებაროს მხედველობიდან არჩევნების დროს ის არის, რომ ბიუროებში დაცული უნდა იქნას ეროვნულის მხრივ სწორი შემადგენლობა.

მეოთხე ამოცანა, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია და რომელსაც უნდა მიექცეს მეტად სერიოზული ყურადღება, არის ახალგაზრდა ქალთა ჩაბმა ბიუროებში. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დღემდე ამ მხრივ ჩვენ საგრძნობლად მოვისუსტებდით. ახალგაზრდა ქალების წამოყენება აქტიურ სამუშაოებზედ ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ეს უეჭველად დიდი არა ნორმალური მოვლენაა, რასაც უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

სწორედ ამ ამოცანების სათანადო გადაჭრის ნიშნის ქვეშ უნდა ჩატარდეს ბიუროების ხელახალი არჩევნები.

თვითეული კომკავშირელი ვალდებულად უნდა სთვლიდეს თავის თავს რათა შეგნებულად შეხვდეს ამ არჩევნებს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში. ეს მით უმეტეს, როდესაც ჩვენ უჯრედებს მოსწყდება მრავალი აქტიური მუშა ამხანაგი, რომლებიც 1908 წელში არიან დაბადებულნი და გაწვეულნი იქნებიან წითელ ჯარში.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენგან მოითხოვს სათანადო პასუხს: ჩვენი უჯრედების პასუხისმგებელმა მდივნებმა, რომლებიც უჯრედებში გააკეთებენ საანგარიშო ხასიათის მოხსენებებს, კარგად უნდა დაიმახსოვრონ ისიც, რომ ამ მოხსენებებს არ ჰქონდეს „კამპანიური" ხასიათი, როგორც ამას ხშირად ჰქონდა ადგილი.

მოხსენებებში უნდა აღნიშნული იქნას, როგორც მიღწევები, ისე უარყოფითი მხარეები და დაშვებული შეცდომები. „ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, ჩვენთან ყველაფერი რიგზეა" და სხვა ასეთ მსგავს გამოთქმებს, რომლებითაც წინად აფასებდნენ ამა თუ იმ უჯრედის საერთო მუშაობას—დროა საბოლოოდ გავემიჯნოთ. ყველა ამხანაგმა მოხსენებების გარშემო უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა და თვითეულ საკითხზე პრაქტიკული ღონისძიებანი უნდა იქნეს გამომუშავებული. მოხსენებების გარშემო გრძელ-გრძელი „რეზოლიუციები" ან და მოხსენების „ცნობად" მიღება, რაც ჩვენს პრაქტიკაში სისტემად იყო გადაქცეული—ძირფესვიანად უნდა ამოიფხვრას.

ა—ლი.

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა რაჭის მაზრაში

რაჭის სამაზრო პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 25 უჯრედს. ამათში 17 უჯრედი ნორმალურად მუშაობს. აქ პარტიული ამხანაგების პოლიტიკური განვითარების დონეც მაღალია და დისციპლინაც თავის სიმაღლეზე სდგას. რაც შეეხება დანარჩენ 8 უჯრედს, მათი მუშაობა მოისუსტებს. ამისათვის სამაზრო პარტკომმა ამ უჯრედებზე მიამაგრა ცენტრში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებსაც ცოცხალი კავშირი აქვთ მათთან. იმ თემებში, სადაც უჯრედები არ არსებობენ, ჩამოყალიბებულია საკანდიდატო ჯგუფები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უპარტიოთა შორის მუშაობის გაძლიერებაში. ამ საკანდიდატო ჯგუფებზე აღებული აქვს შეფობა ქ. ონის მუშა-მოსამსახურეთა კომუჯრედს, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას უწევს მათ. სხვათაშორის აქ ისიც უნდა იქნეს აღნიშნული, რომ კომუჯრედები ერთიმეორისაგან შორი მანძილით, 7—15 ვერსით არიან დაშორებული. თვით სამაზრო ცენტრიდან კი განაპირა უჯრედები დაშორებულნი არიან 50—55 ვერსით. ასეთ პირობებში რას უნდა გახდეს ერთი ინსტრუქტორი, რომელიც მაზრას ჰყავს? ცხადია, ვეროფერს. უჯრედებზე მტკიცე პარტხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად აუცილებლად საჭიროა ინსტრუქტორთა რიცხვის გადიდება, წერილობითი კავშირის გარდა ცოცხალი კავშირის დამყარებაც პასუხისმგებელ ამხანაგების ადგილებზე დათვალიერების მიზნით ხშირ-ხშირი გამგზავრებით და სხვ. სანამ ამ ამოცანას სათანადოთ ვერ გადავსჭრით, მანამ პარტმუშაობასაც ვერ გამოვაცხოველებთ.

ქვის მთლელი

ქ. სურამის კომუჯრედი

ზემოხსენებული უჯრედი აერთიანებს 12 წევრს და 5 კანდიდატს. უნდა ვსთქვათ, რომ განსაკუთრებით ამ ბოლო დროს უჯრედში მუშაობა მეტად გამოცხოველდა: თავის დროზე იმართება კრებები, რომლებსაც ამხანაგები უკლებლივ ესწრებიან, ეწყობა უჯრედის ღია სხდომებიც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს უპარტიოთა პოლიტიკურად მომზადების საქმეში და სხვ. მაგრამ აქ სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი. უჯრედს არავითარ დახმარებას არ უწევს შეფი, რომელიც უკვე რამოდენიმე თვეა რაც არ მოვლინებია უკანასკნელს. გარდა ამისა პარტიული ამხანაგების პოლიტიკური განვითარების დონეც ვერ სდგას თავისი სიმაღლეზე, რითაც აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენი უჯრედი ვერ აწარმოებს სათანადო მუშაობას მახლობელ სოფლებში. საჭიროა ხაშურის რაიკომმა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად აღმოუჩინოს უჯრედს ყოველმხრივი დახმარება.

ი. გოგოშიძე.

შეფების მუშაობის გარშემო

სოფ. სანახშირო

შორაპნის შავი ქვის კომუჯრედს შეფობის ქვეშ აყვანილი ყავს სოფ. სანახშირო (ზესტაფონის რაიონი). სოფ. სანახშირო ჩამორჩენილია როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად. მას არ გააჩნია არც გაზეთი, არც სამკითხველო, ადგილობრივად არის ერთი შრომის სკოლა, რომელიც ძალზე დაზიანებულია და სხვა. საშეფო კომისიას სწორედ ამისათვის უნდა მიექცია განსაკუთრებული ყურადღება და თავისი მუშაობაც ამ არანორმალური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად უნდა წარემართა. მაგრამ პირველ ხანებში ზემოხსენებულ უჯრედის საშეფო კომისიის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა. დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა. შეფმა თავისი თაოსნობით შეაკეთა სასწავლებელი, სადაც ამ ჟამად 70-დე მოწაფე სწავლობს, გახსნა სამკითხველოც, რომელსაც დაუნიშნა ჯამაგირიანი გამგე, გამოუწერა სხვადასხვა ჟურ.- გაზეთები, სკოლის მოსწავლეებს დაურიგა რვეულები, ფანქრები, წიგნები და სხვა. ერთისიტყვით, უნდა ვსთქვათ, რომ შეფმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ჩვენს სოფელს, რითაც როგორც პარტიულები, ისე უპარტიო მასსა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ.

ხადვიწაშვილი ლი.

სოფ. წყნეთი

ა. წ. მაისის თვემდე სოფ. წყნეთზე (ტფილისის მაზრა) შეფობა ჰქონდა აღებული ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართველოს კომუჯრედს. შეფის დაუღალავმა მუშაობამ ჩვენს სოფელს დიდი სარგებლობა მოუტანა: მისი თაოსნობით ადგილობრივად დაარსდა კოოპერატივი, გამოჯანსაღდა გლეხკომის მუშაობა, ამასთანავე საშეფო კომისია ყოველ ჩამოსვლისთანავე აწყობდა მოხსენებებს, წარმოდგენებს, რაც მეტად ხელს უწყობდა გლეხობის გათვითცნობიერების საქმეს. მაგრამ რადაც მიზეზის გამო ძველი შეფი მაისის თვეში მოხსნილი იქნა და მის მაგივრად დაინიშნა სახელმწიფო ბანკის შეფი, რომელიც მხოლოდ ერთხელ გამოცხადდა, დაპირდა გლეხობას ყოველ მხრივ დახმარებას, სოფლის აყვავება-აღორძინებას და მას შემდეგ გაქრა მთელი ზაფხული და ის ჩვენს სოფელში არავის უნახავს. საჭიროა ჩვენმა ახალმა შეფმა გამოიღვიძოს და მით მან გაამართლოს თავისი არსებობა.

მეთვალყურე.

ქალთა შორის მუშაობა

მცხეთა

უკვე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მცხეთაში არსებობს ქალთა ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 21 დელეგატი-ქალი. პირველ ხანებში ორგანიზაციის მდგომარეობა ცუდი იყო, რადგან მას არ ჰქონდა თავისი საკუთარი ბინა და სხვა ტექნიკური მოწყობილობა. მაგრამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ამხ. ვ. კახტილოევას ენერგიული მუშაობით ყველაფერი მოგვარებული იქნა. დღეს ორგანიზაციას აქვს ბინა, დროშა, საკმაო ლიტერატურა, დაარსებულია ჭრა-კერვის სკოლაც, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის გლეხ-ქალებისათვის, მუშაობს ქალთა წრეც, სადაც დროგამოშვებით ეწყობა მოხსენებები და ლექციები. ასე რომ მუშაობა სასურველი ტემპით მიმდინარეობს.

გ. ოსტატელი.

ტფილისის ორგანიზაციაში

ლენინის რაიონის დეპოს და მთავარ სახელოსნოების კომუჯრედების გაერთიანებული კრება

ამ დღეებში შესდგა ლენინის რაიონის დეპოს და მთავარ სახელოსნოების კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო პარტიის 720 წევრი და 149 კანდიდატი. კრების დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: მოხსენება მთავარ სახელოსნოსთან არსებულ შემფასებელ ბიუროს მუშაობის შესახებ. მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ამხ. ვარამოვის მოხსენება შემფასებელ ბიუროს მუშაობის შესახებ, მუშაობა ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად. ამასთანავე ვთხოვოთ ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს საკონფლიქტო შემფასებელ კომისიებში გადმოგზავნოს სახელმძღვანელოდ ინსტრუქციები შრომის კოდექსის კანონთა მიხედვით, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს უფრო სწორად წავმართოთ მათი მუშაობა".

ქ—ძე.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლები

თუ ჩვენ ვერ ავამაღლეთ გლეხკაცობის კულტურული განვითარების დონე, თუ სოფლად მომუშავე აგრონომების საშუალებით ფართოდ არ დავაყენეთ აგრონომიული ცოდნის მიწოდების საქმე,—ლაპარაკი ჩვენი სასოფლო სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზედმეტია.

ერთ-ერთი ღონისძიება, რომ სასურველით გადავჭრათ ეს ამოცანა, არიან სოფლის ახალგაზრდობის სკოლები.

გასულ წელს სახალხო განათლების კომისარიატმა რესპუბლიკის მასშტაბით გახსნა სოფლის ახალგაზრდობის ცხრა სკოლა, რომლებიც სათანადოთ ვერ იყვნენ ნივთიერად უზრუნველყოფილი.

მიმდინარე წელს ამ სკოლების რიცხვის აყვანა განსაზღვრულია 30-დე.

რას წარმოადგენს სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და რითი განსხვავდება ის სოფლად ამჟამად არსებულ სკოლისაგან?

სოფლად არსებული მთლიანი შრომის სკოლები უშუალოდ არ არიან დაკავშირებული სასოფლო მეურნეობასთან, სოფლის ახალგაზრდობის სკოლები კი—პირიქით.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა მიზნად ისახავს მოამზადოს ისეთი მოქალაქე, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებლად გაერკვეს სასოფლო-სამეურნეო საკითხებში. კულტურული გლეხკაცი, რომელიც უნდა მოგვცეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლამ, საუცხოვო მშენებელი იქნება ახალი სოფლისა.

ამასთანავე თუ ქალაქად საქარხნო-საფაბრიკო სკოლები მიზნად ისახავენ მოამზადონ წარმოებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრი, სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მთელი მუშაობაც იქითკენ არის მიმართული, რომ მოამზადოს ისეთი გლეხები, რომლებიც კულტურული წესით დაამუშავებენ თავიანთ მეურნეობას და ასწევენ მათ შრომის ნაყოფიერებას.

მაგრამ, რომ გლეხური ახალგაზრდობის სკოლებმა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მასიური გავრცელების საქმე სათანადო სიმაღლეზე დააყენონ, ამისათვის საჭიროა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, პარტიამ, კომკავშირმა და სოფლის კულტურულ დაწესებულებებმა სათანადო დახმარება აღმოუჩინონ მათ, რადგან ჩვენში ამ სკოლებს ნაკლებად იცნობენ.

დღემდე სოფლის ახალგაზრდობის სკოლა გაგებული იყო, როგორც წერა-კითხვის და აგრონომიული უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა; ამიერიდან ეს სკოლა წარმოადგენს ოთხწლედის პირდაპირ გაგრძელებას. სკოლის სამოსწავლო კურსი შეიცავს სამ წელს, რადგანაც გლეხკაცს მეტ ხანს არ შეუძლია თავისი შვილი გაუშვას სკოლაში და მოაცილოს მეურნეობას. სკოლაში უმთავრესად ღებულობენ ღარიბ-ღატაკთა შვილებს. სოფლის ახალგაზრდობის სკოლები არსდებიან ისეთ თემებსა ან რაიონებში, რომლებიც კულტურულ-ეკონომიურ ცენტრებს წარმოადგენენ. სკოლები, გარდა იმისა, რომ ამ სკოლების მსმენელი-გლეხები სწავლობენ სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, აწარმოებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობასაც; ეხმარებიან გლეხკომებს, მუშაობენ კოოპერაციის მოწყობის საქმეში და სხვა. მაგრამ ყველა ეს მუშაობა წარმოადგენს ნაწილს იმ მუშაობისას, რომელსაც სკოლა წინასწარ ისახავს.

სკოლებში თავმოყრილი ახალგაზრდა გლეხები კოლექტიურად ამუშავებენ როგორც სკოლებთან არსებულ მამულებს, ისე სკოლებში მოსწავლეთა და გლეხური ოჯახების მამულებსაც.

აი ასეთი გზით გლეხური ახალგაზრდობის სკოლა მჭიდროთ უკავშირდება გლეხურ მეურნეობას და ის ხდება გლეხობის საუკეთესო მოამაგე.

ამასთანავე ერთად გლეხური ახალგაზრდობის სკოლა მთავარ ყურადღებას უნდა აქცევდეს ახალგაზრდა ქალების ჩაბმის საქმესაც სასკოლო მუშაობაში. ამისათვის სოფლის ახალ. სკოლებთან უნდა მოეწყონ წრეები, როგორიც მაგ. ჭრა-კერვის, ბავშვთა მოვლის და სხვ., მაგრამ ყოველივე ამ ზემოხსენებულთა ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ამ სკოლების ისეთი მომზადებული მასწავლებლებით შევსება, რომლებიც კომუნისტურად აღზრდიან მოსწავლეებს და მათ მიაწვდიან აუცილებელ ცნობებს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებიდან. დღეს გლეხური ახალგაზრდობის სკოლებისათვის შესაფერ მასწავლებელთა კადრის შექმნა—ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლებს ესაჭიროებათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სამოსწავლო ნივთები, ბიბლიოთეკა, კარგად მოწყობილი შენობა და სხვა. შესაძლებლობის ფარგლებში სასურველია სკოლასთან საერთო საცხოვრებლის მოწყობაც.

მაგრამ ადგილობრივ ბიუჯეტის საშუალებით სკოლების აწრიგად მოწყობა შეუძლებელია, თუ ცენტრმა ამას არ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება.

შ. სიხარულიძე.

ეყოფა ებრაელებს ამდენი ჩამორჩენილობა*)

ქუთაისის ებრაელთა შორის დაარსდა კულტურული კომისია, რომელიც მუშაობდა პარტკომთან შეთანხმებით. სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხთან ერთად ხელმეორედ წამოიჭრა ებრაელთათვის შრომის სკოლის დაარსების საკითხი. კულტკომისია ენერგიულად შეუდგა საქმეს. ფართო აგიტაციით შეიჭრა ის მასაში და სახელი მოუხვეჭა ებრაელთა შორის ამ იდეას. მთელი მასა აღფრთოვანებით მოელოდა სკოლის გახსნას. რასაკვირველია ამ დიად საქმეს ჰყავდა ბევრი მტრებიც. ესენი იყვნენ ის პირები, რომელთაც ხელს არ აძლევდათ და არც დღეს აძლევთ, რომ ხალხს შეგნება შესწევდეთ გამორკვიონ რა ხდება ამ წუთისოფელზე. კულტკომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას. დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც გაიარა 300-დე მოზრდილ ებრაელთა ქალებმა და კაცებმა. ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში. მთელი მასა დაინტერესდა სწავლა-განათლებით და მასზე დაიწყო ოცნებობა.

მოახლოვდა ახალი სამოსწავლო წელი. აღმასკომმა ახალ საბიუჯეტო წელში სათანადო თანხები გაიღო სკოლის გახსნისათვის. განათლების განყოფილებამ შენობაც გამოძებნა და დაავალა კულტკომისიას ებრაელთა ბავშვების რეგისტრაცია სკოლისათვის. მთელი საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ამ დადგენილებას. კულტკომისიის წევრებს გზაზე არ ატარებდენ ჩქარა ჩემი შვილი ჩარიცხეთო.

მაგრამ მთელი ებრაელების შავრაზმელები დაირაზმნენ, მთელი ბნელეთი დაიხმარეს და შეადგინეს „დელეგაცია". ისინი ყოველ კუთხეში გაჰკიოდნენ: „არ შეიყვანოთ თქვენი ბავშვები სკოლებში, არ ასწავლოთ მათ, თორემ ებრაელობა დაიღუპება, სარწმუნოებას აღარავინ იქამებსო". ამასთანავე ჩუმად ჩასჩურჩულებენ მამებს ყურში: „ბოლშევიკები გახდებიან და გადატრიალება, რომ მოხდება, მაშინ რაღას იზამთო". აი ასეთ პირებმა შეადგინეს „დელეგაცია". თურმე ეს „დელეგაცია" გაიხლათ აღმასკომში და „ხალხის" სახელით სთხოვა აღმასკომს სკოლა არ გახსნათო. ძალიან საინტერესოა, რომელი ხალხის სახელით ილაპარაკა ამ დელეგაციამ?

კულტკომისიამ პასუხად მიიღო: „სკოლა არ გაიხსნება: „დელეგაცია" იყო და წინააღმდეგობა გამოაცხადაო".

ვფიქრობ, ამ ფაქტს ბევრი კომენტარიები არ ესაჭიროება. თავისთავად ცხადია, რომ დაშვებულია დიდი შეცდომა და საჭიროა მისი სწრაფად გამოსწორება. ბნელეთი სიხარულით აივსო ამ გამარჯვებით. მათ ქუჩაზე დიდი უქმე დადგა.

ქუთაისში ებრაელთათვის სკოლის გახსნის საკითხი უნდა იქნეს დღის წესრიგში დაყენებული და ის დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას. დრო აღარ იცდის. ეყოფა ებრაელობას ამდენი ჩამორჩენილობა.

მ. კაკიტელაშვილი.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

რედ.

სვანეთი

IV

ყველაზე უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს სვანეთის დღევანდელი ახალგაზრდობა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ ახალგაზრდობაში დღეს სერიოზული და ღრმა ცვლილებაა მომხდარი. ეს ახალგაზრდობა უკვე ხედავს და გრძნობს, რომ ძველებურად ცხოვრება მას უკვე აღარ შეუძლია. იგი მისწრაფვის წინ, სწავლა-განათლებისაკენ; მაგრამ სამწუხაროდ, აქ ბევრი დაბრკოლება ხვდება მას წინ. ჯერ ერთი ის, რომ სიღარიბე მას ამის საშუალებას არ აძლევს; მეორე მხრით, არც მთავრობას აქვს შეძლება მთელი ეს ახალგაზრდობა დააკმაყოფილოს მით, რომ ყველას მისცეს შეძლება სწავლის მიღებისა თუ გაგრძელებისა უმაღლეს სასწავლებელში. აქაა სვანეთის ახალგაზრდობის ტრაგედია, და განა მარტო სვანეთის! ეს ტრაგედია ორკეცდება კიდევ იმით, რომ ამ სწავლისათვის მოწყურებულ ახალგაზრდობას, რომელსაც აგრეთვე ახალგაზრდათა კომკავშირში შესვლა სურს, არა ჰყავს შესაფერი ხელმძღვანელი. აქ ჩვენ დიდი საშიშროება გვაქვს წინ იმ მხრით, რომ თუ დროზე ვერ დაუშველეთ ამ ახალგაზრდობას, იგი გულს აიცრუებს ყველაფერზე ან მრუდე გზით დაიწყებს სიარულს. ორივე ამ საშიშროებას ჩვენ უნდა შევებრძოლით, რათა სვანეთის ახალგაზრდობა ვიხსნათ მისგან. არ უნდა იქნეს დავიწყებული ის გარემოება, რომ სვანი მხოლოდ ეხლა იღვიძებს საუკუნოებრივი ძილისაგან, რომ იგი მხოლოდ ეხლა ეწაფება სწავლა-განათლებას და საერთოდ იგი მხოლოდ ეხლა იწყებს კულტურულ ცხოვრებას. ერთმა სოფლის მასწავლებელმა ლატალის თემში, რომელიც წინად საქართველოს სხვადასხვა სოფლებში ყოფილა მასწავლებლად და რომელსაც ამ მხრით დიდი გამოცდილებაც აქვს, გადმომცა, რომ სვანი-ბავშვი შესანიშნავ ნიჭს იჩენსო. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ სვანები ნიჭიერი ხალხია და მათ კარგი მომავალი აქვთ.

მეტად საგულისხმიეროა ამ მხრივ შემდეგი გარემოება: როგორც ვიცით, სვანები თვით ბუნებრივ პირობების მეოხებით ყველასაგან მოწყვეტილნი არიან და მასთან მეტად ჩამორჩენილი, და ისინი აქამდე საგვარეულო წესწყობილებას ვერ გასცილებიან. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ხალხი ზურგს შეაქცევდა ყოველივე ცვლილების შეტანას თავის ყოფა-ცხოვრებაში და ზნე-ჩვეულებებში. ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ იგი ეჭვის თვალით შეხედავდა ყოველივე ასეთ ცდას. სინამდვილეში კი ჩვენ სრულებით სხვას ვხედავთ. სვანები გასაოცარი მონდომებით და ნდობითაც ეტანებიან ყოველივე ახალს. სწავლა-განათლების და სკოლების შესახებ ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რა დიდი სურვილი აქვთ მათ დღეს ამ მხრით. ასევე უნდა ვსთქვათ მკურნალობის შესახებ; როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები არა თუ არ გაურბიან ექიმებს, და ნასწავლ ბებია-ქალებს, არამედ დიდი მოწადინებით მიდიან მათთან. და ეს სულ ერთი წლის საქმეა. წინად ექიმი სვანეთში მხოლოდ სახელად იყო. ეხლა მარტო ზემო სვანეთში ორი საავადმყოფოა მწოლიარე ავადმყოფებისათვის და გარდა ამისა კიდევ ორი საექიმო პუნქტი. ორივე საავადმყოფო გავსილი იყო ორივე სქესის ავადმყოფებით, მათ შორის უმეტესობა ქირურგიული ავადმყოფები იყვნენ, რომელთაც გაკეთებული ჰქონდათ სერიოზული ოპერაციები—ყველას კარგად. რამდენადაც მე საშუალება მქონდა გამეგო ადგილობრივ დათვალიერების დროს, არ ყოფილა თითქმის არც ერთი შემთხვევა, როცა სვანები უნდობლობით მოქცეოდნენ ექიმებს. ჩვენი ექიმები, უნდა ითქვას ეს იმათ სასახელოდ, თითქმის ყველანი დიდი მონდომებით და ენერგიით ეწევიან თავის სამსახურს სვანეთში. და თავისი ცოდნით პირდაპირ აოცებენ სვანებს. სხვათა შორის ისინი ჩიყვიანებს ანთავისუფლებენ ჩიყვიდან,—ეს არის სპეციფიური სვანური სენი, რომელსაც განსაკუთრებით მხოლოდ სვანეთში აქვს ადგილი.

აღსანიშნავია აქვე ისიც, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, სვანებს აქა-იქ მიუყვიათ ხელი თავიანთ სვანურ სახლების გადასაკეთებლად ევროპიულ ყაიდაზე. მართალია, ცვლილება ამ მხრით ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე წლის საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ეს მეტად კარგი მაჩვენებელია.

ყოველივე ზევით ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ სვანები არა თუ არ გაურბიან ცვლილების შეტანას თავის ცხოვრებაში, არამედ სიხარულით ეგებებიან ყოველივე ახალს, თუ ამის სარგებლობაში ოდნავაც არის მაინც დარწმუნდენ.

3. სვანეთის „გზები".

გზების საკითხი ყველაზე უფრო საყურადღებო და ყველაზე უფრო მეტად მწვავე საკითხია სვანეთისათვის. გზა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სვანეთში არ არსებობს. როცა სვანეთის გზებზე ლაპარაკობთ, საჭიროა დაივიწყოთ თითქმის ყოველივე ის, რაც საზოგადოთ ახასიათებს გზას. სვანური გზა—ეს სრულიად სხვა რამეა. გაჭირვებულმა ცხოვრებამ ათასოვან წლების განმავლობაში დააჩვია სვანი ისეთ ადგილებზე სიარულს, რაც უჩვეულო ადამიანისათვის ყოვლად წარმოუდგენელია. ცხოვრების მკაცრი პირობები იძულებულ ყოფენ სვანს გადალახოს მან უზარმაზარი ქედები ზამთარ-ზაფხულ, და კიდევაც მრავალი სვანი ხდება მსხვერპლი ასეთი მოგზაურობის, განსაკუთრებით ზამთარში.

სვანეთში ყოფნის დროს მე დავრწმუნდი იმაში, რომ სვანს თითქმის ყოველგან შეუძლია გადალახოს უმაღლესი მთები როგორც ჩრდილოეთისაკენ, ისე სამხრეთისაკენ. აქვე რომ კავკასიონის უმთავრეს მთაგრეხილზე სვანები გადადიან, რა თქმა უნდა, ფეხით შვიდ ადგილას და გადაყავ-გადმოყავთ საქონელიც. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულობით. ამდენივე და კიდევ მეტი გადასასვლელია ზემო სვანეთიდან ქვემო სვანეთში, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში. მაგრამ ვაი იმისთანა გადასვლას და გადმოსვლას. ესაა ნამდვილი ტანჯვა და წვალება. და მასთან უზომოდ ხარჯვა ადამიანის ძალის და ენერგიის.

სვანეთის გზებში უნდა ცალკე გამოვყოთ ორი გზა ანუ ორი საცხენოსნო და საქვეითო ბილიკი, ერთი ჯვარის მიმართულებით, რომელიც ზემო სვანეთს აკავშირებს ზუგდიდის მაზრასთან; მისი სიგრძე დაახლოვებით სოფ. ჯვარიდან მესტიამდე 120 ვერსი იქნება. ამ გზის დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ზაფხულობით, როცა ლატფარის უღელტეხილი გახსნილია, ყველანი უპირატესობას ლატფარის გადასავალს აძლევენ. მეც ასე მირჩიეს ყველამ, როცა სვანეთში მივემგზავრებოდი. მაგრამ როცა ზამთარში ლატფარის უღელტეხილი იხურება თოვლის გამო, მაშინ ჯვარის გზა უმთავრეს, თუმცა არა ერთად ერთ, დამაკავშირებელ საშუალებად რჩება ზემო-სვანეთისა და ისიც ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილის ანუ ყოფილი სადადეშქელიანო სვანეთისათვის. ზემო სვანეთის აღმოსავლეთის ნაწილი ანუ ყოფილი თავისუფალი სვანეთი იშვიათად თუ ამ გზით სარგებლობს ზამთრობითაც. ზემო სვანეთის ეს ნაწილი ზამთარში უპირატესობას აძლევს სხვა მიმართულებით სიარულს. ერთი ასეთი მიმართულება არის კალის თემიდან ქვემო სვანეთში მუშურის მთის მწვერვალებზე. საქმე იმაშია, რომ ამ მწვერვალებზე ქარის გამო თოვლი ვერ ჩერდება. და აი გაჭირვებული სვანი სარგებლობს ამ გარემოებით მიმოსვლისათვის. მაგრამ ეს მეტად სახიფათოა და ხშირად უბედურებით თავდება მგზავრისათვის, მეტადრე თუ მას მოასწრო ამ მწვერვალზე ავდარმა, ქარბუქმა, თოვლმა და სხვ. ამ დროს მგზავრი გორდება ხრამში და იღუპება. მეორე მიმართულება უშგულის თემიდან ზაგარის უღელტეხილით და შემდეგ მდ. ცხენის წყალის ხეობით, სწორედ იმ გზით, რომლითაც მე მომიხდა ზემო სვანეთიდან უკან დაბრუნება. მაგრამ აქ მოდის მაღალი თოვლი, მგზავრები კარგავენ მიმართულებას და იღუპებიან. უბედურების თავიდან ასაცილებლად და მიმართულების გამოსაცნობად—ზაფხულში სვანები მიწაში არჭობენ ხეებს. ასეთი სვეტები ჩვენ ბევრი შეგვხვდა ჩვენი მოგზაურობის დროს.

ზემო სვანეთში გადასავალი მეორე საცხენოსნო გზა არის ლატფარის უღელტეხილი, რომლითაც მე გადავედი იქით და რომელიც მე არა ერთხელ მაქვს მოხსენებული ამ წერილში. ზაფხულობით ეს გზა ზემო სვანეთში სამოგზაუროდ ყველაზე უფრო კარგ გზად უნდა ჩაითვალოს; ის ბევრად უმჯობესია იმ გზაზედაც, რომელიც ჯვარის მიმართულებით არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზამთრობით ლატფარის უღელტეხილი გადაუვალია.

ასეთია დაახლოვებით სვანეთის გზები. მაგრამ იმისთვის, რომ ამ გზებზე ცოტად თუ ბევრად სწორი წარმოდგენა იქონიოს ადამიანმა, საჭიროა ადგილობრივ იმათი გაცნობა. თუ ზაფხულობით სვანეთთან რამოდენიმედ მაინც შესაძლებელია მიმოსვლა და კავშირის დაჭერა, ზამთრობით მასთან თითქმის ყოველგვარი მიმოსვლა და კავშირი შეუძლებელია, ზამთარი კი იქ გრძელდება 7—8 თვე, და ამ ხნის განმავლობაში ეს მხარე პირდაპირ მოწყვეტილია ჩვენგან. ეს მოწყვეტილობა ორკეცდება კიდევ იმ გარემოებითაც, რომ სვანეთში, არც ზემო და არც ქვემოში, არაა, არც ტელეგრაფი *) და არც ტელეფონი.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება მომავალში სვანეთის ხალხისთვის შეუძლებელი იქნება. ყველა სვანი დიდიდან პატარამდე ამას გრძნობს. თუ სვანეთის მოწყვეტილობას, ე. ი. მის უგზოობას რამე არ ეშველა, ისე სვანებს სიცოცხლე აღარ შეეძლებათ.

აშკარაა, რომ სვანეთში გზა აუცილებლად უნდა იქნას გაყვანილი, ისეთი გზა, რომელიც ზამთარ-ზაფხულ შესაძლებლად გახდის სვანეთში მიმოსვლას, სვანეთთან კავშირს, რომელიც უზრუნველყოფს სვანეთში არა თუ ურმის და ეტლის, არამედ ავტომობილის სიარულსაც. ასეთი გზა გამოიყვანს სვანეთის ხალხს პირველყოფილ მდგომარეობიდან და გაუძღვება მას წარმატებისა და განვითარებისაკენ. მაგრამ ამისთვის დიდი ხარჯი, დიდი თანხაა საჭირო. საქართველოს მთავრობას უკვე გადაწყვეტილი აქვს ამ გზის გაყვანა რაც შეიძლება ახლო მომავალში, რისთვისაც უკვე ჯვარის მიმართულებით გამოკვლევა სწარმოებს. ეს გამოკვლევა ჯერ დამთავრებული არაა და მამასადამე, ჯერ შეუძლებელია სისწორით იმის თქმა, თუ რა ეღირება ამ გზის გაყვანა, ან რა ვადაში დასრულდება მისი გაკეთება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ზამთარში ეს საკითხი სავსებით გამოირკვევა, და მომავალ გაზაფხულიდან შესაძლებელი იქნება სვანეთის გზის კეთება დაწყებულ იქნას.

მაგრამ სვანეთის გზის ამ პროექტის გვერდით, არსებობს კიდევ მეორე პროექტი ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მიმართულებითაც, და ამ ნიადაგზე თვით სვანეთის ხალხში ერთგვარი უთანხმოება არსებობს. მდგომარეობა ასეთია: ზემო სვანეთის აღმოსავლეთი ნაწილი (დაახლოვებით 7 თემი: ლატალი, ლენჯერი, მესტია, ფარი, მულახი, კალი და უშგული) და მთელი ქვემო სვანეთი დაინტერესებული არიან, რომ ზემო სვანეთის გზა გაკეთდეს ლეჩხუმის მაზრის მხრით. ხოლო ზემო სვანეთის დასავლეთი ნაწილისათვის უფრო ხელსაყრელია გზის გაკეთება ჯვარის მიმართულებით. ორივე მიმართულების როგორც სასარგებლოდ, ისე საწინააღმდეგოდ ბევრის თქმა შეიძლება. ჩვენ ვიცით, რომ ზემო სვანეთის აღმოს. ნაწილის დასამხარი, ქვემო სვანეთს რომ თავი დავანებოთ, ლეჩხუმისაკენ არის; ამ ნაწილს კულტურული და ეკონომიური კავშირი ლეჩხუმთან და შემდეგ მისი მეშვეობით ქუთაისთან აქვს. წარსულშიაც ასეთი კავშირი ყოფილა. გარდა ამისა ამ მიმართულებით გზის გაყვანა დააკავშირებს ერთმანეთთან ზემო და ქვემო სვანეთს. მაგრამ, როგორც მცოდნე პირები ამტკიცებენ, ამ მიმართულებით ზემო სვანეთის გზის გაყვანას მრავალი ტექნიკური დაბრკოლება ეღობება წინ. უმთავრესი ამ დაბრკოლებათაგანი მდგომარეობს იმაში, რომ კიდეც რომ ამ მიმართულებით გაკეთდეს ეს გზა—სულ ერთია, ზამთრობით დიდი თოვლიანობის გამო ის გამოუყენებელი დარჩება.

ამ გზით სარგებლობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ გაითხრება გვირაბი (ტონნელი) ჩოლურის და კალის თემებს შუა იქ, სადაც იმათ ჰყოფს ლურის მთა და სადაც ამ მთას შედარებით ვიწრო ყელი აქვს. თავის თავად იგულისხმება, რომ გვირაბის გაჭრას მოუნდება დიდი თანხაც და დიდი ვადაც; ყოველ შემთხვევაში, რათა ამ მეტად დიდი საკითხის გადაჭრის დროს დაცულ იქნას სამართლიანობა, მთავრობის განკარგულებით სვანეთში კიდევ გაიგზავნა ინჟინერებისაგან შემდგარი კომისია განსაკუთრებით იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება დასახელებულ ადგილას გვირაბის გაჭრა, და დაახლოვებით რა თანხა და რა ვადა იქნება საჭირო ამის განსახორციელებლად.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ გზა საჭიროა ორივე მიმართულებით, მაგრამ ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ დღეს ჩვენი მთავრობისათვის ერთი მიმართულებითაც კი სვანეთში გზის გაკეთება მეტად დიდ გასავალს წარმოადგენს, არა თუ ორი მიმართულებით. ყველა გარემოებათა გამორკვევის და აწონდაწონის შემდეგ, მთავრობა აარჩევს იმ მიმართულებას, რომელიც შედარებით უფრო მისაღები იქნება როგორც ტექნიკურად, ისე ფინანსიურად, და მასთან მთელი სვანეთის სარგებლობის მიხედვით. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ სვანეთმა ახლო მომავალში ჩვენ უნდა მოგვცეს დიდძალი ნედლი მასალა (ხე-ტყე, საქონელი, მადნეულობა) გასატანად, და ამიტომ აშკარაა, რომ ის უნდა დაუახლოვდეს შავიზღვის სანაპირო რკინისგზას, რომელიც უკვე კეთდება.

ამავე დროს აუცილებლათ საჭიროა, რომ ქვემო სვანეთის გზაც იმდენად უნდა შეკეთდეს, რომ იქ ურემმა და ეტლმა თავისუფლად შეძლოთ სიარული როგორც ზაფხულში, ისე ზამთარშიაც. ასე სდგას ამჟამად სვანეთის გზის გაყვანის საკითხი. მე აღვნიშნე ის უთანხმოება, რომელიც არსებობს დღეს ამ საკითხის ირგვლივ სვანეთის სხვადასხვა ნაწილებს შორის. სრულიად ბუნებრივია ის, რომ ერთი ნაწილისათვის გზა უფრო ჯვარის მიმართულებითაა დასამხარი, მეორე ნაწილისათვის კი ლეჩხუმის მიმართულებით. ეს ჩვენ კარგად გვესმის. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში მთავრობა, რომელსაც ამ ახლო მომავალში მხოლოდ ერთი მიმართულებით თუ შეეძლება გზის გაყვანა. სვანეთის ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მთავრობა სვანეთის არც ერთ კუთხეს ანუ ნაწილს არ ემხრობა და უპირატესობას არ აძლევს, რომ იგი ხელმძღვანელობს საერთოდ მთელი სვანეთის ხალხის ინტერესებით, და გზის გაყვანის საქმეშიაც უპირველეს ყოვლისა ეს საერთო ინტერესები იქნებიან მხედველობაში მიღებული. მასთან გზის გაყვანას, სულ ერთია რომელი მიმართულებითაც ეს არ იქნება, მთავრობა შესძლებს თვით სვანეთის ხალხის ახლო და მხურვალე მონაწილეობით. ამის სურვილი არა ერთხელ გამოუთქვამთ სვანებს; გამოსთქვეს ეს ჩემი იქ ყოფნის დროსაც. ვიმეორებ, სვანეთისათვის გზის გაკეთება დგას ყველა საქმეზე წინ. ამ საქმის გარეშე საფუძვლიანათ იქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება. რა საქმის მდგომარეობაზედაც არ უნდა დაიწყოთ ლაპარაკი, იქნება ეს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება, იქნება ეს კულტურული თუ საექიმო საქმის მოწესრიგება, იქნება ეს მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება და სხვადასხვა,—ყოველივე ეს ეჯახება უკანასკნელი ანგარიშის დროს გზის საკითხს. ერთი სიტყვით დღევანდელ პირობებში გზის გაკეთება წარმოადგენს სვანეთისთვის სათავეს და დასაწყისს ყოველგვარ დაწყებულებათა და ყოველივე განვითარებისათვის. მის გარეშე სვანეთის განვითარება არსებითად წარმოუდგენელია.

მეორე მხრით ჩვენ არ უნდა დავფაროთ ის სიძნელენი, რაც მთავრობას უდგას წინ ამ საქმეში. ფართო საზოგადოების დაუხმარებლად მარტო მთავრობის სალაროს გაუჭირდება ამ საქმის დაჩქარებით დაბოლოვება. საჭიროა აქაც (ცენტრში) და იქაც (სვანეთში) სვანეთის გზის ირგვლივ ამოძრავდენ საზოგადოებრივი ძალები, დაარსდენ საზოგადოებები და კომიტეტები მთავრობის დასახმარებლად სვანეთში გზის გასაყვანად. ასეთ საზოგადოებებს არა მარტო მორალური მნიშვნელობა ექნებათ, იმათ შეეძლებათ ნივთიერი დახმარების აღმოჩენაც. ამ ორი თუ სამი წლის წინად იყო ცდა ასეთი საზოგადოების შესაქმნელად. თუ მაშინ ამისთვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო, დღეს ეს ნიადაგი უკვე არსებობს. საბჭოთა მთავრობის და ფართო საზოგადოების შეერთებული ძალა შესძლებს ამ დიდი საქმის, რაც შეიძლება დაჩქარებით განხორციელებას.

4. ზემო სვანეთის სამაზრო ცენტრი

თუ სვანეთში გზის გაყვანას და აგრეთვე იმ გარემოებას, თუ რომელი მიმართულებით იქნება ეს გზა გაყვანილი, აქვს სვანეთისთვის უაღრესად დიდი და არსებითი მნიშვნელობა, სამაგიეროდ ეს არ ითქმის იმაზე, იქნება ზემო სვანეთის სამაზრო ცენტრი იქ, სადაც ის დღეს არის, ე. ი. მესტიაში, თუ იქ, სადაც ის წინად იყო, ე. ი. ბეჩოში. მესტიასა და ბეჩოს შუა 12 ვერსია. ზემო სვანეთისთვის საერთოდ სულ ერთია, იქნება ეს ცენტრი მესტიაში თუ ბეჩოში. სამწუხაროდ ამ საკითხის ირგვლივ დღეს დიდი დავაა ატეხილი. თითქმის ყველა მიტინგზე გზის შემდეგ ხალხი ამ საკითხს აყენებდა. ზოგი ითხოვდა სამაზრო ცენტრის მესტიაში დატოვებას, ზოგი კიდევ მის გადატანას ბეჩოში. ამ საკითხშიაც ზემო სვანეთის მცხოვრებლები ორ ბანაკად, ორ ნაწილად იყოფებიან. ერთი მხრით ყოფილი თავისუფალი სვანეთი, რომელიც მოითხოვს, რომ ცენტრი დარჩეს მესტიაში; მეორე მხრით კი, ყოფილი სადადეშქელიანო სვანეთი მოითხოვს ცენტრის ისევ ბეჩოში დაბრუნებას. ვიმეორებ, რომ სვანეთის ხალხისთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ იქნება მისი სამაზრო ცენტრი მესტიაში, ბეჩოში თუ კიდევ სხვა რომელიმე ადგილას, მაგ., თუნდაც ლატალში. მაგრამ, რადგანაც ამის შესახებ სწარმოებს დავა თვით სვანეთში—საჭიროა ამ დავაში გავერკვიოთ. თითოეულ საკითხს, რაგინდ წვრილმანი არ უნდა იყოს, ის აქვს თავისი პატარა ისტორია.

საქმე იმაშია, რომ სვანეთს, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, არასოდეს არ ჰქონებია ისეთი ცენტრი, რომელსაც ჰქონებოდა მისთვის გამაერთიანებელი ხასიათი ან აღებმიცემობისა, ან სწავლა-განათლების ან სხვა რაიმეს მხრით. სვანეთს არ შეუქმნია არც ქალაქი, არც აღებმიცემობა და არც ქალაქური წარმოება. სვანეთის ტერიტორიაზე ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ცალკე სოფლებს, რომლებიც ერთმანეთს გვანან, რომელნიც ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით არ განირჩევიან. მაგრამ თვითმპყრობელობის დროს მთავრობამ გაიჩინა ადმინისტრატიული ცენტრი ბეჩოში! იქვე იყო საექიმო პუნქტი, რომელიც მხოლოდ ზაფხულობით, 2—3 თვის განმავლობაში მოქმედობდა. გარდა ამისა იქვე იყო გაკეთებული სახელოსნო სასწავლებელი,—ერთად ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულება სვანეთისათვის მაშინდელ დროში.

ასეთი მდგომარეობა იყო, რამდენადაც მე ვიცი, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე საქართველოში და რამდენსამე ხანს შემდეგშიაც. მაგრამ 1922 წელს, თუ არ ვცდები, სამაზრო ცენტრი მულახში იქნა გადატანილი. მაგრამ 1923 წელს ის ისევ ბეჩოში დაბრუნდა. 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ სამაზრო ცენტრი გადაიქვთ მესტიაში, სადაც ის დღევანდლამდე იმყოფება. ასეთია მოკლე ისტორია სამაზრო ცენტრის ხეტიალისა ამ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

ბეჩოელები და საერთოდ სადადეშქელიანო სვანეთი ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ სამაზრო ცენტრი ეკუთვნოდა იმათ და მესტიელებმა ის მათ წაართვეს. ხოლო 1924 წელს ბეჩოდან ცენტრის გადატანის მიზეზი იყო ის, რომ გამოსვლების დროს ბეჩოში ყველა შენობები აჯანყებულებმა დაანგრიეს და ამის გამო სამაზრო დაწესებულებებს იქ მუშაობა აღარ შეეძლოთ. ამიტომ ცენტრი გადაიტანეს მესტიაში, სადაც ხალხის დახმარებით მცირე ხნის განმავლობაში რამდენიმე შენობა შეაკეთეს სხვადასხვა დაწესებულებათათვის, და თუ ეხლა სამაზრო ცენტრი მესტიიდან ისევ ბეჩოში იქნა გადატანილი, მესტიელები თავს შეურაცხყოფილად ჩასთვლიან. ასე დგას საკითხი.

როგორ უნდა გადასწყდეს სამაზრო ცენტრის საკითხი ზემო სვანეთში თუ რომ მართლა ობიექტიურად მივუდგებით საქმეს? ე. ი. თუ მივიღებთ მხედველობაში მთელი ზემო-სვანეთის მაზრის ინტერესებს და არა ბეჩოს ან მესტიის ინტერესებს.

რომ მივუდგეთ ამ საკითხს ჯერ მარტო იმ მხრით, თუ რომელი პუნქტია, ე. ი. მესტია თუ ბეჩო, ზემო სვანეთის შუაგული ადგილი, სიმართლე უფრო ბეჩოსკენ იქნება; ამისათვის საკმარისია, რომ სვანეთის ქარტას გადახედოთ. მაგრამ რადგან მესტიასა და ბეჩოს შუა სულ 12 ვერსია, ეს გარემოება გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებს აქ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბეჩოს და მის მიდამოებს აქვთ კიდევ სხვა უპირატესობაც მესტიის წინაშე. მართალია, დღემდე ზემო სვანეთში არსებითად არავითარი ცენტრი არ ყოფილა, მაგრამ გზის გაყვანის შემდეგ ასეთი ცენტრი აუცილებლად უნდა გაჩნდეს. ამ მხრით უპირატესობა ბეჩოსკენ არის, ვინაიდან იქ არის ისეთი პირობები, რომლებიც ასეთი ცენტრის გაფართოებას ხელს შეუწყობენ. მესტიას ასეთი გასაქანი, ასეთი სივრცე არ აქვს. ასე რომ ბოლოს და ბოლოს, ზემო სვანეთის ბუნებრივი ცენტრი ბეჩოში უნდა დარჩეს, მას აქვს უეჭველო მომავალი.

რაც შეეხება დღევანდელ დავას ცენტრის ირგვლივ, ამას არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აქვს. როგორც მესტიაში, ისე ბეჩოში არსებობენ სამაზრო მნიშვნელობის დაწესებულებები, რომლებიც არც ერთი იმათგანს არ წაერთმევათ, სულ ერთია—მესტიაში დარჩება სამაზრო ცენტრი, თუ ის გადატანილ იქნება ბეჩოში.

ვიმეორებ კიდევ ერთხელ, რომ სვანეთის ხალხისთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, იქნება სამაზრო ცენტრი მესტიაში თუ ბეჩოში. ზემო სვანეთისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და ექნება იმას, რომ სვანეთში გაჩაღდეს კულტურულ-აღმშენებლობითი მუშაობა ხალხის სასარგებლოდ, რომ ყველა თემში და სოფელში მოეწყოს სათანადო საბჭოს აპარატი, სკოლა, ექიმობა, რომ სვანეთში განვითარდეს მეურნეობა. აი, საითკენ უნდა იყოს მიქცეული სვანეთის ხალხის მთელი ყურადღება და არა იქითკენ, თუ სად, რომელ თემში ექნება ბინა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ მას ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას ჰქონდეს ბინა, მაგრამ სვანეთის ხალხმა უნდა გამოიჩინოს იმდენი შეგნება და შორსმხედველობა, რომ ამ საკითხის ირგვლივ არავითარ გამწვავებას ადგილი არ უნდა დაურჩეს. და მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის საერთო შეთანხმებით და მორიგებით გადაიჭრება მთელი ზემო სვანეთის სასარგებლოდ.

ფ. მახარაძე.

---

*) მხოლოდ ამ შემოდგომიდან დაწყებულია ტელეგრაფის გაყვანა ჯვარიდან მესტიამდე.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია

დელეგაციის დაბრუნება ტფილისში

კვირას, 4 ოქტომბერს სომხეთიდან თბილისში დაბრუნდა ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია, რომელმაც შემოიარა და გაეცნო საბჭოთა სომხეთის ცხოვრებას.

დელეგაცია მეტეხში

იმავე დღეს დელეგაციამ სრული შემადგენლობით ინახულა გამასწორებელი სახლი (მეტეხი) სადაც მათ საუბარი ჰქონდათ გამასწორებელ სახლში მყოფ პარიტეტულ კომიტეტის წევრებთან.

ბანკეტი დელეგაციის პატივსაცემად

კვირა საღამოს სასტუმრო „ორიანტ"-ში დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობების წევრნი, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელნი.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა ა/კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელმაც ადღეგრძელა რა დელეგაციის წევრები, უსურვა დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება. ამასთანავე მან სთხოვა დელეგაციას საბჭოთა კავშირის მრავალ მიღწევების გამოაშკარავებასთან ერთად არ დამალონ მათ მიერ შემჩნეული ნაკლულევანებანი საბჭოთა აღმშენებლობაში.

ამხ. ხემკოვის სიტყვა.

ა.-კ. პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ხემკოვმა დელეგაციის ერთი ნაწილის სახით ადღეგრძელა ინგლისის მემაღაროენი, რომელნიც ამჟამად ორატორის სიტყვით, წარმოადგენენ ინგლისის მუშათა კლასის ავანგარდს.

გრენფელლის საპასუხო სიტყვა.

მაღაროს მუშათა სახელით სამადლობელო სიტყვა წარმოსთქვა დელეგატმა ამხ. გრენფელლმა, რომელმაც განაცხადა, რომ მაღაროს მუშები დღეს ინგლისში იბრძვიან მაღაროების ნაციონალიზაციისათვის, ხოლო მათი 44 წარმომადგენელი ინგლისის პარლამენტში აგიტაციას ეწევა რევოლიუციონურ ცეცხლის დასანთებად.

უოლხედის სიტყვა.

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ამხ. უოლხედმა, რომელმაც წრფელი მადლობა გადაუხადა ა/კ. მშრომელთ გულთბილ მიღებისათვის. შემდეგ ამხ. უოლხედმა მოკლე მიმოხილვა გაუკეთა დელეგაციის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში, კერძოთ ამიერ-კავკასიაში და სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ დავკარგეთ დიდი ძალა მასალა, რომელიც მოწმობს საბჭოთა კავშირის დიდ პროგრესს საბჭოთა მეურნეობის და კულტურის ყველა დარგებში.

— ვამაყობ იმ გარემოებით, რომ 1920 წელში მე ვიყავ პირველი დელეგატი ინგლისელი მუშების, რომელნიც მიზნად ისახავდენ მოეხსნათ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ბლოკადის რკალი საბჭოთა რუსეთისათვის. ვამაყობ ამით, რომ ჩემი მაშინდელი რწმენა საბჭოთა რუსეთის მომავალ აღორძინებასა და წინმსვლელობაში გამართლდა. მალე საბჭოთა კავშირი და, კერძოთ, ამიერ-კავკასია ისეთ შედეგებს მიაღწევდენ, რომ გახდებიან ყველა ევროპიულ სახელმწიფოებისთვის მისაბაძ მაგალითად.

გარდა ზემოხსენებულ ორატორებისა სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე დელეგატმა ამხ. ხოლმა და ამხ. ლუკაშინმა.

ბანკეტი დასრულდა ნაშუაღამევის ორ საათზე „ინტერნაციონალი"-ს მღერით.

საუბარი ამხ. უოლხედთან

დელეგაციის გამგზავრების წინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. უოლხედთან.

— იმდენად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ჩვენი შთაბეჭდილებანი, რომ მოუხერხებელია მათი მოკლე საუბარში გადმოცემა. საბჭოთა კავშირის მიღწევებზე შეიძლება მთელი ტომების დაწერა.

რასაკვირველია,—არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერი მიღწეულია; რომ მის მშენებლობას არ ახასიათებდეს რაიმე ნაკლი.

ნაკლულევანებანი და შეცდომები ასეთი გრანდიოზული მშენებლობის დროს აუცილებელია, მაგრამ ეს დეფექტები უმნიშვნელონი არიან იმ დიდ პროგრესთან შედარებით, რომელიც განუცდია საბჭოთა კავშირს 1920 წლის შემდეგ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუ საბჭოთა კავშირის განვითარება ასეთი ტემპით წავიდა, მიმდინარე საუკუნის პირველ ნახევარში იგი ეკონომიურად და კულტურულად წინ გაუსწრებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. როცა მე ასეთ მოსაზრებას გამოვსთქვამ, მხედველობაში მაქვს ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის და კერძოთ ამიერ-კავკასიის დაულეველი რესურსები და მეორე მხრივ საბჭოთა მართვა-გამგეობის სისტემა, რომელიც ფართე მასებში აღვიძებს თვითმოქმედების და მშენებლობის წყურვილს.

რაც შეეხება კერძოთ ამიერ-კავკასიას და საქართველოს, აქ ჩემი ფიქრით თანაბარი ყურადღება უნდა მიექცეს სამთომადნო მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის განვითარებას, რადგან თქვენი ქვეყანა მდიდარია როგორც მადნეულობით, ისე მრავალფეროვანი ბუნებით, რომელიც საშუალებას იძლევა აგროკულტურის სხვა და სხვა დარგების განვითარებისათვის.

ის დიდი კულტურული საგანმანათლებლო მუშაობა, ახალ პრინციპზე დამყარებული სწავლა-განათლება, რომლის მოწამენი გავხდით ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკებში, ახლო მომავალში სრულიად გარდაქმნის მშრომელთა ქვეყანას, რომელიც რამდენიმე ათეულ წელში დაიჭერს პირველ ადგილს კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებს შორის.

საბჭოთა ხელისუფლების ასეთი თავდადებული მუშაობის შემდეგ, ჩვენთვის გასაკვირველი არ არის ის ერთგულება და სიყვარული, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებისადმი იჩენს მშრომელი მოსახლეობა.

გამგზავრების წინ ჩვენ ვუსურვებთ საბჭოთა კავშირის ერებს კვლავ მხნეობით და ერთსულოვნობით განაგრძონ ის სოციალისტური მშენებლობა, რომლის წარმატებაზედაც არის დამოკიდებული კაცობრიობის ბედნიერი მომავალი.

დელეგაციის გამგზავრება

გუშინ დილის 9 საათზე ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვს.

ავიაქიმი

„ავიაქიმის" ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანურ ორგანიზაციების მდივანთა თათბირის შედეგები

26 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ამიერ-კავკასიის „ავიაქიმი"-ის პრეზიდიუმის ინიციატივით, თბილისში ჩატარებულ იქნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „ავიაქიმების" მდივანთა თათბირი, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს ამიერ-კავკასიის „ავიაქიმის", საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის „ავიაქიმების" პასუხისმგებელმა მდივნებმა.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების და ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების გაერთიანება კიდევ სავსებით არ გატარებულა და განსაკუთრებით ნელა სწარმოებს საზოგადოების ქვედა ორგანოებში.

ამიერ-კავკასიის „ავიაქიმ"-ის სტატისტიკით, თათბირამდე ითვლებოდა „ავიაქიმ"-ში 73.000 წევრი (საქართველო—45.000, აზერბეიჯანი—25.000 და სომხეთი—13.000); 570 უჯრედი, 18 „ავიაქიმ"-ის კუთხე; 23 ავია-სპორტ-წრე.

„ავიაქიმ"-ის მუშაობას ამიერ-კავკასიაში დღემდე არ ჰქონდა გეგმიანი ხასიათი.

არ იყო დაცული აგრეთვე საზოგადოებრიობის პრინციპები, ზოგიერთი ორგანიზაციები ძალიან გატაცებული იყვნენ კომერციული მუშაობით, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა „ავიაქიმ"-ის იდეებთან.

ამიერ-კავკასიის „ავიაქიმ"-ის ყველა ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა გადახრას ავიაციისაკენ, როცა ქიმიური მუშაობა არ იყო საკმაოდ განვითარებული.

საზოგადოების მუშაობის შესუსტება უკანასკნელ პერიოდში აიხსნება მით, რომ დღემდე როგორც საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, ისე ქიმიის მოყვარულთა საზოგადოება აწარმოებდენ მხოლოდ სიტყვიერ აგიტაციას, მივიწყებული იყო საქმიანი აგიტაცია, რომელსაც თვალსაჩინო უნდა გაეხადა საზოგადოების მუშაობის სარგებლობა როგორც ქვეყნის ეკონომიურ და სამეურნეო ცხოვრების აღდგენის, ისე მისი თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში.

ამ ამოცანების განსახორციელებლად ყურადღება უნდა მიქცეოდა არა მარტო ცალიერ აგიტაციას, არამედ ამავე დროს საქმიან მუშაობას: ჰაეროდრომების მოწყობას, ქიმიური მრეწველობის ზოგიერთ დარგების შექმნას, ქიმიურ რაზმების მოწყობას და სხვ.

დღემდე საზოგადოების საშუალებები ხმარდებოდა მხოლოდ თვითმფრინავების მოწყობას და ამ დარგში ამიერ-კავკასიამ სათანადო ადგილიც დაიკავა, მაგრამ ახალ ამოცანებთან დაკავშირებით უნდა შეცვლილიყო შემდეგი მუშაობის კურსი.

თათბირმა მუშაობის გამოსაცოცხლებლად და გეგმიან საფუძველზე დასაყენებლად შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებამ საზოგადოება უნდა გააძლიეროს როგორც ორგანიზაციულად, ისე მატერიალურად საზოგადოების ქვედა საფეხურის ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით და გაადიდოს მისი წევრების რაოდენობა.

„გაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს"

იტალიელ პოლიტემიგრანტთა წარმომადგენლის ამხ. ა. მარაბინის წერილი

ამას წინათ იტალიიდან ჩამოვიდენ იტალიელ პოლიტემიგრანტთა წარმომადგენლები, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდენ საქართ. მთავრობასთან, საქართველოში იტალიელ პოლიტემიგრანტების გადმოსახლების შესახებ.

მთავრობისაგან დახმარების დაპირების შემდეგ, ისინი გაემგზავრენ კახეთში, სამოსახლო ადგილების ამოსარჩევათ.

იტალიელი ამხანაგები აღტაცებაში მოიყვანა კახეთის ბუნებამ. მათ განაცხადეს, რომ არსად ასეთი სილამაზე არ უნახავთ, როგორც კახეთში. განსაკუთრებით მათ აჯადოებდათ ალაზნის ველი.

უკან დაბრუნებისას ამხ. მარაბინიმ ჩვენს თანამშრომელს გადასცა წერილი „ქართველ გლეხებს", რომელიც მოგვყავს აქვე:

„ამხ. მარაბინი—იტალიის კომუნისტური პარტიის უხუცესი წევრი უდიდესი აღტაცებით და ღრმა სოლიდარობის გრძნობით ესალმება ქართველ გლეხებს. მე, რომელსაც შემისწავლია კომუნიზმის გზა, და მიცხოვრია იტალიის გლეხობის ტანჯვა-წვალებით, ვიგრძენი დიდი შვება და სიხარული თავისუფალი ქართველი გლეხობის ხილვით თავისუფალ ქვეყანაში. საქართველოს ნაყოფიერი მიწა და საქართველოს [illegible] გლეხობის ბუნებრივ ჭკუა-მახვილობასთან ერთად, შექმნიან ამ შესანიშნავი და ულამაზესი ქვეყნიდან პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობის შესანიშნავ სახელოსნოს.

ამ ღრმა რწმენით ვესალმები ქართულ სოფელს და მის მოსახლეობას.

გაუმარჯოს ქართველ გლეხებს და მუშებს.

ანსელმო მარაბინი.

ამხ. მარაბინმა აგრეთვე დასტოვა ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელზე შემდეგი შინაარსის წერილი:

წერილი ამხ. მიხა ჩოდრიშვილს

ამხ. ჩოდრიშვილს, კაცობრიობის ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ძველ მებრძოლს, საქართველოს მუშებისა და გლეხების დარბაისელ წარმომადგენელს და მისი განთავისუფლების სიმბოლოს, პროლეტარული რევოლიუციის დამსახურებულ მოამაგეს, ვესალმები იტალიის ჩაგრული მუშების სახელით და გამოვსთქვამ მისდამი უღრმესი პატივისცემისა და სოლიდარობის გრძნობას.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საქმეს.

ანსელმო მარაბინი.

საჭიროა გადამჭრელი ზომები მფლანგველობის წინააღმდეგ

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? აი საკითხი, რომელზედაც ჩემი მუშაობის განმავლობაში ყოველდღე რამოდენიმეჯერ მიხდება ხოლმე დაფიქრება.

მე ვლაპარაკობ მფლანგველობაზე, რომელმაც ამ ბოლო დროს ეპიდემიური ხასიათი მიიღო და რომლის შესახებ წერილებით აჭრელებულია ყველა გაზეთები.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანამდებობაზე მთელი ჩემი მუშაობის განმავლობაში არასოდეს არ მიმიღია საწარმოებლად ასე ურიცხვი საქმეები გაფლანგვის შესახებ, როგორც უკანასკნელ თვეებში. თითქმის ყოველდღე, სისხლის სამართლის მილიციაში ზედიზედ მოდის მომართვები, რომ საჭიროა აღმოჩენა და დაპატიმრება ამა და ამ პირის, რომელმაც გაფლანგა სახაზინო ფულები. აქვე, სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ფულებს ფლანგავენ მოლარეები. მფლანგველობამ მიიღო სტიქიური ხასიათი, რაც უსათუოდ ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას.

ისმება საკითხი, რაშია საქმე, რატომ მიიღო მფლანგველობამ ასეთი ხასიათი და, დასასრულ, სანამდე გაგრძელდება ეს მდგომარეობა?

ამ საკითხის შესახებ ბევრ ამხანაგმა გამოსთქვა თავისი აზრი; ისინი მიუთითებდენ მიზეზებზე და გაფლანგვის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე.

მეც მინდა ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა ამის შესახებ.

რა სასჯელი მოელის ფულის გამფლანგველებს და სად მიაქვთ მათ მითვისებული ფულები?

თვითეული ჩვენთაგანი ხედავს, რომ ფულის მიმთვისებელი, რომელიც მოხდება პასუხისგებაში, შედარებით ადვილათ გადის ფონს; რამოდენიმე ხანი დაჰყოფს გამასწორებელ სახლში და შემდეგ კი თავისუფლდება. მფლანგველებისადმი ასეთი ჰუმანიური მოპყრობა გამხრწნელ გავლენას ახდენს და ათამამებს სხვებს.

ავიღოთ თუნდაც მაგალითი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ეხლახან:

ერთი დაწესებულების მოლარემ სამი დღის განმავლობაში კაზინოში წააგო 2000 მანეთი. დარჩა უკაპეიკოდ. მან გადასწყვიტა როგორმე გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან, მისწერა მის თანამოსამსახურეს წერილი, რომელშიაც სთხოვდა თავის ამხანაგებს დახმარებოდენ მას, შეეგროვებიათ ფული სალაროში შესატანად, რის შემდეგ ის პირობას იძლეოდა, რომ ფულს დააბრუნებდა უკანვე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მოკვლა, როგორც ეს ჰქნა იმავე დაწესებულებაში მისმა ამხანაგმა, რომელმაც გაფლანგა სახაზინო ფული.

ავიღოთ კიდევ მეორე უფრო საინტერესო შემთხვევა:

ჩემს კაბინეტში შემოვიდა ვიღაც ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა მომღიმარე სახით და ჩემს შეკითხვაზე, რა უნდოდა მას, მან ისევ ისე ღიმილით, თამამად მიპასუხა: „მე მოვედი იმიტომ, რომ დამაპატიმროთ, მე გავფლანგე სახაზინო ფული".

ამ ახალგაზრდამ, რომელიც აღმოჩნდა მუშკოოპის დუქნის გამგე, მთელი თავისი „ნაყოფიერი მუშაობის" განმავლობაში გაფლანგა 1700 მანეთზე მეტი და, იმის მაგიერ, რომ გამოეძებნა რაიმე საშუალება გაფლანგული ფულის დასაფარავად, უშიშრად გამოცხადდა ჩემთან. სულერთია, ფიქრობდა ალბად ის —დამაჯენენ რამოდენიმე ხნით და გამომიშვებენო.

შეიძლებოდა აუარებელი ასეთი და კიდევ უფრო საინტერესო მაგალითების მოყვანა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ესეც საკმაოა სასამართლოს განაჩენების უაღრესი ჰუმანიურობის დასამტკიცებლად.

რაც შეეხება საკითხს, სად მიაქვთ მათ ეს ფულები, პასუხი თავისთავად იგულისხმება:—ყველა გაფლანგულ სახალხო ფულების 85 პროცენტს აგებენ კაზინოში.

მთავრობამ, როცა ნება დართო კაზინოს კლუბის გახსნაზე, გაითვალისწინა მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ მუშებს, მოსამსახურეებს და სამხედრო პირებს ეკრძალებათ არა თუ თამაში, არამედ კლუბში შესვლაც.

მიუხედავათ ასეთი დადგენილებისა, აბა შეიხედეთ რომელ კაზინოშიაც გინდათ, და თქვენ დაინახავთ, რომ მოთამაშეებს შორის 90 პროცენტს შეადგენენ საბჭოთა მოსამსახურეები.

ისინი კლუბში შესვლას ახერხებენ იმის გამო, რომ კლუბების ადმინისტრაცია და მოსამსახურეები ამას ალმაცერად უყურებენ.

ჩემი წინადადებაა შემდეგი: ჯერ ერთი, საჭიროა კაზინოს მოსამსახურეების უმეტესობის გადაყენება; მეორე, თამაშობის დროს მოთამაშეებს უნდა გაესინჯოთ პირადი საბუთები და დაევალოს კლუბის თვითეულ მოსამსახურეს, რომ არ დაუშვას სათამაშოდ საბჭოთა მოსამსახურეები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პასუხისგებაში იქნეს მიცემული.

გამფლანგველების წინააღმდეგ კი საჭიროა გამოტანილ იქნას უფრო სასტიკი განაჩენები.

ჩვენ გვგონია, რომ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ღონისძიებები ხელს შეუწყობენ მფლანგველობის აღმოფხვრას.

საქართველოს სისხლის სამართლის მილიციის უფროსი: გ. თოფურია.

ნათესების მდგომარეობა

პირველ ოქტომბრისათვის

(საქ. სტატ. ცენტ. სამმართველოს მიერ. მიღებულ დეპეშების მიხედვით).

პურის მოსავალი მთელს საქართველოში უკვე აკრეფილია. სწარმოებს ყველგან მოსავლიანობის შემოწმება. რაც შეეხება დანარჩენ სას. სამ. კულტურების მდგომარეობას, ჩვენ აქ შემდეგ სურათს ვხედავთ:

სიმინდი.

სიმინდის ნათესები 1-ლ ოქტომბრისთვის გაცილებით უკეთეს პირობებშია ვიდრე წინა თვეებში, ვინაიდან ამინდი ხელშემწყო იყო სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში. გაუმჯობესება დაეტყო სიმინდის კულტურას სამეგრელოში და იმერეთში, ნაწილობრივ გურიაშიც. ზუგდიდის მაზრაში სიმინდის მდგომარეობა ხასიათდება 3,2 ნიშნით, პირველ სექტემბერთან შედარებით გაუმჯობესება გამოიხატება 0,2 ნიშნით. ასეთივე გაუმჯობესება არის სენაკის მაზრაში და გვიჩვენებს 3,4 ნიშანს. ქუთაისის მაზრაში იმავე პერიოდში ნიშანი გადიდდა 0,5 და ის გვიჩვენებს 3,5. ოზურგეთის მაზ. გვიჩვენებს 2,6 გაუმჯობესდა 0,1 ნიშნით. ლეჩხუმის მაზრაში ჩვენ გვაქვს 3,0 ნიშანი, რაჭაში 2,5. აღმოს. საქართველოდან ახალციხის მაზრაში 3,0 ნიშანი გვაქვს, მდგომარეობა უცვლელია, ბორჩალოში 3,5 უცვლელია, გორის მაზრაში 2,5 დუშეთის 2,5 და რაც შეეხება სიღნაღის მაზ. იქ, მიღებულ ცნობების მიხედვით, სიმინდი უკვე მოიტეხა, მდგომარეობა კი იქ ხასიათდება 15 სექტემბრისთვის 3,8 ნიშნით. მოსავლიანობის შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობები არ არის. საერთოდ რესპუბლიკაში სიმინდის მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია.

ვენახები.

ვენახების მდგომარეობა ბევრ რაიონებში გაუმჯობესდა. გაუმჯობესდა მდგომარეობა წინა თვეებთან შედარებით სიღნაღის მაზრაში 0,5 ნიშნით. აქ გვალვის მიერ შევიწროებულ კულტურებს დიდი სარგებლობა მოუტანა უკანასკნელმა წვიმებმა, ეხლა იქ მდგომარეობა ხასიათდება 4,0 ნიშნით. 0,5 ნიშნითვე გაუმჯობესდა ვენახები ქუთაისის მაზრაში. და გვიჩვენებს 3,0 ნიშანს. დანარჩენ მაზრებში კი უცვლელია. ბორჩალოს მაზრაში ჩვენ გვაქვს 2,8 ნიშანი, გორის 1,5, თელავის 2,9, რაჭის 2,8. სხვათა შორის თელავის მაზრიდან იტყობინებიან დეპეშით, რომ იქ უკვე რთველი დაიწყო და ღვინის მოსავალი დესეტინაზე 150 ვედროს უდრის.

ხილის ბაღები

მდგომარეობა შემდეგნაირია: ახალქალაქის მაზრაში 3,0, ახალციხის 2,8, გორის 1,6 და ქუთაისის მაზრაში კი 2,4. როგორც სჩანს წელს მეხილეობის მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით საერთოდ უნუგეშოა.

სათიბების მდგომარეობა საერთოდ საშუალოზე ნაკლებია. რაც შეეხება თამბაქოს პლანტაციებს, ის აფხაზეთში საშუალოზე კარგ ნიშანს იძლევა, სიღნაღის მაზრაში კი საშუალოს.

ბამბის ნათესების მდგომარეობა სიღნაღის მაზრის გამოკლებით საშუალო ან საშუალოზე კარგ ნიშანს გვიჩვენებს როგორც მაგალითად 3,8 ბორჩალოს მაზრა და ქუთაისის 3,0. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია ჩაის პლანტაციები აჭარისტანში და გურიაში. მანდარინა როგორც ვიცით წელს სრულიად განადგურებულია გასულ ზამთრის არაჩვეულებრივ ყინვების გამო.

სამხრეთ-ოსეთის შესახებ ცნობილია, რომ იქ გვალვისა და სხვა სტიქიურ მოვლენებისაგან ძლიერ დაზავდა თითქმის ყველა კულტურა. საერთოდ კი მთელს საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა 1 ოქტომბრისთვის შედარებით წინა თვეებთან გაცილებით გაუმჯობესდა და მოსალოდნელია უკეთესი მოსავალიც ვიდრე გასულ წელს.

ღვინის მოსავალი სახალ. მამულებში

ამ ორი კვირის წინად საქართველოს სახალხო მამულებში დაიწყო რთველი. სახალხო მამულების ტრესტს ღვინის დასამზადებელი პუნქტები აქვს შემდეგ ადგილებში: ნაფარეულში, მუკუზანში, წინანდალში და კარდანახში. ტრესტი ღვინოს ამზადებს არა მარტო საკუთარი მამულების მოსავლიდან, არამედ იგი დასამზადებლად ყიდულობს აგრეთვე გლეხების მამულების ღვინოს.

ვინაიდან მოსალოდნელი იყო საშუალოზე მაღალი მოსავალი, ტრესტი სეზონის დასაწყისშივე შეუდგა დამხმარე დასამზადებელი პუნქტების მოწყობას. ახალი დამატებითი პუნქტები მოეწყო ნაფარეულისა და წინანდალის სახალხო მამულებში. ტრესტი ღვინის დამზადებას აწარმოებს აგრეთვე იმერეთში. განსაკუთრებით ღვინის დიდი. დასამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს ნაფარეულსა და წინანდალში, სადაც გლეხები ყოველდღიურად ეზიდებიან 1500—2000 ფუთს.

საერთოდ ყველა პუნქტები იბარებენ დღეში 5000 ათასი ფუთზე მეტ ყურძენს. საკუთარ მოსავლის დამზადების გარდა, სახალხო მამულების ტრესტს განზრახვა აქვს დაამზადოს 170 ათასი ფუთი ღვინო. აქედან 60 ათასი ფუთი დამზადდება კახეთში, 100 ათას ფუთი იმერეთში. რაც შეეხება სახალხო მამულების წლევანდელ მოსავალს, იგი დაახლოებით 70 ათას ფუთს უდრის.

შამშოვი*)

პოემა

(ძღვნად ამხ. ც. კახიანს)

ეს ყველამ იცის,
რომ პარასკევი
დღეა კვიმატი
და დანაწყევი...
ჩვენ ეს არ გვწამდა
და არც გვეგონა,
მაგრამ ფაქტებმა
კი დაგვალონა:
ჯერ იყო, და წინ
გზა მოლიპული,
წვიმამაც და ნისლმაც
მოგვიკლა გული...
მერე და, ვიწროც
იყო ქუჩები,
და ორღობის კლანჭს
თუ გადურჩები,
თვით ორღობეში
ათას ნაირი
გხვდება მარცხი, თუ
სხვა რამ შაირი...
პარასკეობის
ბაზრით ნაგეში
მოდის გლეხობა
ურმებზე შეშით.
ზოგი შინაურ
ფრინველს მოათრევს,
ზოგი კვერცხს ჯოხზე
ქილით მოარხევს,
ზოგი მორეკავს
ბატს და ინდაურს,
ზოგი—თხას, ან სხვა
ცხოველს შინაურს,
და არის ჩვენს წინ
წევა, წრიალი,
შოფერებს სტანჯავს
საჭის ტრიალი,
გზის სწრაფი ქცევა,
თუ შეჩერება,
ზოგჯერ კი მარცხად
ზედაც ძგერება,
ფრინველთა ფრთხობა,
თხების ფეთება,
ავტომობილის
დგომა, კეთება,
თანამგზავრების
აყაყანება,
მანქანის ისევ
აქაქანება
და გზის განგრძობით
წინ გაქანება...
მიხვევ-მოხვევით
მიიწევს „შოსე"...
„Опять стой!...
Опять тоже"!..

და... ისევ ისე
უაზრო შრომა!
ავტომობილის
უტვინოთ დგომა!
ისევ თანამგზავრთ
აყაყანება...
მანქანის ისევ
აქაქანება
და ისევ ისე
წინ გაქანება...
და უცბათ, ჰოი!..
„ათასი მხეცი"!
ავტომობილში
გაგვიჩნდა ცეცხლი!..
ჩავაქრეთ დიდის
ვაი-ვაგლახით,
და გზა განვაგრძეთ
მოღრუბლულ სახით,
და ოფურჩხეთსა
რომ მივატანეთ,
მანქანაც სხვა ხმით
ავაქაქანეთ,
ყაყანიც მოვსპეთ
ურთიერთ შორის,
შორს უკვე ჭრილიც
გამოჩნდა გორის,
ჩვენც გავთამამდით
და შევუყევით
გზას რაჭისაკენ
რიონის ხევით...

* * *

იქ, სადაც შორით,
მიუდგომ გორით,
ქაფით და ტბორით,
ჩქროლით და თქორით,
მთის ორწოხებით,
როხზე-როხებით
აროხროხებით,
სიპ ნაპირებზე
კბილის მოხებით
და ამბოხებით
შეწუხებული,
ამქუხრებული
ზვირთთ ლეგიონი,
ვით სანგრის მთხრელი
ბათალიონი,
ატალახებით
მორბის რიონი,—
მაღლით მას დასცქერს
კავკასიონი,
შუბლ დაღარული
მთის კაპიონი,
თექამოსხმული,
თეთრის ფაფახით!..
მის საგუშაგოს
თრთოლვით, ცახცახით
თავსა ევლება
გრილი ნიავი...
და მთის ღლიავი,
ცივი და შავი,
პირ-ღია ღარი,
ფშვინავს, ვით ხარი!..
ლამის სიბნელეს
ის, ვით სიძნელეს,
ღეჭავს, იწელებს
და ჰღადრავს ყელებს,
სადაც შავ ხვრელებს
სხედან მდევები
და შლიან ხელებს...
ეს უშნო ურდო
როცა ახველებს,
ხმით, ხრინწიანით,
სმენას აძნელებს...
პირის წყლაპუნით
სისას ასველებს,
ჩამოსდის ლორწო
წვერს, დინსველებს,
ჩამოსწკანწკარებს,
ვით ხეთა ფესვებს,
თითქოს აყრიან
ცივ-ცივ ანკესებს
და ეს ვიღაცას
ხვდება, აკვნესებს
იქ, დაბლა, ქვევით,
სად რღვევით, ნგრევით,
მთით ქვიდან ქვებზე
გადმომდულარე,
მორბის რიონი!
ზვირთთ მომქუხარე...

* * *

რიონის მარჯვნივ,
მთისა ფერდობზე,
ხან სიმაღლეზე
ესდენ საგრძნობზე,
რომ ქვეშ ჩაწვდეს
სჭირდება თვალის,
სადაც მიშხუის
გრიგალი წყალის,—
რაჭის შარა-გზა
გამოკიდულა...
მაღლით კლდე-ქვები
მას დასცქერს მტრულად
და ყოველს წუთში
არიან მზადა,
რომ მგზავრს მოუკლან
მგზავრობის მადა!
დაასქდენ თავსა,
ვით მეტეორი,
და შორს გაჰფანტონ
მიზანი, შორი,
სასურველ ადგილს
ოდესმე მისვლის!..
მთა არა ერთხელ
ქამანდებს ისვრის
და ადამიანს
უზღუდავს წადილს!..
დაათმენინებს
არა ერთ სადილს,
თუ ამქუხარდა
მთაში ტბორები!
მოდის ძირს, მოდის
თითქოს, გორები,
ჩამოაქვს ღორღი,
ქვა და ხრეშები,
წამოუწვდია,
როგორც ეშვება,
კლდეებს—წვეტები,
ან, ვით სვეტები,
აწვდილან ცაში
და შეუკაზმავთ
ნისლი, ვით რაში:
საიდაც სისწრაფით
მიაქროლებენ...
გრძელ-გრძელ ჩიბუხებს
მიაბოლებენ...
თითქოს არიან
ეს არა კლდენი,
არამედ უცხო
მესაზანდრენი,
ილიაებში
სტვირით და გუდით,
თექით და თავზეც
წვეტიან ქუდით...
დაბლა კი... დაბლა
ქვის ზარფუშები,
ეგ წყლის ფუშები,
ბაიყუშები,
როგორც თუშები,
სახე მქუშები,
რღვევის და ნგრევის
გამძლე მუშები,
ცივი დუშები...
ბრრრ!.. ვიკუშები!
მეხამუშება,
ვეხამუშები...
თვალს მიშვერებიან
ტყის რატუშები,
მეც თვალს ვუშვერებ,
და რომ უწყვეტლივ
ისმის ტუშები,
ტყეს ვეკითხები:
„ქორწილს თუ შვება"?!
და მთის თეატრთა
იარუსები
რომ ირხევიან,
მე ვილურსები...
თანხმობის ნიშნად,
ხის კონუსები
აქნევენ თავთ, ვით
მძიმე ბუსები.
სევდა მცემს მკერდში
და ვილურსმები!..
მაინც არ ვიშლით
მთის ლიბრი ნისლი
მიილტვის ზევით
და ფერად გიშრის
მოსჩანს იმაში
ქვები, ხეები,
ვით სევდის ტბაში
ტანჯვის დღეები..
მთა ჩემის გულის
არის სტიქია
და მეც მიტომ ის
ბევრჯერ მიქია.
ბროლის ჭიქიანს,
ალმასის ფერქვეშელს,
ვადარებ ქვეყნის
მას საკურთხეველს,
სადაც მწუხრიდან
გარიჟრაჟამდის
აღილტვის ლოცვა,
მიწიდან—ცამდის!..

* * *

მარცხნივ კი სჩანან
სხვა სურათები!...
მგზავრის წინ სდგანან
ეკრანად მთები
და ზედ სხვადასხვა
უცხო ფერადებს
თვალი სხლტებს სწრაფად
და ხელს ვერ ადებს,
რომ რომელიმე
აღბეჭდოს რჩევით.
დაცურავს თვალი
ზევით, თუ ქვევით,
ვით ყვავილებზე
პეპელა, ხარბი,
ხანახაობა
ისეა ჭარბი!..
აგერ მხედარი,
თექით და შუბით,
მიიკვლევს ზევით
გზას თითქოს ჩხუბით!...
იქ თითქოს მწყემსი,
კომბალით მხარზე,
სდგას ჩირგვთა ზღვაში,
ოცნებით ცხვარზე!..
იქით სჩანს მღვიმე.
როგორც ნაპრალი,
თითქოს კლდეს—ციკლოპს
უპყრია თვალი,
იხვევს ქურდივით
თავზე ფარაჯებს
და აქეთ, გზაზე
მგზავრს უდარაჯებს,
რომ მიეპაროს,
დაავალოს კლანჭი
და შემდეგ მთისკენ
მოუსვას კანჭი!..
აგერ მდევების
ნასახლ-კარევი!
თვალი ზედ დაძრწის
ისე არევით,
რომ სურს ჩაყლაპოს
ყოველი კენჭი!..
მდევთ სამყოფია—
არ არის ეჭვი?..
მაღალ კოშკებში
მრავლად სართული
და თეთრ ქანებში
მუქიც ჩართული
ისეთის ხერხით
და ოსტატობით,
რომ შორიდანვე
ირევით გრძნობით!..
იქით, შორს, როგორც
დიდი ფარდაგი,
სჩანს ტყე, უღრანი,
მაგრამ სადაგი,
გადმოკიდული
დაბლა მთის წვერით,
ნაქარგი მხოლოთ
მუქ-მწვანე ფერით,
თითქოს ხუჭუჭი
მოლით ნაფენი
ეგ მინდორია
წამონაწვენი,
და არწივები
რომ ირაოზენ,
იქ თვალნი იმზოშ
არარაობენ,
რომ პეპელებათ
გვიჩვენებიან,
თითქოს ყვავილებს
თავს ევლებიან!..
ნისლთა და ღრუბლით
ხშირი სადგური,
ვით ქვის ქანებში
მწკრივად აგური,
სჩანს ნაქერალაც
სოლებრ ჩარგული
შორს, იქით, მთებში
გადაკარგული...
და იჭვრიტება
მთის ნაპრალებში,
ვით უნაზესი
პატარძალებში!..
აქეთ კი სდგანან
ალმართულებათ
დიდრონ კოშკებათ,
თუ სართულებათ
გუმბათოვანი
ბორცვები მთების.
ვით კავალკადა
მთვრალი მაყრების,
თავთ მალვენ მთებში,
ხან აელვებენ,
თითქოს გიჟ ცხენებს
მიაგელვებენ,
და მგზავრებს გზაზე
აღვენებიან,
თითქოს ქორწილში
ეშურებიან
იქით, შორს, სადაც
თვით კავკასიონს,
ვაზებრ დაგრეხილს
რომ დასცქერს რიონს
და მზით ჩამწვარი
რომ უჩანს კეფა,
შორს გადუჭიმავს
მოღურჯოთ სეფა,
გირლიანდებით
მოურთავს თოვლის
და ქორწილს იხდის
საკუთარ ცოლის!.

* * *

და არა მარტო
მთები იძვრიან,
ხევებიც ჩრდილებს
იქით ისვრიან,
ჩვენც იქით მივქრით
სწრაფი ჭენებით,
ორგან თუ სამგან
მთლად შესვენებით
და ისიც კუჭის
დასანაყრებლათ...
ჩვენც აქ თითონ ვართ
მთების მაყრებათ
და მასპინძლებიც
გვხვდებიან ლხენით...
ჩვენ ვივსებთ პირებს
საჭმლების ტენით,
ვედებით სუფრას
იქით და აქეთ...
რა საზრდო გნებავთ
რომ იქ არ ვნახეთ?
კალმახი, მურწა,
მსუქანი ღორი,
წიწილა და ზედ
მაჩილ-ნიორი,
წყალში გახსნილი,
თუ მგონი, რძეში..
ვერ დავივიწყებ
მას თავის დღეში!..
ხაჭაპურები,
ყველიც და მჭადიც,
რომ ნატამალიც
არ გქონდესთ მადის
და ბუნებითვე
იყვეთ სნეული,
აქ შეიქნებით
თქვენც დამშეული,
და ორივ ხელით
რომ იწყებთ ჭამას,
ბევრი მტკიცება
არ უნდა ამას!
რადგან გულუხვობს
აქ თითქმის ყველა.
მთებსაც აქ, მთებსაც
აქვთ „ჩიტის წველა",
თოვლის სახედ, თუ
თეთრის მარიტის,
და კაციც, მონა
ამ მაგალითის,
არის გულუხვი
და ხელგაშლილი:
გხვდება ვით ძმას-ძმა,
მკლავებ გაწვდილი,
და პირვეულობს,
ვით მასპინძელი!..
მე იქ სტუმრობას
ძლივს გავუძელი,
მაგრამ ბუნება
თვისას ითხოვდა:
როს ხორცი ჩემ წინ
სიმსუქნით თოვდა,
ზედაც ხვანჭკარა,
ფერად ალური,
დიოდა დენით,
მუსიკალურით,
და, ვით შარბათ
ყელს მევლებოდა,—
მე არ ვთვრებოდი,
გული თვრებოდა!..
შემდეგ, არ ვიცი,
ეს შარა გრძელი
თუ მე ვით განვლე,
ვით შევიძელი?!
მხოლოთ ეს მახსოვს:
რწევით და რხევით
ავტოთი სწრაფად
მივქროდით ზევით...
იქით და აქეთ,
როგორც სწორები,
მიგვდევდენ ქვები,
ტყე, კლდე, გორები...
და მეც იმათკენ
ხელ-აპყრობილი
ლოცვისათვის მთვრალი
და განწყობილი
ვილტვოდი აზრით,
ფიქრით, ოცნებით,
და ვეხვეოდი
მკერდში კოცნებით
ყოველს ქვას—კლდეში
ყოველს ხეს—ტყეში,
თევზსაც კი—წყალში,
და ნისლსაც—მთაში...
აქ კაცს დათრობას
რა გაუძნელებს?
კისერს მოუგრეხს
თვის განთქმულს მსმელებს
და ამას ეყვის
არა ხვანჭკარა,
მთის ნაკადულის
წვეთიც ანკარა!..
მეც ამ წუთს მთვრალი
ამ სანახავით,
გულით ვგრძნობ და ვერ
ვმუშაობ თავით!..
მთის ორწოხში კი
ქაფით, ტბორებით,
ჩქროლით და თქორით,
ზვირთთ აგორებით,
როხზე როხებით
აროხროხებით,
სიპ ნაპირებზე
კბილის მოხებით,
ამქუხრებული
მორბის რიონი
და მას მოსძახის
მთის კაპიონი...

ნ. ზომლეთელი

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 228.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს წითელი ჯვრის ც. კ. პლენუმი

კვირას, 4 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ამხ. კიკალეიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს წითელი ჯვრის და ნახევარ მთვარის ცეკას პლენუმი. პლენუმს დაესწრენ, როგორც საქართველოს, ისე ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები.

დღის წესრიგის მიღების შემდეგ პლენუმმა მოისმინა ინფორმაციული მოხსენება ამხ. კიკალეიშვილისა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება.

ინსტრუქტორის მიერ წ. ჯ. ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლიდან გამოირკვა, რომ მათი საქმიანობა ვერ არის ნაყოფიერი, წევრების რაოდენობა მცირეა, სარევიზიო კომისიები არაფერს აკეთებენ, (ზოგგან სრულიათ არ არსებობენ), საზოგადო კრებებს არ იწვევენ, არ აქვთ შემუშავებული გეგმა საქმიანობისა, კომიტეტებში მუშაობენ ტეხნიკური მომუშავეები და არა წევრები, საზოგადოებრივ თვითმოქმედებას საზოგადოებაში ადგილი არ აქვს, სანიტ. საექიმო დაწესებულებებში ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე და სხვა.

რათა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა გაუმჯობესდეს პრეზიდიუმი ფიქრობს მთელ რიგ ღონისძიების მიღებას.

საექიმო-სასანიტარო მუშაობა.

წითელ ჯვარს დასახული ჰქონდა მიზნათ 5 ახალი საექიმო პუნქტის გახსნა, მაგრამ ვერ მოახერხა უსახსრობის გამო. მის მიზანს ეხლა შეადგენს არსებულ პუნქტების გაჯანსაღება ყოველმხრივ.

თვითეულ პუნქტს დავალებული ჰქონდა საექიმო სტატისტიკის წარმოება, რაც შესრულებულია. ამასთანავე სწარმოებდა იმ ადგილების შესწავლა, სადაც არსებობენ საექიმო პუნქტები. წითელ ჯვარმა გაგზავნა ორი ექსპედიცია, ერთი სვანეთში და მეორე ახტალაში ადგილობრივ ავადმყოფობათა შესასწავლად.

მიუხედავათ იმისა, რომ ახალი საექიმო პუნქტების დაარსება წელს განზრახული არ იყო, მოსახლეობის მოთხოვნილებით ისინი დაუარსებიათ: ხაშმში, ჯავაში, რგანში და ბოლევში (გორის მაზრა).

საექიმო-სანიტარულ განათლებას ადგილობრივ ხელმძღვანელობენ ექიმები, რომელთაც ცენტრი უგზავნის პერიოდულ გამოცემებს საექიმო დარგში და პოპულიარულ ბროშურებს მოსახლეობაში უფასოთ გასავრცელებლად.

მომავალში ცეკა ფიქრობს გახსნას 2 ლაზარეთი, რისთვისაც დამზადებულია საჭირო ავეჯი. ამასთანავე დაარსდება 2 შემთხვევითი რაზმი და უკვე მომზადებულია 2 სადეზინფექციო რაზმი, რომელიც შეუდგება მუშაობას. დაარსებულია საექიმო საბჭო, რომელიც შეუდგება მუშაობას მომავალ წლიდან.

მომარაგების განყოფილება

მომარაგების განყოფილების განკარგულებაში იყო სამნეო და საავთიაქო საწყობი—300.000 მანეთის ქონებით.

მომარაგების განყოფილება განაგებდა 2 მატარებელს, რომლებიც ეხლა მთავრობისათვის გადაუციათ. ეხლა კი მიღებული იქნება 8 სანიტარული ავტომობილი.

განყოფილება განაგებს აფთიაქს და აფთიაქის საწყობს და უწევს საექიმო დახმარებას 1.000 პროლეტ. სტუდენტს.

განყოფილებამ 8 აფთიაქი გახსნა პროვინციაში.

საფინანსო განყოფილება

ვინაიდან ზოგიერთ დაწესებულებას არავითარი შემოსავალი არ მოჰქონდა, ამისათვის ისინი დაიხურა. ეხლა დარჩა: აფთიაქი, აფთიაქის მაღაზია და სტამბა, რომლებიც იძლევიან შემოსავალს.

კარგ შემოსავლის წყაროთ ითვლებოდენ ანარიცხები კინოებიდან და კაზინო, მაგრამ ეს წყარო სხვადასხვა მიზეზების გამო დღეს ეს შემოსავალიც შემცირდა. „ჩემო“-მ მისცა საზოგადოებას 10,000 მანეთი ლიკვიდაციის დროს. ასე რომ ფინანსიურ დარგში საზოგადოებას დეფიციტი აქვს.

საკავშირო ცეკის დაარსება

წითელი ჯვრის და ნახევარ-მთვარის საკავშირო საბჭოს დაარსების იდეა ჯერ კიდევ 1923 წელს ყოფილა წამოყენებული, რისთვისაც უკანასკნელ კონფერენციაზე მოსკოვში აურჩევიათ კომისია დებულების შესამუშავებლათ.

ამ ყრილობაზე საქართველოს წარმომადგენლათ პლენუმმა აირჩია ამხ. კიკალეიშვილი.

დამოკიდებულება უცხოეთთან.

საქ. წითელი ჯვარი რამდენჯერმე მიიწვიეს გამოფენებზე: ვენაში და ჟენევაში, მაგრამ მონაწილეობა ვერ მიიღო, მიუხედავათ იმისა, რომ ექსპონატები დამზადებული იყო.

მოლაპარაკება სწარმოებდა იტალიასთან წელს 30.000 კილო ქინაქინის მიწოდების შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს საქართველოს.

კამათი

მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომლებზედაც მან პასუხი გასცა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა ყველა ამ საკითხებზედ, რომლებიც წამოაყენა მომხსენებელმა და გაშუქა, მიიღო რეზოლიუციები.

პლენუმმა დაადგინა დაარსდეს წარმომადგენლობანი: იტალიაში, ამერიკაში და საფრანგეთში.

ამით დაიხურა პლენუმი.

სხდომის შემდეგ პლენუმის წევრებმა დაათვალიერეს ის ექსპონატები, რომლებიც დამზადებული იყო უცხოეთში გამოფენაზე გასაგზავნათ.

ეს ექსპონატები წარმოადგენენ საქართველოს თვითეული კუთხის გლეხის ეზოს, სადაც მძვინვარებს მალარია, ძველ შენობების გვერდით გაკეთებულია ახალი შენობები, რომლებიც საჭიროა იყოს ჰიგიენის თვალსაზრისით.

წევრები ექსპონატებით კმაყოფილნი დარჩნენ.

პროფკავშირებში

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

4 ოქტომბერს გაიხსნა ა | კავკ. პროფკავშირთა საბჭოს მეხუთე პლენუმი; პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: ა | კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში, აზერ. პროფსაბჭოს მოხსენება, ა | კ. შრომის სახკომების მოხსენება უმუშევრობის, სოციალური დაზღვევის, კვალიფიციური მუშა ხელის და შეგირდების მომზადების შესახებ, მოხსენება ხელფასის შესახებ, პროფკავშირთა მასიური მუშაობის შესახებ, საგეგმო კომისიის მოხსენება ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შესახებ, მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და პერსპექტივები საქარ. აგარაკების მდგომარეობა, სანატორიუმ „არაზინდო“-ს მუშაობა და სხვა.

ა | კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა

(მომხსენებ. ამხ. სემკოვი)

მუშაობის საერთო დახასიათება

მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს პრეზიდიუმის მუშაობას უკანასკნელი პლენუმიდან დღემდე. ამ უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში საბჭოს მოუწვევია პროფეს. ორგანიზაციათა რამდენიმე თათბირი, რომელსაც გადაუწყვეტია მნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხები. ამავე პერიოდში საბჭოს შეუქმნია მტვირთველ მუშათა პროფორგანოები, გამოუმუშავებია ინსტრუქციები სოფლად მუშაობის შესახებ, მიუღია მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტების და სახალხო მეურნეობის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმების შედგენაში.

პროფმოძრაობის ზრდა

შემდეგ მომხსენებელი ეხება პროფმოძრაობის დღევანდელ ვითარებას ამიერ-კავკასიაში, სადაც, მომხსენებლის გადმოცემით, პროფმოძრაობა დიდი ნაბიჯით წინ მიიწევს. 1924 წლის ივლისის პირველისათვის ა | კ. პროფკავშირები აერთიანებდენ 258 ათას მუშა-მოსამსახურეს, მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის კი ა | კ. პროფკავშირებში ირიცხებოდა 310 ათასი მუშა-მოსამსახურე.

ამგვარად პროფმოძრაობის გარეთ დარჩენილია მუშა - მოსამსახურეთა მთელი რაოდენობის 8 პროც. მიმდინარე წელს პროფკავშირების წევრთა რიგებს მიემატა 23 ათასი მოჯამაგირე, 10 ათასი სამრეწველო მუშა 1500 ტრანსპორტის მუშა, კომუნალურ წარმოებათა 2500 მუშა.

სოციალური შემადგენლობის მხრივ პროფკავშირთა წევრების მთელი რაოდენობის 65 პროც. წარმოადგენენ მუშები, მოსამსახურეები—35 პროც. გაიზარდა აგრეთვე პროფკავშირთა აქტივის შემადგენლობა, რომლის რიცხვი 26 ათასამდე ავიდა.

მიმდინარე წელს სწარმოებდა აგრეთვე სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა პროფესიონალური შეკავშირება, ამ ჟამად ინჟ.-ტეხნოლ. სექციას მთელს ამიერკავკასიაში ჰყავს 2 ათასამდე წევრი.

ფინანსები.

პროფორგანიზაციათა ფინანსიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სავსებით მოწესრიგებული არ არის საწევრო გადასახადების აკრეფა. შეუკრეფელი საწევრო თანხა უდრის 23 პროცენტს.

პროფორგანოების ფინანსიურ მოღონიერებას ხელს უშლის აგრეთვე ფულის გახშირებული ფლანგვა და მითვისება. ამ მოვლენის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სასტიკი ზომები.

ხელფასი.

საანგარიშო პერიოდში ხელფასი შეუჩერებლივ იზრდებოდა.

1924 წლის 1 ოქტომბრისათვის აზერბეიჯანში საშუალო ხელფასი უდრიდა—41 მან. 50 კაპ. 1925 წლის 1 ივლისისათვის -55 მანეთს, საქართველოში—1924 წლ. 1 ოქტომბრისათვის—41 მან. 1925 წლის 1 ივლისისათვის—52 მანეთს, სომხეთში 1924 წლის 1 ოქტომ.—42 მან., 1925 წლის 1 ივლისისათვის 48 მან. გადიდდა აგრეთვე სახელმწ. ბიუჯეტზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 27 მანეთიდან 50 მან. 50 კაპიკამდე.

მასწავლებელთა საშუალო ხელფასმა იმატა 35 მანეთიდან 40 მანეთამდე.

შრომის ნაყოფიერება.

ხელფასზე უფრო მეტად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რომელიც მშვიდობიან დროის დონემდე ავიდა, ალაგ კი გადააჭარბა.

წინ წაიწია აგრეთვე კავშირების ეკონომიურმა მუშაობამ. ამ ჟამად საქართველოში მოწყობილია 107 საწარმოო თათბირი, აზერბეიჯანში —150, სომხეთშიც [illegible], მაგრამ თათბირების მუშაობა ვერ დგას სასურველ დონეზე.

წითელ ჯარში

მე-2-ე საარტ. ლეგიონის წლისთავი

4 ოქტომბერს მე-2-ე საარტილერიო ლეგიონმა იდღესასწაულა არსებობის 1 წლისთავი. ლეგიონი დილიდანვე საზეიმო სახეს ატარებდა და მას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მოელოდენ ძვირფას სტუმარს ამხ. მიხა ცხაკაიას. ზეიმზე უნდა მომხდარიყო ლეგიონის შეფის— საქ. პროფკავშირების მიერ დროშის გადაცემა.

დაახლოვებით 11 საათზე მოვიდენ სტუმრები. ამხ. მიხას წითელარმიელები დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ. ამხ. მიხამ დაათვალიერა ლეგიონი, ესაუბრა წითელ-არმიელებს ჰკითხავდა მათ ავ-კარგს, უმარტავდა ჩვენი ჯარების ახალ ტერიტორიალურ სისტემის მნიშვნელობას და იმ მოვალეობას, რომელსაც აკისრებს მშრომელი ხალხი თავის წითელარმიას.

შემდეგ მოხდა დროშის საზეიმო ჩაბარება. ჩაბარების დროს წარმოითქვა სიტყვები, ილაპარაკეს: ამხ. მ. ცხაკაიამ, შეფ-კომისიის წარმომადგენლებმა და სხვებმა, რომლებიც თავის სიტყვებში აშუქებდენ დროშის გადაცემის მნიშვნელობას. საპასუხო სიტყვებით გამოვიდენ წითელარმიელები.

დროშის ჩაბარების შემდეგ გაიმართა ამხანაგური სადილი.

საღამოს წითელარმიელები წაიყვანეს საგარნიზონო კლუბში, სადაც ჯერ ჩატარებული იქნა საზეიმო სხდომა და შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. გათამაშებულ იქნა: „რემედასს“-ი და კომიკური პიესა „საცოლე ერთი წუთით“. წარმოდგენას მოჰყვა საკონცერტო განყოფილება.

ზეიმმა წითელარმიელებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

საბჭოთა სასამართლო

მცირეწლოვანის გაუპატიურებისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: გერამაშვილის და ხაჩატუროვის, პროკურორის თანაშემწე გრიგოლიას მონაწილეობით, ქალაქ სიღნაღში გაარჩია ბრალდებულ შაქრო მიხეილის ძე ჭიქაძის საქმე.

ჭიქაძეს ბრალათ ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 171, 146 და 18 მუხლებში გათვალისწინებული ბოროტმოქმედებანი (მცირეწლოვანის ძალით გაუპატიურება, მკვლელობა წინასწარი განზრახვით).

ა | წ. 12 აგვისტოს სოფელ კაკაბეთში (სიღნ. მაზრა) ამავე სოფლის მცხოვრებმა შაქრო ჭიქაძემ ურმით თან წაიყვანა მინდორში თავისი მოჯამაგირე (14 წლის) არჩილ ბერიძე. რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ ჭიქაძემ მოხვია ხელი თავის მოჯამაგირეს და მოინდომა მასთან სქესობრივი ვნების დაკმაყოფილება. მოჯამაგირემ ასტეხა ტირილი, გაუწია სასტიკი წინააღმდეგობა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჭიქაძემ თავისი გაიტანა. ეს ყვირილი შემოესმა მოჯამაგირე ბერიძის სიძეს კუხანაშვილს, რომელიც იქვე მუშაობდა მინდორში. კუხანაშვილი გაიქცა საშველათ და ნახა მთელი ეს საშინელი სურათი. ჭიქაძემ დაუწყო ხვეწნა კუხანაშვილს არ გაემხილა ეს ამბავი, რაზედაც თანხმობა მიიღო უკანასკნელისაგან. ჭიქაძე არ დაენდო ამ დაპირებას და განიზრახა ბოროტმოქმედების კვალის მოსპობის მიზნით მოეკლა როგორც თავისი მოჯამაგირე, ისე კუხანაშვილი. მან აიღო თოფი, გამოუმიზნა თავის მოჯამაგირეს, ესროლა და იქვე უსულოთ დასცა. ამის შემდეგ გამოედევნა კუხანაშვილს, ესროლა, მაგრამ ააცდინა. უკანასკნელმა მოასწრო გაქცევა.

აღნიშნული ბოროტმოქმედებანი სასამართლო ძიებაზე დამტკიცდა და ბრალდებულ ჭიქაძეს ყველა ბოროტმოქმედებათა შეჯამებით მიესაჯა ათი წლის გამასახლში მოთავსება სასტიკი იზოლიაციით.

ქრონიკა

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი.

— **საექიმო დახმარება წითელარმიელებს.** ჯანსახკომი და იუსტიციის სახ. კომისარიატი ამჟამად ამუშავებენ წითელარმიელებისათვის საექიმო დახმარების საკითხს.

— **გვამების გადაცემა.** ჯანმრ. კომ. და იუსტიციის სახ. კომისარიატი იმუშავებენ დებულების პროექტს უპატრონო გარდაცვლილთა გვამების სამეცნიერო მიზნით კლინიკებისათვის გადაცემის შესახებ.

— **სულით ავადმყოფთა აღრიცხვა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს სულით ავადმყოფთა ხელახალი აღრიცხვა.

— **ფარმაცევტების მომზადება.** ჯანმრთელობის კომისარიატი ტფილისში ხსნის ფარმაცევტების მოსამზადებელ საშუალო სკოლას.

დაზღვევის სალაროში

— **კურორტებზე.** მიმდინარე წლის ზაფხულზე გაიგზავნა 600 დაზღვეული.

— **დაზღვეულთა სამკურნალოდ.** ზამთრის განმავლობაში დამზღვევი სალარო აბასთუმანში და ქობულეთში იღებს საწოლების საკმაო რიცხვს, წარსულ წელთან შედარებით.

ტფ. აღმასკომში.

— **საზღვარგარეთიდან** გამოწერილია ერთი რენტგენის კაბინეტი და 2 მსწრაფლდამხმარე ეტლი ქალაქის საჭიროებისათვის.

— **კბილის საექიმო კაბინეტების მოწყობა.** თბ. აღმასკომის ჯანმრ. განყოფილება შეუდგა მაზრაში კბილის საექიმო კაბინეტების ქსელის გაფართოებას.

— **ახალი საავადმყოფოები.** თიანეთში და საგარეჯოში ახლო ხანში გაიხსნება საავადმყოფოები, თითო 17 საწოლით.

— **ბავშვთა სახლები.** ყველა საბავშვო სახლები ქობ. აღმასკომის განყოფილებამ გაყო ორ ჯგუფად, პირველი ჯგუფი 400 ბავშვით მოთავსებული იქნა აღბულაღში, მეორე 300 ბავშვით—დუშეთში, თბილისში დარჩა ერთი საჩვენებელი საბავშვო სახლი და ერთიც სკოლა—კომუნა.

— **ქალაქის სახაკლაოს ცნობა.** 1923 წ. შედარებით, წელს ხორცზე მოთხოვნილება გაიზარდა 44 პროცენტით.

— **თბილისის აღმასკომის სანიტტეხნიკური** განყოფილება კირკის და პლეხანოვის პრ. კუთხეში ხსნის საზოგადო საპირფარეშოს.

მიწათ.-მოქ. სახ. კომისარიატში

— **კევის ტყე.** მიწათ-მოქ. კომისარიატის ცნობით შირაქის სატყეოში მოიპოვება 15 ათასი დესეტინა კევის ტყე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საფეიქრო მრეწველობისათვის.

— **შინა-მრეწველობა.** მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატი ამ დღეებში ქუთაისში ხსნის შინა-მრეწველობის სადგურს.

— **საქონლის ჭირი.** მიწათ-მოქ. კომისარიატის ცნობით ამ ჟამად საქონლის ჭირი გავრცელებულია თელავის და ბორჩალოს მაზრებში.

— **ცხენთა საჯიშოების** განყოფილებამ მოსკოვში შეიძინა ინგლისური ჯიშის 2 ფაშატი და ერთი ულაყი.

— **აზერბეიჯანში გამართულ** დოღში ჯერ ჯერობით პირველი გამარჯვებები ხვდა საქ. ცხენთა საჯიშოების მიერ გაგზავნილ ცხენებს.

სხვადასხვა

— **სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან** შესდგა კომისია აბასთუმანში სანატორიუმის ასაგებათ.

— **ა | კ. სახ. დაზღვევის სამართველოს წევრებად** ა | კ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ამხ. ამხ. გეგეჭკორი, სტეპანოვი, ნონიევი და ვეზიროვი.

— **ქუჩების სარწყავი ავტომობილები.** ა | კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა საზღვარგარეთ შეიძინოს ორი ავტომობილი ქუჩების მოსარწყავათ.

— **თბილისში ეწყობა** ა.-კავკასიიდან გასატან და შემოსატან საქონლის მუზეუმი.

— **შრატის დამზადება.** სექტემბრის განმავლობაში ტაბახმელის საშრატე სადგურმა დაამზადა 760 ლიტრა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი მაზრებისათვის.

— **შრ. სახ. კომისარიატმა** დაამტკიცა დადგენილების გეგმა მოზარდთა დაქირავების შესახებ.

— **ქართ. დივ. ნაწილებთან** არსებული სამთვიანი კურსები დაამთავრა 27 წითელარმიელმა, რომელნიც უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ გაიგზავნებიან ქოხ-სამკითხველოების გამგეებად.

— **ინვალიდთა კოოპერატიულმა** არტელმა „დახმარებამ“ დაადგინა მესამე საინვალიდო სახლს ყოველთვიურათ აძლიოს დახმარების სახით 75 მან.

შემთხვევები

— დაჭრა. 3 ოქტ. ღამით, მერეთის ქუჩაზე ბოროტმოქმედმა სასიკვდილოთ დასჭრა დანით მოქ. ისმაილ აბდულოღლი და ალაკპერ ტაგი ზადე. დამნაშავე მამედ ალა ოღლი შეიპყრეს.

— ჯიბგირობა. 3 ოქტ. დილით დეზერტირის ბაზარში მოქ. სალომე სარქისოვს ამოაცალეს 30 მანეთი.

— ქურდობა. 3 ოქტ. ელისაბედის ქუჩაზე გაქურდეს ამბარცუმ სიმონიანცის ბინა.

— ამავე დღეს პუშკინის ქ. მდებარე სასტუმროში გაქურდეს სიმონ მოსაძის ოთახი. მოპარულია 87 მან. ნივთები.

ხელოვნება

— **ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმში** მეცადინეობა დაიწყო 1-ლ ოქტომბერს.

— **„სისხლის ყვავილი“.** მიხ. ჯავახიშვილ-ადამაშვილმა დასწერა ახალი რომანი მსოფლიო ომის დროიდან: „სისხლის ყვავილი“.

— **„ნიამორები“.** ნოემბრის შუა რიცხვებში გამოვა ჟურნალი „ნიამორები“ ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით.

— **მომღერალი ნეჟდანოვა ტფილისში.** ნოემბრის ბოლო რიცხვებში ტფილისში გაიმართება სახალხო მსახიობის მომღერალ ქალის ნეჟდანოვას გასტროლები.

— **„რევოლიუციის მხედრები“.** გ. ციმბირელმა დასწერა პიესა „რევოლიუციის მხედრები“ ქართველ რევოლიუციონერთა ცხოვრებიდან. პიესა ცალკე წიგნათ გამოიცემა.

— **ლექცია.** დღეს რუსთაველის თეატრში, პროფესორი დოქტ. მედიც. მ. ა. მისიკოვი წაიკითხავს ლექციას მეცნიერულ ჰიპნოტიზმზე. 60 პროც. ლექციის შემოსავლიდან გადადებული იქნება წ.-კ. უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების „[illegible]“ სასარგებლოდ.

მუშათა ცხოვრებიდან

ივანეს არაფერი ესმის.

(პატარა ფელეტონის მაგიერ).

— ბიჭო, ივანე, რას კითხულობ?

— არაფერს.

— როგორ თუ არაფერს. მაშ, ეგ რა წიგნი გიჭირავს?

— არაფერია.

— მაშ, ეგ რა არის?

— ეს კანონების წიგნია—„შრომის კანონმდებლობის მოამბე“.

— რა სწერია?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი? მაშ, ცარიელი ფურცლებია შიგ?

— არა, შიგ ბევრი რამე სწერია, მაგრამ...

— მაგრამ, რა?

— არაფერი მესმის...

— რუსულია?

— არა, ქართულია.

— მერე, ქართული ენა არ გესმის?

— მესმის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქ „სხვანაირი ქართულით“ არის დაწერილი და იმიტომ ვერაფერი გავიგე...

— თუ არ გესმის, თავი დაანებე, რაღას ატრიალებ მაგ წიგნს ხელში!

— ხელში იმიტომ ვატრიალებ, რომ ვეძებ, იქნება ვინმე კეთილი კაცი შემხვდეს და ამიხსნას, თუ რა სწერია შრომის სახკომატის შრომის კანონების ახსნა - განმარტებაში მაინც.

მუშა ნიკო ახ-ლი

წალვერის აგ-კარგი

— იცი რა უნდა გკითხო, მიხოჯან!—თუ კაცი ხარ, მითხარი, აგარაკი წალვერი რატომაა ასე უპატრონოდ.

— როგორ თუ უპატრონოდ!—მე არ მესმის, რაზე ლაპარაკობ,—უპასუხა მიხამ ივანეს.

— აი ჩემო მიხო, რა მაინტერესებს მე: კაცო, საზაფხულოდ წალვერის აგარაკი სავსეა ლიპიანი მოაგარაკეებით; აქაური მცხოვრებნი ბლომად იტენენ ჯიბეებს ოთახების გაქირავებით. შემოსავალი წალვერის აღმასკომსაც უნდა ჰქონდეს სხვადასხვა სახის გადასახადების სახით. მაშ, რა მიზეზია, რომ წალვერის სისუფთავეს არავინ ყურადღებას არ აქცევს.

— აი, შეიხედე წალვერის აფთიაქის ეზოში და ნახე, რა სიბინძურეა მთელ ეზოში. გეგონება მთელი წალვერის ნაგავს აქ უყრიან თავს. ნუ თუ წალვერის აღმასკომი ვერ ამჩნევს ასეთ უსუფთაობას. რაშია საქმე?

დროა ვინმე უპატრონებდეს წალვერს.

მუშკორი ყ-ნი.

აი ვინ უშლის ხელს დაზღვევის საქმეს

(დამზღვევ სალაროს საყურადღებოთ).

მე ვარ საბჭოთა მოსამსახურე. რამოდენიმე თვის წინეთ, როგორც ავადმყოფს დამენიშნა საერთო წესით სათანადო კომისია, რომელმაც სცნო ჩემი თავი მართლაც ავადმყოფად და სცნო აგრეთვე საჭიროთ „არაზინდოში“ ექვსი კვირით ჩემი გაგზავნა.

მე შემხვდა ხსენებულ აგარაკზე მეორე რიგში წასვლა და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ აუცილებლივ წავიდოდი ჩემს ჯერში და განვიკურნავდი ავადმყოფობას.

მივედი სიღნაღის დამზღვევ სალაროში და ვიკითხე, რა დღეს გამგზავნიდენ აგარაკზე.

პასუხი მივიღე, რომ მეორე რიგში მოყოლილი ავადმყოფი მოსამსახურენი უკვე გაიგზავნენ და ჩემს მაგიერ გაიგზავნა ჩემზე მეტათ ავადმყოფი ადამიანი.

მე ვსთხოვე მესამე რიგში მაინც აუცილებლივ გავეგზავნეთ.

პასუხი მივიღე დამაკმაყოფილებელი. 30 ივლისს მე დამიბარა დამზღვევ სალაროში თანამშრომელმა გიორგი მესტიაშვილმა და გამომიცხადა:—თქვენ გგზავნით აგარაკ ბორჯომში 6 კვირით, როგორც ავადმყოფს, მხოლოდ გზის ფული უნდა გადაიხადოთ და ჯამაგირით უნდა დაგაკმაყოფილოთ თქვენმა დაწესებულებამო.—როდესაც დამზღვევი სალარო გზავნის აგარაკზე ავადმყოფ მოსამსახურეს, ის აძლევს მას ჯამაგირს იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ავადმყოფი მოსამსახურე არის აგარაკზე კომისიის მიერ დანიშნულ ვადაში—ვუპასუხე მე.

„ბატონმა“ მესტიაშვილმა, ნიკოლოზის დროის „ჩინოვნიკის“ პასუხიც კი არ მაკადრა ხეირიანათ. ჩემი თხოვნა მან არ შეიწყნარა და იმ წუთშივე ჩემს ალაგზე გაგზავნა მოსამსახურე სოფიო ნატროშვილისა. მე კი მომისპო მან საშუალება მესარგებლა ჩემი უფლებით. გაგზავნილ სოფიო ნატროშვილი იქნა დაკმაყოფილებული როგორც მიმოსვლისათვის საჭირო ფულით, აგრეთვე კუთვნილი ჯამაგირით.

რაშია საქმე?...

ადგილობრივი მოსამსახურე.

შრომის ინსპექციის საყურადღებოთ

რამოდენიმე ხნის წინად შემთხვევით მომიხდა შევლა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ორთქმავალთა საამქროში. იქ ვინახულე სპილენძის მომუშავეები და ჩამომსხმელები. ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ არიან ამხანაგები—მათ ასეთი პასუხი მომცეს:

— ჩვენთვის თავს არავინ იწუხებს. ჩვენ ვმუშაობთ (როგორც მავნე სამუშაოში) 6 საათს და გვაძლევენ რძეს. ამის მეტი არაფერი ჩვენ არა გვაქვს, არც სპეც-ტანისამოსი, არც ხელფასის მომატებები. აქ ზოგიერთ საამქროში, სადაც ცეცხლზე მუშაობენ, ეძლევათ ცხელი და მძიმე სამუშაოებზე ზედმეტი კაპეიკები; ჩვენ-კი ამას არ გვაძლევენ მაშინ, როდესაც ცეცხლზე გვეწვის სახე და ტანისამოსი.

მთელი ექვსი საათის განმავლობაში ცეცხლს ვერ ვშორდებით და ჯამაგირს ვიღებთ ყველა მუშებზე ნაკლებს—სამ თუმანს. რამდენჯერმე მივმართეთ ადმინისტრაციას და ადგილკომს ამის შესახებ, მაგრამ თავს არავინ იწუხებს.

სხვათა შორის ერთმა ჩამომსხმელმა მუშამ შემომჩივლა:—მე აქ რვა წელიწადი ვმუშაობ და მხოლოდ მე-6-ხარისხით ჯამაგირს ვღებულობ; მოვითხოვე ერთი ხარისხის მომატება, მაგრამ შემფასკომმა მითხრა, რომ ჩამომსხმელებს არ ეკუთვნის მეტი ხარისხის ჯილდო.

ნეტავი რა დავაშავეთ ჩვენ! არც მომატება, არც სპეც-ტანისამოსი, თანაც ყველაზე ნაკლები ჯამაგირი!

ეხლა ვეკითხები შრომის ინსპექტორს, რატომ ჰყავს ეს ორი ბრიგადა უყურადღებოდ მიტოვებული.

თუ ადმინისტრაცია არ იღებს მათ თხოვნას, თქვენ მაინც რატომ არ აქცევთ მათ ყურადღებას?!

მუშა ლამურა.

არც ტანჯვა გვაკლია და არც ხარჯები

(ძღვნად წყალსადენს).

— გამარჯობა, ვასო!

— გაგიმარჯოს, ჩემო მიხო!

— საით მიეჩქარები ვედროებით?

— წყალისთვის მივდივარ. მიუგო ვასომ.

— კაცო. ამ სიშორეზე რომ დადიხარ წყალისათვის, განა წყალი თქვენს ახლოს არ არის?

— ახლოს კი არა, ჩემო მიხო, თვითონ მე მაქვს ეზოში გაყვანილი მილი, მაგრამ წყალი კი არ არის შიგ. მთელ ხრებტოვის ქუჩაზე (ლოტკის მთაზე) მცხოვრებნი ასეთ გაჭირვებას განვიცდით, მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის ყველას აქვს ეზოებში გაყვანილი წყალი და ფულსაც ყოველთვიურად გვახდევინებენ „დახარჯული წყლისას“.

— კაცო, შენ ჭკუა ხომ არ გაკლია? თუ კი წყალს არა ხარჯავთ, ფულს როგორ გახდევინებენ? წყალსაზომი ხომ გიდგიათ, რამდენიც დაიხარჯება წყალი, იმდენისა უნდა გადაიხადოთ ფული.

— უბედურობაც ისაა, ჩემო კარგო, რომ წყალსაზომი არავის არ უდგია და ისე ვარაუდით სულზე ანგარიშობენ. გვეუბნებიან: გინდ დახარჯე და გინდ არა, ფული მაინც უნდა გადაიხადოთ, და კიდეც გვახდევინებენ.

— მე კი [illegible] ჩემო ვასო, რომ ვისაც სახლში წყალი არა აქვს გაყვანილი, [illegible] ხარჯიც, ნამდვილათ კი თურმე ორივე ემატება.

შესაბრალისი ხმით წამოიძახა მიხომ და გაეშურა ქარხნისკენ.

მუშა სიონელი

გამოგზავნილი წერილებიდან

— **აქ უსუფთაობას რაღა უნდა.** ქართულ მუშფაკულტეტს აქვს სამი საერთო საცხოვრებელი, სადაც სცხოვრობენ მუშფაკის მსმენელი სტიპენდიანტები. სამწუხაროდ, ამ საცხოვრებლებში სრულებით დაცული არ არის ჰიგიენური პირობები: არც ერთ ბინაში არ არის ჩასაფურთხებლები და სანაგვე-საფერფლე. თითოეულ ოთახში მოთავსებულია 15—25 კაცამდე და ყველა ესენი საშინლად აუსუფთავებენ საერთო ბინებს.

აქ დაიცავით სისუფთავე—სათანადო ჰიგიენური რეჟიმის შემოღებით.

მუშფაკელი შეუპოვარი.

— **სახალხო ქონება იღუპება.** სად. ქვალონთან (სამეგრელო) ახლოს არის აშენებული და საშინლად უვარგის შენობაში მოთავსებული 29 ძალის სახერხი—საფქვავი მანქანა. მანქანა ამ ჟამად არ მუშაობს. შენობა ძალიან დაზიანებულია: მას სახურავი თითქმის არა აქვს. კარ-ფანჯრები ჩამტვრეულია.

კომუნალურო განყოფილებავ, რად გძინავს.

თ. კანკია.

— **ტყავს აძრობენ გლეხებს და მუშებსაც.** ღრმა ღელე გადაიქცა უწმინდურ ჩარჩ-ვაჭრების ბუდეთ. ეს ბინძური სპეკულიანტები აქ უხვდებიან ქალაქში მიმავალ გლეხებს და ნიორის ფასად ყიდულობენ მათგან სურსათ-სანოვაგეს და შემდეგ კი ჰყიდიან მუშებზე ერთიორად. აქ მუშაც იჩაგრება და გლეხიც.

მილიციავ, შენ რას აკეთებ?

ახკორი შავანი.

— **დავიწყებული ქუჩა.** მესხის ქუჩა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. იგი ადგილ-ადგილას ძალიან დაზიანებულია და გაფუჭებულია. აქ სინათლეც საკმარისი არა გვაქვს. ღამით ამ ქუჩით თითქმის არ გაივლება.

აღმასკომო, შეაკეთე!

სტამბის მოწაფე ხალათიანი.

წერილები პროვინციიდან

მეტი ყურადღება, მეტი გულშემატკივრობა

ამ ბოლო ხანს მეტათ გახშირდა სოფლებიდან წერილები ექიმების და ფერშლების გულგრილობის შესახებ თავის მოვალეობის ასრულების დროს. ზოგიერთ შემთხვევაში ფორმალურად, კანონის ძალით სოფლის მკურნალები სრულიად მართალნი არიან, მაგრამ არ შეიძლება მათი საქციელის ზნეობრივად გამართლება.

მაგალითისათვის ვღებულობთ ლანჩხუთელ ექიმ რადინს. მას შეუხვდა გზათ გავლა სოფელში, სადაც მძიმე ავადმყოფი იყო. გაჭირვებულმა პატრონმა მოწიწებით სთხოვა, რომ გარჯილიყო და შეევლო რამდენიმე წუთით ავადმყოფთან. ექიმმა ყური არ ათხოვა მძიმე ავადმყოფის პატრონ გლეხის თხოვნას, გადაჰკრა ცხენს მათრახი და ლანჩხუთისაკენ გაჰკურცხლა. შეიძლება რადინს არ ევალებოდა ამ სოფლის ექიმობა, დასაშვებია, რომ კანონის ძალით ვერავინ აიძულებდა მას ავადმყოფთან შევლას, მაგრამ როგორ უნდა გავამართლოთ ასეთი საქციელი ზნეობრივად?

მეორე მაგალითი: ზესტაფონის საავადმყოფოს ფერშალ შავდიას მიმართა დახმარებისათვის თავში მძიმეთ დაჭრილმა ავადმყოფმა. შავდიამ ის ერთ ხანს კარებთან ალოდინა. შემდეგ წინადადება მისცა მოეტანა თავისი ბინტი, ბამბა, იოდი და ამის შემდეგ შეჰპირდა ჭრილობის შეხვევას. მესამე შემთხვევა უკვე ს. ობჩის აფთიაქის გამგე ჩხეიძის ქალს ეხება. მან უარი უთხრა გლეხს, რომლის მამამაც ფეხი მოიტეხა. უარის გასამართლებლად უდროობა მოიმიზეზა, რადგან აფთიაქი უკვე დაკეტილი იყო.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასახასიათებლად, თუ როგორ უსულოთ და ბიუროკრატიულათ ეკიდება სოფლის ზოგიერთი ჯანმრთელობის მუშაკი თავის მოვალეობის ასრულებას. არ კმარა მარტო იმაზე ზრუნვა, რომ დანიშნულ ვადაზე მოიხადო შენი ვალი და შემდეგ ყოველივე პასუხისმგებლობა მოიხსნა თავიდან. ბიუროკრატიზმი დაუშვებელი სენია ჩვენს დაწესებულებაში. ის მით უფრო მავნებელია ჯანმრთელობის საქმეში, რომლის მუშაკებიც განსაკუთრებულ სათნოებით და ხალხისადმი გულშემატკივრობით უნდა იქნენ აღჭურვილნი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოფლად ბევრი მოიპოვება ხალხის ჯანმრთელობისათვის თავდადებული მუშაკი. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს არანორმალური მდგომარეობა მარტო იმ შემთხვევებით ამოიწურება, რომლებზედაც სწერენ სოფლის კორესპონდენტები.

ა. ბ—ლი.

ნუ დაივიწყებთ დაბალ საფეხურის მასწავლებლობასაც

გურიის მასწავლებლებს სამი თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ. მდგომარეობა მძიმეა. საერთო ეკონომიურ ხელმოკლეობას კიდევ უძლებენ 7—9 წლედების მასწავლებელნი, რომლებიც შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან და 2—3 ჯერ მეტს იღებენ, ვიდრე 4 წლედების მუშაკნი, ე. ი. 60-120 მანეთამდე.

რა უნდა ქნას 27 ნახ. მანეთიანმა 4 წლედის მასწავლებელმა, რომელსაც 2—3 თვის დაგვიანებით ღებულობს? ამ მხრივ კიდევ მეორე მდგომარეობას აქვს ადგილი, რაც უკმაყოფილებას იწვევს დაბალ ჯგუფებისა და კლასების მასწავლებელთა შორის.

ეხლანდელი 50 პროც.-ს მომატება დიდ უფსკრულს აჩენს დაბალ და მაღალ ჯგუფების მასწავლებელთა შორის. მასიური სკოლის მასწავლებელთ მიემატათ 2 ნახ. მან., კლასებისას კი 20—30 მან. თითოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომაში არ არის დიდი განსხვავება, მით უფრო, როცა თანამედროვე კომპლექსიური მეთოდით მუშაობას არ ყოფნის პროგრამაში აღნიშნული კვირეული 24 საათი; თუ ვიანგარიშებთ მრავალნაირ პრაქტიკულ ცდებს, ექსკურსიებს და სხვას, კვირაში 35—40 საათიც იქნება სამუშაო.

შვიდწლედის მასწავლებელი იღებს თვეში 50—56 მანეთს, დაბალი ჯგუფის—27 ნახ. მანეთს. 7 წლედის გამგე იღებს 120 მანეთამდე: ოთხწლედის გამგე—32 ნახ. მანეთს.

აი ის განსხვავება, რაც დიდ უფსკრულს ჰქმნის ერთი პროფესიის ამხანაგთა შორის, რომელთა შრომაც თითქმის არაფრით განსხვავდება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამაზრო პროფკავშირები, რაიადკომები და მასწავლებელთა კონფერენციები ვერ იჩენენ სათანადო აქტივობას ამ საკითხის მოგვარებაში.

ვიმედოვნებთ, რომ განათლების კომისარიატი მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას ხსენებულ გარემოებას და ანგარიშს გაუწევს დაბალ საფეხურების სკოლათა მასწავლებლობის სამართლიან მოთხოვნილებას.

ქვს. წოფნარელი

თავგასული ენდელაძე

ზეკრის აბანო თავის სამკურნალო წყლით, მდებარეობით და ჰავით განთქმულია მთელს საქართველოში. ეს აბანოები იმყოფება სამაზრო გლეხკომის ხელში, რომელიც მას ყოველ-წლიურათ სცემდა იჯარით და წელსაც კერძო პირს გადასცა. ამის გამო დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს ზეკრის გლეხობა.

ზეკრის თემის გლეხკომს თავისუფლათ შეეძლო ამ აბანოს მოვლა-პატრონობა. წელს კი ეს აბანოები აიღო იჯარით ვინმე ონოფრე ენდელაძემ. მის ყოფა-ქცევამ ზიზღი და უკმაყოფილება გამოიწვია მუშა-გლეხ ხალხში, რომლებიც მოდიოდენ საბანაოთ.

ენდელაძე ყოველ დღე ლოთობს. მუდამ იარაღი უჭირავს ხელში და ყვირილით მიმართავს ხალხს. იყო შემთხვევა, როცა კლავდა ადგილობრივ სასადილოს გამგეს, და ტყის მცველებს ხომ მოსვენება არ აქვს მისგან.

კარგი იქნებოდა, რომ სამაზრო გლეხკომი მოგვაშორებდეს ასეთ გამგეს და შეაკეთებდეს აბანოებს, რომელიც დანგრევის პირათაა დღეს.

დ.

წერილებიდან

ზორა (ქუთ. მაზ.)

წინათ და ეხლა. ჩვენს თემში წინად სამი სკოლა იყო. მასწავლებელთა რიცხვი 5 არ აღემატებოდა. დღეს 6 სასწავლებელია გახსნილი. მათ შორის ერთი შვიდწლედი და ერთიც სამეურნეო სკოლა. მასწავლებელთა რიცხვი 20 კაცზე მეტია, მიუხედავათ ამისა სწავლის მსურველთა რიცხვი იმდენია, რომ ეს სკოლებიც ვერ აუდის ყველას.

გ. შარვაშიძე.

ს. შუხუთი (გურია)

გულციგი ექიმი. ამას წინათ ჩვენს სოფელში გზათ გამოიარა ლანჩხუთელ ექიმ რადინმა. გაჭირვებული გლეხი, რომელსაც სახლში მძიმე ავათმყოფი ჰყავდა, დაუხვდა მას გზაზე და სთხოვა გაესინჯა ავათმყოფი. რადინმა ყურიც არ ათხოვა გლეხის თხოვნას, შემოჰკრა ცხენს მათრახი და გააქანა ლანჩხუთისაკენ.

ალალი.

ფარცხანაყანევი (ქუთ. მ.)

მივიწყებული ქოხ-სამკითხველო. ასეთ ვეებერთელა თემში, ქოხ-სამკითხველო არაა სათანადოთ მოწყობილი. გვიმართავთ სალამო ქოხ-სამკითხველოს სასარგებლოთ, რომელმაც ასი მანეთი დაგვიტოვა, მაგრამ ფული დღესაც უსარგებლოთ დევს. არა ჰყავს თემს აგრეთვე ქოხ-სამკითხველოსათვის მომზადებული ხელმძღვანელი პირი.

აპ. გაბედული.

ს. უბისა (შორ. მ.)

შინაური ხელი ურევია. ამას წინათ სურამ-ძირულის გზის სააღმშენებლო კანტორის თავს დაესხა 7 ბოროტმოქმედი და გაიტაცეს ორი ათას მანეთამდი. დარაჯმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ბოროტმოქმედნი კანტორის მოხელეებს და ინჟინერს სახელით მიმართავდენ, როგორც შინაური ხალხი. დაცემის მეორე დღეს ინჟინერი ჩიკალინი გულის სიგანივრით გარდაიცვალა. მილიციამ ფიცხლათ უნდა აწარმოოს გამოძიება. ყველაფრიდან სჩანს, რომ ბოროტმოქმედებაში შინაური ხელი ურევია.

ალგე.

ანდოეთის თემი (შორ. მ.)

გადასახადი უთანასწოროთაა გაწერილი. ჩვენს თემში სას.-სამ. გადასახადი უთანასწოროთაა გაწერილი. ღარიბ გლეხებს: შალ. კუჭეიშვილს, ვარდიტკე კუჭეიშვილს და ქვრივ ნინო კუჭეიშვილს შეწერილი აქვთ პირველს 14, მეორეს 18 და მესამეს 5 მანეთი. ამავე დროს შეძლებულ მოსახლეებს: ზიცა კუჭეიშვილს, რომელსაც აქვს 4 დღ. მიწა, ჰყავს ორი უღელი ხარი, ორი ძროხა, ცხენი და ორმოცი სულამდე ცხვარი, შეწერილი აქვს 11 მანეთი. ამდენივე აქვს შეწერილი მეორე შეძლებულ გლეხს ძიძიევ კუჭეიშვილს. მაზრამ დაჩქარებით უნდა გამოასწოროს ეს შეცდომა.

ილია კუჭეიშვილი.

ს. თერჯოლა (შორ. მ.)

ვერ მოიშალეს. წელს რომ სტუმრობა და ქეიფი იყო აქაურ დღესასწაულებზე „კენობას“ და „ღვთისმშობლობას“, ასეთი თერჯოლელ გლეხებს არ უნახავს. მდიდარი და ღარიბი ყველა მომზადებული იყო. რაც ამ დღეებში სოფელმა ფული დახარჯა, ამ თანხით ორ სართულიანი სახლი აშენდებოდა. მადლობის ღირსია ჩხარის მილიცია, რომლის მეოხებითაც თემობამ წყნარათ და უჩხუბრათ ჩაიარა, რაც იშვიათ შემთხვევათ უნდა ჩაითვალოს.

ვალ—ია.

სოფლის ქრონიკა

— **დაბა გალში,** (სამურზაყანოში) განზრახულია აგებულ იქნეს ბამბის საწმენდი ქარხანა.

— **ვენერიული ავადმყოფობა.** სოფ. ვერთაშენში ბოლო ხანებში გავრცელდა ათაშანგი. 1000 სულში დაახლოვებით 80 პროცენტი დაავადმყოფებულია.

— **მგლები.** 1 ოქტ. სოფ. ლაფანანთკარში (დუშ. მაზ.) შემოიჭრენ მგლების გროვა, გაიტაცეს 7 თხა და 3 ხარი.

— **დუშეთის აღმასკომმა** წინადადება მისცა ყველა სათემო აღმასკომებს განსაკუთრებული ზომები მიიღონ ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზების დასაცავად.

— **ფარულათ ვაჭრობის წინააღმდეგ.** დუშეთის აღმასკომმა გამოსცა დადგენილება მაზრაში ღვინის და მაგარი სასმელების ფარულათ ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

— **შორაპნის სამ. აღმასკომმა** ჭიათურის ცეცხლისმქრობელ რაზმის მოწყობილობის გასაუმჯობესებლად გადასდო 1800 მან.

— **ქარელის აღმასკომმა** ბიბლიოთეკა-სამკითხველო გადაიტანა ცალკე შენობაში. ბიბლიოთეკაში გლეხებისათვის იწარმოებს ხმამაღალ კითხვა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მუშა-მოსამსახურის გადაყვანის დროს დახმარების გაცემის შესახებ

კითხვა

სამი წელიწადი ვმსახურობდი დ. ფასანაურში რაიონის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობაზე. მიწ. მოქ. სახკომის ბრძანებით ფასანაურიდან ვიყავი გადმოყვანილი ქ. დუშეთში მაზრის სატყეოს გამგის თანამდებობაზე, რასაკვირველია ოჯახიც (3 სული) გადმოვიყვანე. მე მომცეს მხოლოდ სამგზავრო ხარჯების დასაფარავად 27 მან. 50 კაპ. ერთდროული დახმარების და დღიურის მოცემაზე კი უარი მითხრეს იმ მოსაზრებით, რომ ვითომდა გადაყვანა მოხდა მაზრის ფარგლებში. ჩემი საცხოვრებელი წყაროს შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ჯამაგირი, რომელიც მეძლეოდა ფასანაურში 44 მან. რაოდენობით.

გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა ერთდროული დახმარება და აგრეთვე დღიური.

მიწა-ტყის პროფკავშირის წევრი **ალექსანდრე მრევლიშვილი.**

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 82-ის და ა|ქ. შრომის სახკომატის დადგენილების № 56-ის 1923 წ. 25 მაისიდან, თუ დაწესებულების ან წარმოების ადმინისტრაციის განკარგულებით მუშა-მოსამსახურე გადაყვანილ იქნება ადგილიდან და ამასთან დაკავშირებული იქნება საცხოვრებელის გამოცვლა (მუხ. № 37), მას ეძლევა ჯილდო სამგზავრო ხარჯების დასაფარავად და დღიური გადასავალი მთელი დროისათვის და დამატებით 6 დღისათვის—დღეში არა ნაკლები თვიური ხელფასის 1|24-ისა. ამას გარდა მას ეძლევა ერთდროული დახმარება წინანდელი სამსახურის თვიური ჯამაგირის რაოდენობით და, თუ მასთან ერთად გადადიან მისი ოჯახის წევრებიც, მას ეძლევა აგრეთვე დამატებით ერთდროული დახმარება ოჯახის თვითეულ წევრზე არა ნაკლებ თვიური ხელფასის 1|4 რაოდენობისა.

ვის მივმართო, ან როგორ მოვიქცე, რომ პენსია მივიღო

კითხვა

—ვარ ქვრივი, ხუთი მცირეწლოვანი ობლის პატრონი; საცხოვრებელი წყარო არაფერი მომეპოვება; ჩემი ქმარი მსახურობდა 24 წელიწადი ა|ქ. რკინის გზაზე მატარებლების შემდგენლათ, 1922 წელში ის გარდაიცვალა და დავრჩით ექვსი სული უპატრონოთ და ულუკმაპუროთ. მე ვარ სოფლელი ქალი და არა მაქვს გამოცდილება, თუ ვის მივმართო, რომ აღვადგინო ჩემი უფლებები, როგორც რკინისგზელის ოჯახობის.

ამისათვის გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რა გზით შემიძლია ჩემი მცირეწლოვანი ობლებისთვის დახმარების წყაროს აღმოჩენა.

ქვრივი, სიღნაღის მაზ., სოფ. ბოლქვში მცხოვრებელი **სონა ქელეხსაშვილისა.**

პასუხი

თქვენ უნდა წარუდგინოთ რკინისგზის დამზღვევ და საპენსიო სალაროს სათანადო მოწმობები (როგორიცაა ქორწინების წიგნიდან ამონაწერი ადგილ. აღმასკომიდან და სხ.) იმას შესახებ, რომ თქვენ ნამდვილად ხართ მეუღლე გარდაცვალებული რკინისგზელის და იმყოფებოდით მის კმაყოფაზე მის გარდაცვალებამდის და ამასთან აგრეთვე შეამდგომლობა სოცდაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს და ამიერ-კავკასიის რკინისგზის დამზღვევ სალაროს წინაშე, ვინაიდან პენსიის მიღების შესახებ თქვენ დროზე ვერ აღძრავთ ასეთი (იხ. ამიერ-კავკასიის შრომის სახკომატის ცირკულიარი № 119 მუხ. 7—1924 წ. 17 ივნისიდან).

ვართ სტიპენდიანტები, რამდენი ვიხადოთ ბინის ქირა

კითხვა

ვცხოვრობთ მესამე უბანში (პირველი პარალელ. ქ., № 10): ვართ ორი კაცი, გვიჭირავს ერთი ოთახი, სივრცით 25 კვ. არშ. ვსწავლობთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვითვლებით განათლების კომისარიატის სტიპენდიანტათ. ვღებულობთ თითო 25 მანეთს. ბინის ქირას სახლის პატრონი გვახდევინებს 15 მან. წყალისას—96 კაპ. და ნაგვის გადასაყრელს—30 კ.

გთხოვთ განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადავიხადოთ თვეში და რა გადასახადი.

სტიპენდ. **ი. ბოჭორიშვილი და ი. შელევია.**

პასუხი

როგორც სახელმწიფო სტიპენდიის მიმღებნი—ბინის ქირათ თითოეულ კვადრატულ არშინზე იხდით ერთ კაპეიკს; თითო ვედრო წყალზე—ერთ მეოთხ. კაპ.; ნაგვის გადასაყრელი ხარჯები უნდა გაიღოს თვით სახლის პატრონმა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

—ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ამხ. მუშიშვილის კაბინეთში შესდგება სრულ.

საქ. რემედას-ის ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

აუცილებელია დასწრება შემდეგი ამხანაგებისა: მ. ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, გიკი, მარგანიძე, ა. რუხაძე, პელიძე, ჯაიანი, კობიძე, მთვარელიძე, ზაქსი, კვირიკაძე და ბელიაევი.

—ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის შენობაში გაიმართება ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, უჯრედების ბიუროების ყველა წევრთა თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1) საანგარიშო მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ—გ. სტურუა.
2) უჯრედთა ბიუროების ხელახალი არჩევნების შედეგები—(აკოპოვი).
3) საინფორმაციო განცხადება მომავალ პარტკონფერენციის შესახებ.

—კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს, ა|წ. 7 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, შესდგება რაიკომის პლენუმის გაგრძელება, დასწრება რაიკომის წევრების და კანდიდატების, აგრეთვე უჯრედის მდივნების აუცილებელია დაუგვიანებლივ, რაიკომის შენობაში.

—საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგ. განყოფილება წინადადებას აძლევს კომპარტიის და კომკავშირის იმ წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც მიმდინარე წელს მივლინებულნი არიან სწავლისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტში, დღეს, 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე.

—საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კუჭუხიძესთან: ლაბაძე ნესტორ, მირზოიან გაიკ, მშვიდობაძე პლატონ, ტერეგელოვი ოსმან, მჟავია ა. ა., ხარიბეგაშვილი ბ. ი. ოქროპირიძე ალექსანდრე სიმონის ძე.

—სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ს. ალ. კ. კ. უჯრედის კრება მოწვეულია 6 ოქტომბერს, დღით, სამშაბათს, 4 საათზე. ევალება ყველა წევრებს და კანდიდატებს დაესწრონ კრებას დაუგვიანებლათ.

მდივანი ქ. ცინცაძე.

—რემედასის ლენინის რაიკომი აუწყებს რემედასის რაიკომის ყველა წევრებს, რომ დღეს, 6 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში გაიმართება რაიკომის თათბირი.

რემედასის რაიკომის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

რემედასის რაიკომის მდივანი ირ. მშველიძე.

—საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე გაიმართება არსენალის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ყველა წევრთა და კანდიდატთა და აგრეთვე ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

კანდიდატების გადარიცხვა პარტიის წევრებათ

1. არჩვაძე ვალენტინ ი., 2. არზიპოვი ლავრენტი ე., 3. ბაბუსიძე ივანე ბ., 4. ბიბილეიშვილი კონსტანტინე ს., 5. ბეზრუკოვი ივანე გ., 6. ბაქაროვი სარქის ა., 7. გაზეციან ოგანეს ა., 8. გერმისაშვილი ივანე ა., 9. გვაზავა ნესტორ ი., 10. გოლბა ეკატერინე ლ., 11. გრიგორიან სურენ ა., 12. ჯავახიშვილი ბალიკო ლ., 13. ჯებეიან მარტიროს დ., 14. კობახელიძე გიორგი. ნ., 15. ქურდოვანიძე ელენა ბ., 16. ლიბერმან მარიამ ბ., 17. მიკირტუმოვი ლევან ე., 18. მხიტარიან აბრამ გ., 19. ნაზაროვი კარაპეტ ბ., 20. ორკოშნელი სერგი ბ., 21. ფსუტური დავით გ., 22. პოპოვი თევდორე პ., 23. სხირტლაძე ალექსანდრე ი., 24. სხორელი ალექსი გ., 25. სივიაკ სტანისლავ არ., 26. ტეპნაძე მიხეილ ი., 27. ტერ-გრიგუროვი ვართან ი., 28. ურუშანიან ერვანდ ა., 29. ჩიჩინაძე ივანე ს., 30. ჭანტურიშვილი ანტონ გ., 31. ხმიადაშვილი იოსებ პ., 32. შიოიან ამაიაკ ს. 33. შამკოვი ვასილ არ., 34. ბუჩრაშვილი გრიგოლ ნ.

მდივნის მოადგილე წითლიძე.

ტირაჟი—20.000

განცხადებები

თამარა გუგუშვილი, მარო ჩაჩიბაია, ნინო ჩიჩუა, სონია და შუშანა გვასალიები ვაცნობებთ ამხანაგებს ჩვენი საყვარელი ამხანაგის და მეგობრის

თამარ (თათუშა) კეშელავას

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება საკუთარი სახლიდან დანიშნულია სამშაბათს, 6 ოქტომბერს. ქ. ფოთში.

56—1—1

გულდათუთქულნი დედ-მამა, ნინუცა და თომა, და თინა, ძმა ბორია, ბიცოლები: მადო, სონია და ბიძია ბიქტორი კეშელავები, მამიდაშვილი კლეოპატრა შაუდია უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ

თათუშა თომას ასული კეშელავას

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების და დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათს, 6 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება მოხდება ლენინის პროსპექტ. მიხაილოვის მოსახვევთან საკუთარ სახლიდან.

56—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ელიზბარ და დარიკო კალანდაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ 4 ოქტომბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი შვილი

ემერი

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება მოხდება ალექსანდროვის ქუჩიდან № 28. დასაფლავება ვერაზე ყოფ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

58 2—1

ნინო ექვთიმეს ასული მამულაიშვილისა, სოფიო ექვთიმეს ასული გუნცაძისა, ტერეზა ექვთიმეს ასული ხელაძე და თამარ ირსენის ასული მამულაიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა|წ. 3 ოქტომბერს, ღამის 8 საათზე გარდაიცვალა პირველი სამის საყვარელი დედა და მეოთხეს ბებია

ეკატერინე დავითის ასული ხელაძისა

პანაშვიდები ყოველდღე, სად. 6 ს. საკუთარ ბინაზე, იზმაილ. შესახ. № 7, დაკრძალვა ნიკოლოზ. სასაფ. სამშაბათს, 6 ოქტ., ნაშუადღევის 4 საათზე.

1—1 № 53.

ღრმად დამწუხრებულნი პავლე და მიხეილ იოსების ძენი თუმანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი დედა

იულია კონსტანტინეს ასული
თუმანიშვილისა

ცხედრის გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, მიცვალებულის ბინიდან—აკაკი წერეთლის ქუჩა (ყოფილი განთვის), № 21, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში (კათოლიკეთა ქუჩა) დაკრძალვა—ძველ კათოლიკეთა სასაფლაოზე, კუკიის ქუჩა, პანაშვიდები ყოველ საღამოს 6 საათზე, მიცვალებულის ბინაზე.

63—1—1

თავზარდაცემული და გაუბედურებული მეუღლე—იუსტინე, შვილები—შოთა, ქორა და გოგოლა, სიმამრი—გერასიმე, სიდედრი—ნესტანი, ცოლისძმები—ლომინ, ისაკი, სევასტი და ვარლამ დოლიძეები, ცოლისდები—პელაგია ლომინაძისა, ოლღა ბარამიძისა, ნატალია კოპლატაძისა და მარო დოლიძე, რძლები—მატრონე და ელენე დოლიძისა, ქვისლები—კარპეზ ბარამიძე, ვასილ კოპლატაძე და ხალამპრე ლომინაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. ოზურგეთში ა|წ. 4 ოქტომბერს უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, გურიის სკოლების ინსტრუქტორი,

ანდრო დიმიტრისძე
დოგორჯგინიძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1 71

---

4 ოქტომბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მძიმე ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა მხატვარი

გიორგი ზაქარიასძე
ბაშინჯაგიანი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს განსვენებულის შვილები. პანაშვიდები საკუთარ ბინაზე (იზმაილოვის ქ. 16), საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1 61

სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა, ტფილისის განყოფილება და თანამშრომელთა ადგილკომი ღრმა მწუხარებით იტყობინებიან, რომ 1925 წ. 3 ოქტომბერს, დღის 2 საათზე და 30 წუთზე უდროოდ გარდაიცვალა სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ტფილისის განყოფილების გამგე პატივცემული

ალექსი ფილიპესძე
როჟდესტვენსკი

ცხედრის გამოსვენება—დღეს, 6 ოქტომბერს, დღის 2 საათზე ბინიდან შუა ბაზარი № 6, დასაფლავება—ვერის სასაფლაოზე

მცირეწლოვანი შვილი ესტატე (ტატული) პავლეს ძე გრიქურაშვილი, დედა ეკატერინე აბრამის ასული და ბიძა დეკან. ნესტორ მაჭარაშვილები, დეიდაშვილები: ელენე, ლეო, ვასილი, კოტე და არჩილ მაჭარაშვილები ოჯახობით, თამარ და ნიკოლოზ სულიკაშვილები, ქრისტესია და გიორგი თხინვალელი, ნინო და ლეო კარიჭაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და თანამოსამსახურეებს უდროოდ გარდაცვალებას მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ

თამარ ესტატეს ასულის
ფეიქრიშვილისას

პანაშვიდი 6 ოქტომბერს, სამშაბათს, საღამოს 5 საათზე ყოფილ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში. გამოსვენება ეკლიდანვე 7 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

1—1 75

ლანჩხუთის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ჩხიკვიშვილი

ამით აცხადებს, რომ თუ 8 ოქტომბერს ამა 1925 წელსა, დილის 10 საათზე, ქ. ლანჩხუთში, სასამართლოს შენობის დარბაზში, მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ლანჩხუთის [illegible] მომხმარებელთა საზოგადოების ქონებისა, სახელდობრ, ერთ სართულიანი აგურის სახლისა, ქერამიტით დახურულის, ხუთი თვალის აგებულის ქ. ლანჩხუთში, ელექტრონის ქუჩაზე № 23 და აწერილის ქაღალდის „წითელი ოქტომბერის"-ს ვალის დასაკმაყოფილებლათ. აწერილი ქონება შეფასებულია ორი ათას მანეთად და ამ თანხიდან დაიწყება ვაჭრობა.

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

სახელმწიფო მუსიკალური ტრესტის

„მუზპრედ"-ის
„МУЗПРЕД"
ამიერ-კავკასიის კანტორა

აცხადებს დასავლეთ საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ

ქუთაისში გაიხსნა განყოფილება

იყიდება და ქირავდება როიალები და პიანინოები, გიტარები, ჰარმონიები, მანდოლინები, გრამაფონები, ფირფიტები და სხვ.

დიდძალი ნოტები

ყოველთვის არის ახალი სიმები

მომართვა გაწმენდით 5 მანეთი

შეკვეთა სრულდება სისწორით და თავის დროზე.

ნ. 1809—3—1 „მუზპრედ"

საქართველოს გზატკეცილების სამმართველო

აცხადებს, რომ 8 ამა ოქტომბერს, 12 საათზე, სამმართველოს ბინაზე, სერგიევის ქ. № 12, შესდგება

ზეპირი ვაჭრობა

სპეც-ტანსაცმელის დამზადებისათვის

ცნობების მიღება შეიძლება სამმართველოს სამეურნეო ნაწილში ყოველდღე 9—3 ს.

ნ. 1802 2—2.

ქალაქ ტფილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 8 ოქტომბერს, 1925 წ., დილის 11 საათზე, სახლში № 10, კომუნალური ქ., „დარაჩა 4280, საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის იაკოფ გორელაშვილის მოძრავ ქონებას: აბრეშუმის მატერია 160 მეტრს, შეფასებულს 950 მანეთად, მამედა-ბაგირ ნურულაევის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ტფილისის 1 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 30 სექტ., 1925 წ. თარიღით, № 4843 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

54 1—1

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 8 ოქტ., 1925 წ., დღის 2 საათზე, ახმეტის ქუჩა № 1, საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის აბრამ ახვერდოვის მოძრავ ქონებას, ოჯახის მოწყობილობას, შეფასებულს 330 მან. დასაკმაყოფილებლად ფ. ახვერდოვისა, თანახმად შრომის სასამართ. აღმასრ. ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

62 1—1

„სოლეი" და „არფასტო"

დღეიდან

ერთსადაიმავე დროს კინო-თეატრებში

(შემოდგომის სეზონის გახსნა)

წავა სეზონის საუკეთესო სურათი

„მეჟრაბპომ-რუს"-ის გამოცემა

„კოლეჟსკი რეგისტრატორ"

(პუშკინის ნაწარმოებიდან „სადგურის უფროსი«

მთავარ როლში—მოსკოვის აკადემიურ თეატრის მსახიობი ი. მ. მოსკვინი.

რეჟისორები—ი. ა. ჟელიაბუჟსკი და ი. მ. მოსკვინი.

სურათის ჩვენების დროს უკრავს გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრები სპეციალურად შერჩეულ პროგრამის მიხედვით.

„სოლეი«-ში გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით

„არფასტო«-ში მ. გელსკის ხელმძღვან.

სოლოს სკრიპკაზე მე-4 აქტში (melancholique—ჩაიკოვსკის) შეასრულებს იაშა ბროდსკი.

ყოველგვარი კონტრამარკა გაუქმებულია

1—1 ნ. 1808

განცხადება*)

ა. ქ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1925 წლ, სექტემბრის 30.

ა|ქ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ა|წ. აპრილის 2-ს დადგენილების № 13 („სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა მიერ სავაჭრო წიგნების სავალდებულო შემოღების შესახებ") შესასრულებლად, ა|ქ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო წინადადებას აძლევს მე-5 ხარისხის სავაჭრო საწარმოებს და სამრეწველო საწარმოებს არა უმდაბლეს მე-6 ხარისხისა —წარადგინონ რეგისტრაციისათვის მთავარი და საანგარიშო წიგნები მათ გახსნამდე. უკეთუ საწარმოს უკვე გახსნილი აქვს ხსენებული წიგნები, ეს უკანასკნელნი წარდგენილი უნდა იქნენ რეგისტრაციისათვის ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი სავაჭრო სამრეწველო საწარმონი ვალდებულნი არიან ხსენებული წიგნები რეგისტრაციისათვის წარადგინონ ა|ქ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს სარეგისტრაციო განყოფილებაში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარისტანის საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე—კი შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლობის სამმართველოში.

სარეგისტრაციოთ წარდგენილი წიგნები უნდა იქნეს დანომრილი და ზონარ გაყრილი, მაგრამ ზონარის ბოლო ნაწილებზე არავითარი ბეჭედი არ უნდა იქნეს დაკრული.

საწარმოთა ხელმძღვანელნი, რომელნიც დანიშნულ ვადაზე არ წარადგენენ წიგნებს რეგისტრაციისათვის, თანახმად ა|ქ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ზემოხსენებული დადგენილებისა, № 13, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

ა|ქ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ—მუკრეევი.
სამმართველოს მდივანი—აბესაძე.

---

*) ვინაიდან ხსენებული განცხადება—შეცდომებით იქნა დაბეჭდილი გაზ. „კომუნისტი"-ს № 228. ა|წ. 4 ოქტომბრის თარიღით, ვბეჭდავთ მას ხელმეორედ შესწორებით.

1810 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმავე ავადმყოფთათვის, [illegible] ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფთა დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ეკლესიის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ა. ხ. ფურ-ირეტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონტი). გარდა საქმეთა, სიფილისის და ქირურგიული ავადმყოფობათა [illegible] ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

ექიმი **გ. გ. მეგრაბიანცი**

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

ექიმმა **შუხმანმა**

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალები. დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (კვენიევის ქუჩის პირდაპირ)

1—12

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5-დან 7 საათ. დილით—7-დან 8 საათამდე.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (1 უბანი). 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპერის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო. სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი **ზ. ა. თარუმოვი**

დაბრუნდა აბას თუმნიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 12.

31 13—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. უ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

შ. გ. გალუსტოვი

დაბრუნდა და განაახლა შეკვეთების მიღება ქალთა ტანთსაცმელისა ხელმისაწდომ ფასებში.

ფრეილინის ქუჩა № 7, მაღლა სართული

6 1—1

ა. ქ. **ნ. პ. ფალაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის ნაწლევის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ჭლექზე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7

ბელინსკის ქ. ბაქრაძის შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10. 2511 1—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

ასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მაჭავარიანის შესახვევი № 3.

25—23

ექიმი **ვ. ნ. ჩუპრინინი**

ბავშვთა და შინაგანი სნეულებანი. ავადმყოფთა მიღება დილის 9 11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 87. 18—1

დოქტორი ნევროპათოლოგიისა

სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

1919 წელს ჩემი ძმა ზაბო მანუკის ძე პახლევანიანცი

დაიკარგა სომხეთში, მაშინ ცხრა წლისა იყო, წამოსული იყო ერზერუმის მხარის პასენის მაზრის სოფელ იაგანიდგან. ვსთხოვ, თუ იცის ვინმემ სად იმყოფება, მაცნობოს შემდეგი მისამართით:

Черноморская губ. город Туапсе
Красный Майкоп, шоссейная № 11
Аршаку Пахлеванову.

55 1—1

დაიკარგა საღრიცხვო ბარათი № 103 ვლადიმერ ვასილის ძე კიზერიძეს სახელზე. ჩ. გ. 52 1—1

დაიკარგა ჯვარისწერის მოწმობა, მზიადან გამოტანილი ე. ჩიმაკაძის სახელზე. ჩ. გ. 57 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი და სიმწიფის მოწმობა ქსენია ცომაიას სახელზე ჩ. გ. 59 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 46124 კალისტრატე ესტატეს ძე ბაბუნიას სახელზე. ჩ. გ. 60 1—1

დაიკარგა ა. კ. რკინის გზის სამმართველოს განცხადება ქვითარით № 11568, ვარლამ რობაქიძის სახელზე. ჩ. გ. 64 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ვართან ლუარსაბოვის სახელზე. ჩ. გ. 65 1—1

დაიკარგა ხელოვნების მუშაკთა კავშირის წიგნაკი მარიამ ივანეს ასული ლეონოვას სახელზე. ჩ. გ. 66 1—1

დაიკარგა საგირაო ქვითარი, მოცემული ა. კ. რკინის გზის ეკონომიური განყოფილებიდან № 6247 და 11522 მაშადი სამედ ასადოვის სახელზე. ჩ. გ. 73 1—1

დაიკარგა საგირაო ქვითარი, მოცემული ა. კ. რკინის გზის ეკონომიურ განყოფილებიდან № 11552 გასან ალი მამედ ოღლის რიზაევის სახელზე. ჩ. გ. 74 1—1

დაიკარგა სალექციო წიგნაკი (მატრიკული) № 3217, გაცემული ტფილისის სახელმ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტიდან ბიძინა იაკობაშვილის სახელზე ჩ. გ. 72 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ვლადიმერ ფოფხაძის სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 489188 ირაკლი კიზირიას სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა სახლის წიგნაკი ალი აბრაგიმოვის სახელობაზე აბანოს ქ. № 29. ჩ. გ.

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს [illegible] ქუჩა № 4